



ყუხუხარი  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკა  
კანდეპიისას





# ბიბლიოთეკა კანდეშიისას ასალი რეალობის ისტორიული დასაწყისი

ნებისმიეხი ფაქტი, მოვდენა, ხომელიც ჩვენს ყოფაში ხდება უმაღლვე წახსულის საკუთხებად იქცევა ხოდმე და მომავადში აუცილებლად ახად გაკვეთილს გვთავაზობს. „წახსული მკვიდხი საძიხკველია აწმყოხი, ხოგოხც აწმყო - მომავლისა“ - ეს იღია ჭავჭავაძის სიტყვებია, ხომელიც ნათდად აცნობიეხება ამ სამი პიხობითი პეხიოდის ეხთიანობას და მათ განუწვეტედ კავშიხს. ჩვენ, ხოგოხც ახადი თაობის წახმომადგენლები ვახთ იმ ეხთიანი უწყვეტი კავშიხის ნაწიდი, ხომელსაც წახსული და აწმყო პქვია და ვგხძნობთ, ხომ მომავლისკენ მიმავად გზაზე დიღია ჩვენი წიდი პასუხისმგებლობა, ისევე ხოგოხც წინა თაობის იყო.

იწუხება XXI საუკუნის მეოხე ათწიდეუდი. მსოფდიო სხუდიად ახად ხედსებზეა გადაწყობიდი იმასთან შედახებით, ვიდეო ოცი წლის წინ. დღეს ტხადიციუდი მედიის ხოდი სუდ უფხო იკლებს და წინა პდანზე სოციადუხი მედიის უსაზღვხო შესაძლებლობებია, ინფოხმაციის ფახთო ნაკადებით და ამ საყოვედიო ინფოხმიეხებაში დხო საკმახისზე სწიხაფად მიდის. სუდ უფხო მეტად ინფოხმიეხებული თაობა იბადება, ტექნოლოგიების მასიუხი ცოდნა დღეს ჩვეულებივი პხოცესია და ყვედა ასაკის მოქადაქეს მათებს ფეხი აუწყოს ამ განვითაეხებას.





ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ტრადიციული, ბეჭდური მედიის ერთ-ერთი ნაწილია. საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალის მნიშვნელობა ნათლად განსაზღვრა ჟურნალის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ან გარდაცვლილმა გურამ თაყნიაშვილმა (1938-2020). ბატონი გურამი წერდა:



**გურამ თაყნიაშვილი**

„2000 წლის ზამთარი იგა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის დევიან ბარქანიშვილის კაბინეტი მორიგებით შვავალ და საქართველოში პირველი პროფესიული ჟურნალის დაარსების თაობაზე ჩამოვუვხე საუბარი. ბატონმა დევიანმა ჯერ თითქოს გაოცებით შემომხედა, მერე ცოტა ხნით ჩაფიქრდა; სახის გამოთქმებიდან ვაწყობდი, რომ პასუხს ეძებდა კითხვებზე: როგორ? რა კადებით, რა თანხებით, რა საშუალებებით? მერე თითქოს აღტაცების ღიმილმა გადაუხრებინა სახეზე; ეს დასტურსა და მოწონებას ნიშნავდა; თანხმობა მიღებული იყო; იმავე დღეებში ჩამოვყალიბებთ სარედაქციო კოლეჯი. ჟურნალის მთავარ რედაქტორად მოვიწვიეთ საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტი, მწარადი და პუბლიცისტი, პროფ. აღუასანდრე დორია. პირველი ნომრის სარედაქციო კოლეჯიანი შვიდენი: ა. თაყნიაშვილი, ბ. სტურუა, ვ. რაზმაძე და ნ. ჟაჭოტაძე. მოგზაურად პირველი ნომრის მასალები, მათი დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყო რაიონული ბიბლიოთეკებიდან“.

დღეისთვის ბატონ გურამ თაყნიაშვილის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას ახალი თაობა ვცდილობთ და იმედი გვაქვს ისეთივე შემართებით შევძლებთ ამ საქმეს, როგორც მან დაიწყო.

2020 წელი საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც პანდემის წელი, რომელმაც შეძრა სრულიად მსოფლიო. ახალი ფაქტებისა და რეალობის წინაშე დაგვყენა და უამრავ საკითხზე დაგვაფიქრა, რაზეც მანამდე არასდროს გვიფიქრია, ან ცოტას თუ უფიქრია. გარემოს დაცვა, დედამიწის ეკოლოგიური მომავალი, ადამიანთა უფლებები, დისტანციური განათლება, სტუდენტების ელექტრონული სასწავლო რესურსებით მომარაგება, მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვა, მათი მოფრთხილება, გლობალური კატასტროფების დაძლევა... გამოიკვეთა უამრავი პრიორიტეტი და სამუშაო გარემო დისტანციურ რეჟიმზე გადაეწყო.

2020 წლის მარტში დროებით დაიკეტა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ყველა რეგიონალური ბიბლიოთეკა. ამან ჩვენც, მისი თანამშრომლები, მკითხველები ახალი იდეების, გამოსავლის ძიებისკენ მიგვიყვანა. დავინახეთ საჭიროება, რომ ბიბლიოთეკარები კიდევ უფრო მეტად იყვნენ გათვითცნობიერებულნი თანამდროვე ტექნოლოგიებში, ელექტრონულ რესურსებში, სოციალური მედიის თავისებურებებში, რათა მკითხველებთან, ბიბლიოთეკის მომხმარებლებთან კომუნიკაცია ინოვაციურ და ხარისხიან რეჟიმში წარმართონ. ამისათვის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების მხარდაჭერით შევქმენით

სოციალური ქსელის საერთო პლატფორმა საქართველოს ბიბლიოთეკარებისთვის, სადაც ერთმანეთთან ცოდნის, გამოცდილების გაზიარებას შევძლებთ და ახალი იდეები თავმოყრას და განხორციელებას მოვახერხებთ.

ამ ფაქტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, გიორგი კეკელიძეც გამოეხმაურა:

**გიორგი კეკელიძე**



„მივსაღებები ჩვენი შესანიშნავი თანამშრომლების დოდა სანაისა და გიორგი ჩუბინიძის ინიციატივას, რომ შეიქმნას ბიბლიოთეკარების გვერდი, საშუალო და საღისკუსიო, რომელიც გაითვალისწინებს მთელ იმ მოვლენებს - ნარსულს, ანგოლსა და მომავალს, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის და არა მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ბიბლიოთეკების ირგვლივ იგრიანებს. ვფიქრობ რომ ასეთი საღისკუსიო სივრცეების შექმნა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია და ამ დარგში მუშაობის ვარსა თითოეული თქვენგანი ქალიან დიდ და სასიკეთო როლს ითავსებს ქართული წიგნის და ზოგადად წიგნიერების განვითარებაში“.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ბიბლიოთეკარებს მიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, მირიან ხოსიტაშვილმა და აღნიშნა:



**მირიან ხოსიტაშვილი**

„ვინაიდან შვავალში აქტიურად მიმდინარეობს ახალი ბიბლიოთეკების გახსნა მიხარია, რომ ჩვენს რიგებს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი თქვენგანი ემატება. ჩვენი შვავლის ანგოლი და მომავლის უკეთ შენახვაში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო, კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებების როლი და ამაში თითოეული თქვენგანი დიდ ავსრს ეძბთ.“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გადლობს ვინებით თითოეულ თქვენგანს, რომ ამ რთული მსოფლიო გამოწვევის წინაშე ხართ შვავლის სამსახურში და ყოველგვარი რეზურსით ცდილობთ ჩვენს თანამოქალაქებს, მკითხველებს გაუწიოთ სათანადო მომსახურება, გაუადვილოთ კვლევის საშუალება და ა.შ.“.

2020 წლიდან ახალ ისტორიას იწყებს ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“. თითოეული ჩვენგანი მუდამ იქნება ბატონ გურამ თაყნიაშვილის მადლიერი, რომელიც დღეს ბიბლიოთეკის დიდი ისტორიის ნაწილია. დრო მიდის და უკვე მყარ საძირკველზე დაფუძნებით დაიწერება ახალი ისტორია, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც ჩვენს მიერ განახლებული ჟურნალია.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სახელით

**გიორგი ჩუბინიძე, ლოლა სანაია**





## საქართველოს პარლამენტის უჩოვნელი ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი: **ალექსანდრე ლორია**

სარედაქციო კოლეგია: **გიორგი ჩუბინიძე  
გულნარა სტურუა  
მაია მიქაბერიძე  
მირიან ხოსიტაშვილი  
რუსუდან ასათიანი**

დიზაინი: **გიგი გელაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: **ლოლა სანაია**

დაკაბადონება: **გიგი გელაშვილი**

საქართველოს ბიბლიოთეკა №1(78) – 2020; გამოიცემა 2000 წლიდან.  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოების ნაწილი აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.







*აყხნარი*  
**საქართველოს**  
**ბიბლიოთეკა**

რუბრიკა: *საქართველს სამბლოთეკა ასკოიკო*  
**რუსუდან ასათიანი**  
 ბიბლიოთეკების ახალი რეალობა

**5**

რუბრიკა: *სტყუენტყუი ამბები*  
**თამარ კუსიანი**  
 სტუდენტური ცხოვრება პანდემიის პირობებში

**6**

რუბრიკა: *აყხნარის იყბიკი*  
**მაია მიქაბერიძე**  
 ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ – 20  
 წელი საზოგადოების სამსახურში

**7**

რუბრიკა: *მკუნბა*  
**ალექსანდრე ლორია**  
 ღვანლი დაუვინყარი

**10**

რუბრიკა: *ბიბლოთეკა ჯანბემიისას*  
**ნათია სადლობელაშვილი**  
 სად ბიბლიოთეკა, სად პანდემია?

**12**

რუბრიკა: *წუნის ისტლი*  
**დალი მაჩაიძე**  
 რომში გამოცემული პირველი ქართული წიგნი  
 პოლიტიკურად წარუმატებელი ელჩობის  
 კულტურულ-ისტორიული შედეგი

**14**

რუბრიკა: *ბიბლოთეკის გუჟი*  
**ნინო შუბითიძე**  
 პანდემია და ბიბლიოთეკა Online სამყაროში

**18**

რუბრიკა: *საზოგადოების ბიბლოთეკები*  
**ლოლა სანაია**  
 ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

**20**

რუბრიკა: *ბლეი*  
**ანა ჯაჭინიძე**  
 განწირული სულისკვეთება

**22**

რუბრიკა: *ჟუნბი*  
**მარიამ მარჯანიშვილი**  
 იუმორისტული ტენდენციები გურამ  
 ოდიშარისას რომანში

**25**



რუბრიკა: მღვწეული  
**დავით გიგინეიშვილი**  
ბაროკო ფესტივალის საიუბილეო კონცერტი  
თბილისში

რუბრიკა: ისტორია  
**34**  
**გიორგი ჩუბინიძე**  
ქართული საზოგადოებრივი აზრი და  
კათოლიკეები მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20  
საუკუნის დასაწყისში

რუბრიკა: სუამეფის კახაბზი  
**38**  
**გიორგი ჩუბინიძე**  
კალიგრაფების გამოფენა ეროვნულ  
ბიბლიოთეკაში

**40**  
**ვირტუალური გამოფენები**

**43**  
რუბრიკა: ეკვილიბრიუმი  
**ეკვილიბრიუმი**

**48**  
რუბრიკა: ქინკა  
**ქრონიკა**

რუბრიკა: კარსანტონო  
**54**  
**მანანა ზარიძე**  
რეაბილიტირებული ბიბლიოთეკები მცხეთის  
მუნიციპალიტეტში.

რუბრიკა: ბიბლიოთეკის სკოლაში  
**56**  
**ეკა ლაპიაშვილი**  
საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების  
კოორდინაცია

რუბრიკა: სესკინესი აბუბი  
**61**  
**წყალტუბოს ახალგაზრდული კავშირი**  
ადამიანის განათლება მტკიცდება და  
სრულქმნილი ხდება წიგნის კითხვით

**62**  
**COVID-19 -თან დაკავშირებული ზოგადი  
რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის**







# ბიბლიოთეკების ახალი რეალობა

“**წინამდებარე ნომრით იწყება ახალი ეპოქა, როგორც ჩვენი ჟურნალისთვის, ასევე საბიბლიოთეკო საქმისთვისაც.**”

საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის პრეზიდენტი  
**რუსუდან ასათიანი**



ჟურნალის წინამდებარე ნომერი გამოირჩევა ყველა იმ ნომრისგან, რომელიც ჟურნალის დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში დაბეჭდილა. ეს პირველი ნომერია, რომლის გამოცემასაც ამ ჟურნალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ბატონი გურამ თაყნიაშვილი ვერ მოესწრო. მე იშვიათად შემხვედრია ბატონი გურამის მსგავსი თავისი საქმის ასეთი გამორჩეული, ღვაწლმოსილი, კეთილსინდისიერი, უშუალო და თავმდაბალი პიროვნება. იგი იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ჟურნალ საქართველოს ბიბლიოთეკის რედაქტორი. ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება ბატონი გურამი, რომელიც მიუხედავად იმისა რომ ჩვენზე ბევრად უფროსი იყო, ყოველთვის ახალგაზრდული შემართებით გვედგა გვერდში და ჩვენთან ერთად იზიარებდა ყველა ინოვაციურ წამოწყებას.

ახალი კოვიდ-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ ბევრ უარყოფით მოვლენასთან ერთად გარკვეული კუთხით პოზიტიური ცვლილებებიც გამოიწვია ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის მუშაობის პროცესში. როგორც თანამშრომლებს, ასევე მომხმარებლებს მოუწიათ ადაპტირება ონლაინ მუშაობისა და ონლაინ კომუნიკაციის პრინციპებთან.

დღეს ონლაინ კონფერენციების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება ონლაინ მუშაობის დროს, ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით ტარდება ელექტრონული ტრენინგები მედიანიგნიერების თემაზე.

საყოველთაო კარანტინის პირობებში, ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე, შეიქმნა ვირტუალური გამოფენის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის თემატური გამოფენების მოწყობა.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო პანდემიისა და კარანტინის პირობებში დადგა ელექტრონული რესურსებისა და ელექტრონული მომსახურებების კიდევ უფრო მეტად განვითარების აუცილებლობა. გაჩნდა ახალი ტიპის მომხმარებელი, რომელიც მხოლოდ ელექტრონული სერვისებით სარგებლობს და სავარაუდოდ ამ ტიპის მომხმარებელი დარჩება ელექტრონულ მომხმარებლად და პანდემიის დასრულების შემდგომაც ექნება სურვილი ისარგებლოს იგივე სერვისებით.

ვუსურვებ ყველა ბიბლიოთეკას წინსვლას, წარმატებას, შრომის დაფასებას და მალე ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას.



# სტუდენტური ცხოვრება პანდემიის პირობებში

პირველი და მეორე მსოფლიო ომი წიგნის ფურცლებიდან ვისწავლე, „მესამე მსოფლიო ომში“ კი თავად მოვყევი ათასობით დედამინულთან ერთად, უცნაური ომია „უხილავ მტერს“ ვებრძვით მთელი დედამინა. დღემდე ასე, მხოლოდ ფილმებში ხდებოდა.

ბევრი სირთულე, კრიზისი და ახალი აღმოჩენები მოუტანა 2020-მა წელმა დედამინას, პანდემიის გავრცელების გლობალურმა საფრთხემ შეცვალა მსოფლიოს ყოველდღიური რეალობა, მათ შორის შეიცვალა ოჯახების, სკოლის მოსწავლეების და სტუდენტების სტუდენტური ცხოვრება.

პანდემიის პირობებში Online ლექციებს უარყოფითთან ერთად ბევრი დადებითი შედეგი აღმოაჩნდა.

რთული აღმოჩნდა იმ კავშირის დაკარგვა, რასაც უნივერსიტეტში ყოფნა მაძლევდა, თუმცა ბევრ სხვა რესურსთან ერთად მომეცა ერთ-ერთი ყველაზე შეუცვლელი და ძვირფასი რესურსი - დრო, რომელიც შემიძლია დავუთმო იმ საკითხებს, რომელსაც აქამდე ვერ ვუთმობდი, რადგან მისი სიმცირე ადამიანებს ყოველთვის გვანუხებს. წარმოიდგინეთ რამდენად სასიამოვნოა როდესაც აღმოაჩნეთ, რომ მხოლოდ თვითიზოლაციის პირობებში გამოთავისუფლებული დრო სრულიად საკმარისია შეივსოთ ის დანაკლისი, რომელსაც მრავალი წელია გრძნობთ. არასოდეს არ ყოფილა ასე ხელმისაწვდომი განათლებისათვის საჭირო რესურსები. თითქმის ყველა ენაზე შეგიძლიათ იპოვოთ თქვენთვის სასურველი სტატია თუ ონლაინ გაკვეთილი. ბევრი ჩვენგანი შეძლებს წლების შემდეგ სიამაყით თქვას, რომ ის საქმე რასაც აკეთებს, რამდენიმე წლის წინ, თვითიზოლაციის დროს ისწავლა.



თაბარ კუსიანი

“ ჩვენ სტუდენტები პანდემიის პირობებში ერთი მიზნისთვის გავერთიანდით „სწავლა მიუხედავად ყველაფრისა“. თავიდან რთული იყო ადაპტაცია რეალობასთან, თუმცა სირთულეების გადალახვა და მათთან გამკლავება შეუძლებელი არაა. ”

განსაკუთრებით მაშინ როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის გადარჩენის საკითხში გარკვეული წვლილი შეგაქვს. სახლიდან სწავლისათვის მეტი დისციპლინა და საკუთარ თავთან მუშაობა დაგჭირდა, თვითდისციპლინის გარეშე, მსგავს პირობებში სასურველი შედეგის მიღწევა ძალიან რთულია.

ჩემთვის, როგორც სტუდენტისათვის ერთ-ერთი რთული გამოწვევა, რაც თან ახლდა პანდემიას, იყო დახურული ბიბლიოთეკები. ორმაგად რთულია ეს ყველაფერი დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის, რომელთა უმრავლესობას გვინევს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დანერა. იმისათვის, რომ დაკისრებული ვალდებულებისათვის თავი გამერთმია საჭირო იყო ელექტრონული რესურსების გამოყენება, რაშიც, საბედნიეროდ, დიდი დახმარება გამინია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულმა ბაზამ. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, თან ახლდა თავისი სირთულეები, ამ სირთულეების დაძლევის დროს დავრწმუნდი რომ ეს განსაკუთრებული, კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულების არსებობა ცხოვრებას ამარტივებს.

მიუხედავად იმისა რომ ლექციებზე დასწრება შეგვეძლო ნებისმიერი ლოკაციიდან, ჩვენ მაინც ძალიან ბევრს ვწუწუნებდით ონლაინ სწავლების უარყოფით მხარეებზე, არადა ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ საშაულება მოგვეცა ასეთ პირობებშიც კი გვესწავლა. Online სასწავლო პროგრამამ ერთმანეთის ოჯახები, კულტურა, ფანჯრისა თუ აივნის ხედები გაგვაცნო. ზოგმა დიდი ხნის წინ თაროებზე დაწყობილი წიგნები გადავშალეთ, ზოგმა Tik-tok-ერობა ავითვისეთ, ზოგმა სოფლის მეურნეობა, ნაწილი კი სოფლებში დავბრუნდით და ერთმანეთის იმედად დატოვებული ბებია-ბაბუები გავახარეთ.

პანდემიამ, მსოფლიოს ბევრ გამონკვევებთან ერთად „გლობალური ერთობა“ მოუტანა, ეს ერთობა კი „მსოფლიო ომში“ აუცილებლად იქნება გამარჯვების მომტანი.



## ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“

20 წელი საზოგადოების სამსახურში

წელს შესრულდა 20 წელი „საქართველოს ბიბლიოთეკის“ - საქართველოში დღეისათვის ერთადერთი საბიბლიოთეკო პროფესიული ჟურნალის, დაარსებიდან. პირველი ნომერი გამოიცა 2000 წლის ბოლოს და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომელთაგან უპირველესი დაფინანსებას უკავშირდება, დღემდე აგრძელებს თავისი უმთავრესი დანიშნულების - საქართველოს საბიბლიოთეკო კულტურის შენარჩუნება-განვითარების მეტად მნიშვნელოვან საქმეში ერთგვარი მაორგანიზებელი საინფორმაციო-მეთოდური მესაჭის ფუნქციის შესრულებას.

„საქართველოს ბიბლიოთეკა“ დაარსდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა (მაშინდელი პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი) და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის (მაშინდელი გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი) ერთობლივი ძალისხმევით შედეგად. პროფესიული ჟურნალის დამაარსებლებს სურდათ მიწელებული და თითქმის დასაღუპად განწირული საბიბლიოთეკო ცხოვრების გამოცოცხლება და ახალ საფეხურზე აყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეის რეალიზებაში მონაწილეობდა ორი სერიოზული ინსტიტუცია, ეს მხარდაჭერა ნაკლებად აისახებოდა ფინანსურ მხარეზე. ასოციაციასაც და ბიბლიოთეკასაც იმხანად თვითონ ჰქონდათ მწირი შემოსავალი, ამიტომ ჟურნალი დაარსდა როგორც შპს და მისი მთავარი ხარჯების წყარო, ძირითადად, თვითონ ჟურნალის ნომრების რეალიზაცია იყო. საბიბლიოთეკო ჟურნალის რეალიზაცია კი თავისთავად პრობლემური იყო ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო. და მაინც, ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ მოთხოვნადი პროდუქცია გახდა. ბიბლიოთეკები და კერძო პირები იძენდნენ ჟურნალს, რადგან მასში პოულობდნენ მათი ინტერესების შესატყვის ინფორმაციას.

“

**ჟურნალის გამოცემის სტაბილურობას კი მაინც, უმთავრესად, ადამიანური ფაქტორი განაპირობებდა. ეს იყო პროფესიონალიზმისა და ენთუზიაზმის ახარვეზებელი შეხწყმა.**

”



**მაია მიქაბერიძე**

სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა დროდადრო იცვლებოდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა - მთავარი რედაქტორი გახდა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის პატრიარქი, მეცნიერი და მწერალი ალექსანდრე ლორია, პასუხისმგებელი რედაქტორის ფუნქცია დაეკისრა ან განსვენებულ გურამ თაყნიაშვილს - ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელს. სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორის საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეს გაუძღვა ქალბატონი გულნარა სტურუა - უცხო ენათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი. წლების განმავლობაში ეს ადამიანები, თავიანთი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, თითოეულ ნომერზე მუშაობდნენ თავდაუზოგავად, მაღალი პროფესიული თვითშეგნებით და, რაც მთავარია, ყოველგვარი სახელფასო ანაზღაურების გარეშე.

“

**ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ სამეცნიერო პოპულარული ჰოფიდის გამოცემაა. მასში ძიხითადად ქვეყნდება საინფორმაციო და სამეცნიერო-შემეცნებითი ხასიათის სტატიები, რომლებიც დაჯგუფებულია ჰუბიკებად. მასალების თემატიკა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ჰუბიკების ხაოფენობამ, ჰოგოხც მუდმივმა, ასევე - პეხიოდუდმა, დღეისათვის 200-ს გადააჭახბა.**

”





პირველი და უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც ჟურნალის უმეტეს ნომრებში ფიგურირებს, არის საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და ნორმატივები (რუბრიკა „ოფიციალური განყოფილება“). საბიბლიოთეკო თემატიკის გარდა იბეჭდებოდა სამართლებრივი ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, საავტორო უფლებების, საგამომცემლო და და სხვა მსგავსი თემების შესახებ. პირველივე ნომრებში დაიბეჭდა „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წესდება“, „კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“, იუნესკოს მიერ შემუშავებული „საჯარო ბიბლიოთეკების მანიფესტი“ და ა.შ. რუბრიკა „ოფიციალური განყოფილება“ აქტიურად გამოიყენებოდა. მასში ქვეყნდება არა მარტო საქართველოს, არამედ საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი ინფორმაციაც. ამ რუბრიკით ჟურნალმა სცადა ამოეხსნა ამ სფეროში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი. ამავე დროს, საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, შეესწავლათ ეს მასალა და თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე, საკუთარი მოსაზრებებიც გამოეთქვათ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე.

სამართლებრივი საფუძვლების გაცნობის გარდა, ჟურნალში შუქდება საბიბლიოთეკო საქმის წარმოების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ეს პირველ რიგში ეხება ბიბლიოგრაფიული აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. ასევე აქტუალური გახდა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პროცესი, რომელიც საბიბლიოთეკო სფეროსაც შეეხო. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტები ელექტრონული რესურსების შექმნისა და მათი გამოყენების ფორმების შესახებ თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ კოლეგებს, როგორც ტრენინგების სახით, ასევე ჟურნალის საშუალებით. ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მოჰყვა ახალი ტერმინოლოგიაც. შესაბამისად, ჟურნალის ფურცლები ამ საკითხზე მსჯელობასაც დაეთმო.

„საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებული სტატიები ეხება ყველა ტიპის - მასობრივ, უნივერსალურ, პროფილურ, სასკოლო, უმაღლესი სასწავლებლების და ა.შ. ბიბლიოთეკებს. განხილული საკითხები მოიცავს საბიბლიოთეკო საქმიანობის ფაქტობრივად ყველა სფეროს: დაკომპლექტებას, კატალოგიზაციას, საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა-შენახვას, მკითხველთა მომსახურებასა და სხვ. ტრადიციული ფორმების პარალელურად გაჩნდა ახალი,

განსხვავებული ცნებები, რომლებიც დრომ მოიტანა. მაგალითად, აქტუალური გახდა საბიბლიოთეკო მარკეტინგის საკითხი. საბიბლიოთეკო ინფორმაციის მიწოდების ფორმებს საბჭოური საბიბლიოთეკო სისტემაც ამუშავებდა, მაგრამ ახალმა რეალობამ ამ საკითხის მიმართ მოითხოვა განსხვავებული ხედვა, კრეატიული მიდგომა. სხვათა გამოცდილების გაცნობა-გაზიარების სურვილის შესაბამისად, ეს თემა აისახა კიდევ ჟურნალში (რუბრიკა „მეთოდური სა-მსახური: გზა მოდერნიზაციისაკენ“).



**ჟუხნად „საქართველოს ბიბლიოთეკას“ საბიბლიოთეკო დახვის სპეციალისტების გახდა, სხვა პროფესიის მკითხველებიც ჰყავს, ხომელთა ინტეგრის სფეროში შედის წიგნის ისტორია, ძველი ცნობილი ბიბლიოთეკები, დღევანდელი მსოფლიოს მსხვილი ბიბლიოთეკების ისტორია, მათი მუშაობის თანამედროვე ფორმები და, ასევე, კულტურის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია. ამ ინტეგრისთა დაკმაყოფილებისათვის ჟუხნაში იბეჭდება, როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი სტატიები.**



ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობა საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროში შექმნილი რთული ვითარების შეფასებისადმი მისმა უკომპრომისო პოზიციამაც განსაზღვრა. მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო გახდა რუბრიკა „ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა საუკუნის დასაწყისში“, რადგან აქ გამოქვეყნებულ მასალებში აისახა საქართველოს ბიბლიოთეკების სავალალო მდგომარეობის ერთიანი სურათი 21-ე საუკუნის დასაწყისში. მართლაც მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომელიც საბიბლიოთეკო სფეროსაც შეეხო. საქართველო ისწრაფოდა თავისუფალი, დემოკრატიული, განვითარებული სამყაროსკენ, შესაბამისად, საჭირო იყო საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება დროის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა ის მეთოდები, რომლითაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება, საბიბლიოთეკო ცხოვრება უფრო დააზარალა. თანმიმდევრული განვითარების ნაცვლად, ხელისუფლებამ დაიწყო ძველი სისტემის ნგრევა - საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ზედიზედ იხურებოდა ბიბლიოთეკები, ნადგურდებოდა ფონდები, ბიბლიოთეკარები

კარგავდნენ სამსახურს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა რჩებოდა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. არც თუ იშვიათად, ამ პროცესს საფუძვლად ედო კერძო პირთა მიერ იმ შენობათა დაუფლების სურვილი, სადაც ბიბლიოთეკები იყო განთავსებული.

ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი იყო ასეთი ვითარება. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ აქტიურად ჩაერთო ამ პროცესების გაშუქებაში. იბეჭდებოდა სხვადასხვა ბიბლიოთეკის შესახებ ინფორმაცია, სადაც საუბარი იყო მათ პრობლემებზე, პერსპექტივებზე. ზოგჯერ მწვავე მასალას ფონდების განადგურების ამსახველი ფოტომასალაც ახლდა. ჟურნალი, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, ზომიერების დაცვას ცდილობდა და წარმატებული განახლების მაგალითებსაც აშუქებდა. ბიბლიოთეკარები ეცნობოდნენ სხვა ბიბლიოთეკებში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესებს, აანალიზებდნენ მსგავსებასა და სხვაობას, ეძებდნენ გამოსავალს. ასეთმა მიდგომამ ბევრს საკუთარი პრობლემების გასაჭაროვებისაკენ უბიძგა.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკართა წერილებს (რუბრიკა „კორესპონდენციები“). ავტორები მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთი ბიბლიოთეკების ისტორიის შესახებ, აღწერენ ჩატარებულ ღონისძიებებს, უზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას და ასევე, აცნობენ მუშაობის ხელისშემშლელ პრობლემებს.

ჟურნალის რედაქცია ცდილობდა საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრში ყოფილიყო. ფაქტობრივად ყველა ნომერში იბეჭდებოდა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო წლისთავებისადმი მიძღვნილი წერილები. ამავე დროს, რედაქცია ჟურნალის ყოველი წლის ბოლო ნომერში ათავსებს მომდევნო წლის მნიშვნელოვანი თარიღების კალენდარს, რომელიც ეხმარება ბიბლიოთეკებს კულტურული ღონისძიებების წინასწარ დაგეგმვაში.

„საქართველოს ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა საზოგადოებისათვის ახალი გამოცემების წარდგინება. რა თქმა უნდა, ჟურნალს არ შეუძლია და არც აქვს საქართველოს საგამომცემლო სიახლეების სრულფასოვნად ასახვის მიზანი, მაგრამ, ფაქტობრივად, ყველა ნომერში მკითხველი ეცნობა თემატიკისა და მნიშვნელობის მიხედვით შერჩეული გამოცემების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს. ასევე, ჟურნალში ხშირად იბეჭდება ვრცელი სრულფასოვანი რეცენზიებიც.

ჟურნალი, გარდა პროფესიული საკითხებისა, აქვეყნებს ბიბლიოთეკართა შემოქმედების ნიმუშებსაც (რუბრიკა „ჩვენი შემოქმედება“).

რედაქცია ამ შემთხვევაში არ გამოდის მკაცრი ცენზორის როლში, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია კოლეგების შემოქმედებითი წახალისება. აღსანიშნავია, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ბიბლიოთეკართა შორის აღმოჩნდნენ ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები, რომელთა ქმნილებები შემდეგ შევიდა საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ გამოცემულ სამ კრებულში „ბიბლიოთეკარი პოეტი I“, „ბიბლიოთეკარი პოეტი II“ და ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი“.

“

**20 წელი საკმაოდ სოლიდური ეხოს ასეთი გიჟის პეიოდედი გამოცემისათვის, ჰოგოხიც ახის „საქართველოს ბიბლიოთეკა“. ამ ხნის განმავლობაში ჟუჰნადმა მოიპოვა მაღალი ავტოხიტეტი საბიბლიოთეკო სფეხოში.**

”

კიდევ უფრო განმტკიცდა მისი პოზიციები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მორალური და ფინანსური მხარდაჭერით (**გენერალური დირექტორი - გიორგი კეკელიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე - მირიან ხოსიტაშვილი**). საერთო სიხარულისა და სატკივარის ობიექტური ასახვით ჟურნალმა ერთ ოჯახად შეამჭიდროვა საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოება. მას უკვე აქვს მდიდარი და საამაყო ისტორია. და, რაც მთავარია, იგი დღესაც ისევ პატიოსნად და პროფესიული კეთილსინდისიერებით აგრძელებს საზოგადოების სამსახურს.




# ოვანესი რაყუიხუაძი

გურამ თაყნიაშვილი - მთელი საბიბლიოთეკო საზოგადოება კარგად იცნობდა მას პირადად, განაგონებითა თუ მისი პროფესიული შემოქმედებით, განუსაზღვრელი იყო მისი საზოგადოებრივი და შრომითი მოღვაწეობის ასპარეზი, ის არეალი, რომელსაც მოიცავდა მთელ დარგში - ბიბლიოთეკათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, მეთოდისტი, პედაგოგი, პროფესიული ჟურნალისტი, მეცნიერ-მკვლევარი, პრაქტიკული საქმის ორგანიზატორი, შემდგენელ-გამომცემელი, სარედაქციო საქმის ოსტატი.

გურამ თაყნიაშვილი დაიბადა 1938 წლის 1 აპრილს, დმანისის რაიონის სოფელ მამულში, სოფლის მშრომელი მოქალაქის ოჯახში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა წარმატებული სწავლით, უყვარდა წიგნების კითხვა, წერდა დღიურებს, სოფლის ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველს წარმოადგენდა, ამავე დროს მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამუშაოებში, რამაც ხელი შეუწყო მას კარგად გაცნობოდა ცხოვრებას. ერთხანს მოუწია ჯარშიც ემსახურა, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობით, რომელიც 1966 წელს დაასრულა. იყო გამორჩეული სტუდენტი, იღებდა საკავშირო მნიშვნელობის სახელობით სტიპენდიას, მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სწავლის დამთავრების შემდეგ, მიიღო რა უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომი, იმავე წელს დაიწყო მუშაობა აღნიშნული ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ჯერ უფროს ბიბლიოთეკარად, შემდეგ განყოფილების გამგედ, ხოლო 1975-1982 წლებში ამ ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა ეკავა. ეროვნული ბიბლიოთეკის მოთხოვნით, ის გადაიყვანეს ამ ბიბლიოთეკის მთავარ მეთოდისტად. 1975-1982 წლებში რეორგანიზაციის შემდეგ გახდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსი, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა. ამავე დროს იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე მოწვევით, აგრეთვე ლექცია-სემინარებს ატარებდა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივ-მოქმედ კურსებზე.

გურამ თაყნიაშვილი სისტემატურად ღებულობდა მონაწილეობას სპეციალური კათედრის მიერ ყოველწლიურად გამართულ სესიებში,



ალექსანდრე ლორია

რომელთა მოხსენებების თეზისები იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ბიბლიოთეკებში. მის მიერ არაერთი თემატური სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიაა შედგენილი და გამოცემული, რეცენზირებული და რედაქტირებული.

მას არასოდეს არ შეუწყვეტია მეთოდური მუშაობა როგორც ეროვნულ, ისე ქალაქის თუ სოფლის საჯარო ბიბლიოთეკებში, მის მიერ ბევრ ახალგაზრდა თუ ახალბედა ბიბლიოთეკარს მიუღია დახმარება. მას მთელი საბიბლიოთეკო საზოგადოების დიდი ნაწილი პირადად იცნობდა, მოგზაურობდა საქართველოს რეგიონებში, ეხმარებოდა ბიბლიოთეკებს, ხვდებოდა ხელმძღვანელ მუშაკებს და მათგან ღებულობდა ინფორმაციებს, აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს.

დაუფასებელია მისი ღვაწლი სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის შექმნასა და გავრცელებაში. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები, ნარკვევები, სტატიები, პუბლიცისტური წერილები საკმაოდ ვრცელი თემატიკით. გამოქვეყნებული აქვს 180-მდე ნაშრომი, მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მონოგრაფიული სამეცნიერო გამოკვლევა „ბიბლიოთეკათმცოდ-

ნეობის განვითარება საქართველოში“ (1900-1985წწ), მეთოდური რეკომენდაციები“, „საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია“, „ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია საქაროსკოლებში“, „ათწლიანი კლასიფიკაცია: შემოკლებული და გადასაყვანი ცხრილები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის“ და სხვ. იგი არის მრავალი მეთოდური წერილის რედაქტორი. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა სხვა ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეებთან, როგორებიც არიან ოთარ ოსაძე, ალექსანდრე ლორია, რომლებთანაც თანაავტორობით არაერთი წიგნი აქვს გამოქვეყნებული.

ყოველივე ამის გარდა, გურამ თაყნიაშვილი ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა 1995-1996 წლებში სპეციალურ ჯგუფთან ერთად საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების შემუშავებაში, რის საფუძველზეც პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“.

“

**გურამ თაყნიაშვილს განსაკუთრებით დიდი წვდილი მიუძღვის საქართველოს პიხველი გიძევადიანი პიოფესიური ჟუჰნალის „საქართველოს ბიბლიოთეკის“ გამოცემის საქმეში. ის იყო ამ ჟუჰნალის ხედაქგოხის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი. თითქმის ჟუჰნალის ყოველი ნომხისათვის ჰქონდა მზად საინგეჰესო სგაცია მხავალი თემაგიკით, იყო მასალის შეგხოვების დიდი ოსგაცი, ავგოხებთან უხითეითობის შესანიშნავი მცოდნე.**

”

ბ-ნ გურამი ლიტერატურულად უაღრესად განსწავლული ადამიანი იყო, უყვარდა პოეზია, ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, სტუდენტობის დროს მონაწილეობდა ინსტიტუტის ლიტერატურული წრის „კაბადაონის“ საქმიანობაში, უკვე ხანდაზმულობაში გამოაქვეყნა მშვენიერი ლექსების კრებული „განწმენდისაკენ, განწმენდისაკენ“, მისი ლექსები დაიბეჭდა კრებულში „ბიბლიოთეკარი პოეტი“.

იყო საუკეთესო ოჯახის გამძლოლი, უებარი მეგობარი და სანიმუშო მოქალაქე. ამით იყო სწორედ გაპირობებული ის, რომ სადაც არ უმუშავია, ვის გვერდითაც არ უღვანია, ყველგან პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. ეს არის ის განცდა, რომლითაც მივაცილებდით ჩვენს კოლეგას, თანამშრომელსა და თანამოღვანეს, ჩვენს გუნრფელ მეგობარს-გურამ თაყნიაშვილს.





# სად ბიბლიოთეკა, სად პანდემია



## ნათია სადლობელაშვილი

სად ბიბლიოთეკა, სად პანდემია? სულაც არა. ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო საქმე ერთ-ერთია იმ მრავალ დარგს შორის, რომლებიც პანდემიურმა სიტუაციამ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა და უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა ამ დარგის ციფრულ რეალობაში გადასვლის აუცილებლობა.

პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროსათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა პანდემიის გამო გამოწვეული კარჩაკეტილობა, საკითხს მეტ სიმძიმეს სძენს ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გავზომოთ ის უარყოფითი გავლენა, რაც პანდემიამ ქვეყნის ინტელექტუალურ განვითარებაზე მოახდინა, აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ

“

**განათლება, მეცნიერება, კვლევა-ძიება ბიბლიოთეკის გარეშე წარმოუდგენელია, მეტიც, ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის კვალიფიციური თანამშრომელი ხელს უწყობს ნებისმიერი კვლევა უზრუნველყოფილი იყოს მრავალფეროვანი წყაროებით.**

”

ამ სიტუაციამ კი ერთგვარ ვაკუუმში მოათავსა ის ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, მკვლევარი აღმოჩნდა საკვლევო ინსტრუმენტების, კვლევისთვის საჭირო ლიტერატურის გარეშე, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში მომუშავე ადამიანები, ხოლო ბიბლიოთეკებმა ვერ მოახერხეს მკვლევარი, ან თუნდაც უბრალოდ მკითხველი უზრუნველყოთ სასურველი ლიტერატურით, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ წელი ტემპით მიმდინარეობს ციფრულ, ელექტრონულ რესურსებზე გადასვლა, რაც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ განვითარებადი და მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეს არც თუ ისე იშვიათი ფაქტია, რა თქმა უნდა, ელექტრონული წიგნის სახლები მკითხველთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს აკმაყოფილებენ, მაგრამ, რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საქმიანობას, ამ ნაწილში მათი რესურსები მწირია, ხშირ შემთხვევაში კი წულის ტოლი, რადგან მათი წიგნადი ფონდები ეფუძნება მკითხველთა ფართო მასების ინტერესსა და ეკონომიკურად მომგებიან წიგნებს.

საინტერესოა, ამ თვალსაზრისით რა მდგომარეობაა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და როგორ გაართვეს თავი პანდემიურ სიტუაციას, ისე, რომ ბიბლიოთეკას თავისი ფუნქცია არ დაეკარგა, ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ინფორმაციული და ფართო მასებზე გათვლილი, მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ სა-

ფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (BNF), რომელმაც მილიონობით ციფრული რესურსი გახადა უფასოდ ხელმისაწვდომი, მათ შორის, ხმოვანი წიგნები, დოკუმენტები, სასწავლო და პედაგოგიური რესურსები, ასევე მკვლევრებისათვის საჭირო ლიტერატურა, გარდა ამისა, BNF-მა ფეისბუქის ოფიციალური გვერდი გამოიყენა საკუთარი კულტურული სიმდიდრის, კერძოდ, ხელნაწერების, იშვიათი გამოცემების გასაცნობად და პოპულარიზაციისათვის, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების ჩართულობა ნათლად აჩვენებს ამ ინსტიტუციის მიმართ ნდობასა და მის პოპულარობას. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა ნათელი მაგლითია იმისა, თუ რამდენად უწყობს ხელს ციფრული ელექტრონული რესურსები საბიბლიოთეკო საქმიანობის განვითარებასა და მის ახალ საფეხურზე აყვანას, მაგრამ პასუხისმგებლობას მხოლოდ ბიბლიოთეკებს ვერ დავაკისრებთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ავტორები და გამომცემლობები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ საქართველოში ელექტრონული წიგნების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რათა პანდემიურმა სიტუაციებმა არ შეაფერხონ ის ინტელექტუალური განვითარება, რაც პრიორიტეტული და ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. სწორად დაგეგმილი და პრაგმატული ნაბიჯებით ვფიქრობთ, საქართველოს აქვს შესაძლებლობა რეგიონში გახდეს მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ტრადიციული და თანამედროვე საბიბლიოთეკო მიდგომების კომბინირება ისე, რომ მის საქმიანობაზე გავლენა ვერ მოახდინოს, თუნდაც ისეთმა ძლიერმა დაბრკოლებებმა, როგორც გახლავთ მსოფლიოში გამოცხადებული პანდემიური მდგომარეობა.

“ BNF-მა ფეისბუქის ოფიციალური გვერდი გამოიყენა საკუთარი კულტურული სიმდიდრის, კერძოდ, ხელნაწერების, იშვიათი გამოცემების გასაცნობად და პოპულარიზაციისათვის, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების ჩართულობა ნათლად აჩვენებს ამ ინსტიტუციის მიმართ ნდობასა და მის პოპულარობას.

”

სად  
ბიბლიოთეკა,  
სად  
კანდეშია?





# ჩვენსი აღმოჩენილი პირველი ქართული წიგნი სალომეონის ნაწარმოებელი ევანგელის კალოგრაფიკული-სტამბული რეკონსტრუქცია

1629 წელი განსაკუთრებულ თარიღად იქცა ქართული კულტურის ისტორიისათვის. იმ წელს დაიბეჭდა რომში ქართული შრიფტით აწყობილი პირველი წიგნები: ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ანბანი ლოცვებითურთ და ლოცვა ღვთისმშობლისადმი - ლიტანია ლაურეტანა. რომშივე 1643 და 1670 წლებში დაიბეჭდა ფრანჩესკო დი მარიო მაჯოს მიერ შედგენილი ქართული გრამატიკა, უფრო ზუსტად, ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს ქართული (იბერიული) ენის სასაუბრო წესებსა და ქართული ენის თავისებურებათა შედარებითი შესწავლის პირველ ცდას. ეს პირველნაბეჭდი ქართული გრამატიკა იმავდროულად იყო პირველი ბეჭდური გრამატიკა მთელ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. რომში დაბეჭდილი ქართული წიგნებით იტალია მოგვევლინა ქართველოლოგიური საკითხების სპეციალური კვლევის შესაძირკვლედ, თვით გამოცემები კი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე იყო უმნიშვნელოვანესი წყარო ქართული ენით დაინტერესებული ევროპელებისათვის პირველ ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემა რომში და ქართველოლოგიური საკითხებით იტალიელების დაინტერესება თავის მხრივ განაპირობა კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების - „კონგრეგაციონე დე პროპაგანდა ფიდეს“ საქმიანობამ. თავისი მიზანდასახულებიდან გამომდინარე, აღნიშნული საზოგადოება აგზავნიდა მისიონერებს აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. მისიის წარმატებით განსახორციელებლად, სპეციალურ თეოლოგიურ განსწავლულობასთან ერთად, მათ იმ ქვეყნების მაცხოვრებელთა ენების ცოდნაც სჭირდებოდათ. შესაბამისად აუცილებელი გახდა მისიონერების აღჭურვა სპეციალური რელიგიური ლიტერატურით, ლექსიკონებითა და გრამატიკის სახელმძღვანელოებით. 1626 წელს, ამ საკითხის მოსაგვარებლად, „პროპაგანდა ფი-



დალი ბაჩიძე

დემ“ დაარსა საკუთარი სტამბა რომში, მისი მმართველის, აქილე ვენერიოს ბინაში. საჭიროების შესაბამისად, სტამბა იყენებდა სხვადასხვა სახისა და მრავალენოვან შრიფტებს, რის გამოც პოლიგლოტას სახელითაც მოიხსენიებდნენ. სტამბა ტექნიკურად გამართა გამოცდილმა და დახელოვნებულმა ოსტატმა, „ბრწყინვალე მბეჭდავმა“ სტეფანე პაოლინიმ. „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში ქართული შრიფტის გაჩენა და პირველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემაც სწორედ სტეფანე პაოლინის სახელს უკავშირდება. ამ საქმეში მას აქტიურ თანაშემწედ და თანამშრომლად მოვლენია ნიკიფორე ირბახი. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოჩენილია მისი ვინაობის საკითხი და წვლილიც რომში გამოცემული პირველნაბეჭდი ქართული წიგნების შექმნაში.

“ ნიკიფორე ირბახი იტალიაში უწოდეს ევროპაში წარგზავნილ ნიკოლოზს, ქართველი მეფის - თეიმურაზ პირველის ელჩს. ”





1628-ში გაზაფხულიდან წლის მიწურულამდე იმყოფებოდა იგი რომში. ქართულ მხარეს სურდა, თეიმურაზ პირველის მიწერილობა ესპანეთის მეფისადმი პაპის მიმართვასაც გაემყარებინა. ქართველი ელჩი იმედოვნებდა, რომ მადრიდში ჩასვლამდე შეძლებდა პაპის დარწმუნებას შუამდგომლობა გაენია ესპანეთის მეფესთან ქრისტიანული ქვეყნისათვის. მან ეს ვერ მოახერხა. უშედეგოდ ჩაიარა ვიზიტმაც ესპანეთის სამეფო კარზე. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მხოლოდ კათოლიკობაზე გადასვლის დაპირების შემდეგ მიიღო პაპმა. მან სინანულიც გამოთქვა ქრისტიანული საქართველოს მდგომარეობის გამო. მერე თეატინელთა ორდენის კათოლიკე მონაზვნები გაუგზავნა ქართველ მეფეს, დასავლეთის ქმედითი დახმარების იმედის მისაღებად, მართმადიდებელ ქართველთა კათოლიკობასთან შეერთების ხელშეწყობა მოითხოვა მისგან. ასე რომ, სასურველი პოლიტიკური შედეგი ვერ მოუტანა ჩვენს ქვეყანას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობამ ევროპაში. ეს კია, რომში გამოცემული პირველნაბეჭდი ქართული წიგნები აღმოჩნდა ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობის ნივთიერი შედეგი, როგორც კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი წარუმატებელი ელჩობის წილ.

ნიკიფორე ირბახის შესახებ ინფორმაციას გვანვდის კათოლიკე მღვდლი და მკვლევარი, ავტორი წიგნისა - „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...“. მიხეილ თამარაშვილის

მიხედვით, ნიკიფორე ირბახი, იგივე ნიკოლოზ ირუბაქიძე იყო, ომანის ძე, ჩოლოყაშვილთა შტოს წარმომადგენელი. როგორც 7 ენის მცოდნე, განათლებული ქართველი დაფასებული ყოფილა მეფისაგან. ბევრჯერ მიუვლენია ელჩად სხვადასხვა ქვეყანაში. ის ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, აზიასა და აფრიკაშიც. იგი, როგორც სასულიერო პირი, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხარისხში მყოფი, მოღვაწეობდა თბილისში, კახეთსა თუ სამეგრელოში, ასევე იერუსალიმშიც, სადაც წინამძღვრობდა გოლგოთისა და ჯვრის მონასტერს. მან შეაკეთებინა, მოახატვინა, გაამშვენა მონასტერი და ისე გამოიჩინა თავი, რომ სიკვდილის წინ თავის მოადგილედ დაუნიშნავს იერუსალიმის პატრიარქს თეოფანეს. მიუხედავად ამისა, ბერძენ სამღვდლოებას არ უსურვებია და არ დაუმტკიცებია პატრიარქად ქართველი. საქართველოში დაბრუნებულა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, შემდეგ კი რომში წასულა და იქ მიუღია კათოლიკობა. იქვე გარდაცვლილა კიდევ ნიკიფორე ირბახად წოდებული.

იერუსალიმის პატრიარქ თეოფანესაგან განსხვავებით, პატრიარქი დოსითეოსი მკვეთრად უარყოფითად აფასებდა ჯვრის მონასტრის წინამძღვრისა და მისი მოადგილეების საქმიანობას. მათ სდებდა ბრალად მონასტრის ვალებში ჩავარდნას. მართლმადიდებლობის შეუპოვარად დამცველი პატრიარქი „ფრანგთა შორის მიმოსვლის“ - კათოლიციზმისკენ მიდრეკის







გამოც ჰკიცხავდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს და აუგადაც მოიხსენიებდა მას - მხოლოდ გარეგნულად ბერს, შინაგანად კი ამპარტავანსა და ბოროტ კაცს უწოდებდა. თვითონ დოსითეოსი ბევრს მოგზაურობდა მართლმადიდებელ ქვეყნებში, ზრუნავდა რწმენაში მათი გაძლიერებისათვის და შემართებით იღწვოდა ქრისტეს საფლავის გამოსასყიდი ფულის შესაგროვებლად. საქართველოშიც ყოფილა იგი, მიმონერაც ჰქონია ქართველ მეფეებთან. მისი 5 წერილის არქიმანდრიტ უსპენსკისეული რუსული თარგმანი პლატონ იოსელიანმა გამოაქვეყნა 1866 წელს „დუხოვნი ვესტრნიკში“. მათგან ყურადღებას შევაჩერებთ პირობის სიგელზე, რომელიც პატრიარქს მიუცია საქართველოსათვის 1706 წელს. ამ საბუთის ფონზე უფრო გასაგები ხდება დოსითეოსის უარყოფითი დამოკიდებულება ჩოლოყაშვილისადმი. სიგელში აღწერილია იერუსალიმის ქართველთა მონასტრების მდგომარეობა; ნარმოჩენილია ლათინებისა (კათოლიკეების) და სომხების (სომხური სამოციქულო ეკლესია) მცდელობა დაპატრონებოდნენ ვალებში ჩავარდნილსა თუ დანგრევის პირას მისულ მონასტრებს; ნაჩვენებია იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის შეუდრეკელი წინააღმდეგობა მათი წმინდა ადგილების მიტაცების მოსურნეთა მიმართ; გაცხადებულია დოსითეოსის, ქართლის მეფე გიორგისა და მისი ძმის - ლევან ბაგრატიონის (ვახტანგ VI-ის მამის) შეკავშირება და მათი ერთობლივი მოქმედების შედეგი - ერისკაცთა თანხითა და

პატრიარქის შეუპოვარი მცდელობით ვალიდან განთავისუფლებულა იერუსალიმში ჯვრის; წმინდა ნიკოლოზის; წმინდა თეოდორეს; წმინდა ვასილის; წმინდა ანნასი და წმინდა გიორგის მონასტრები. „ამ მონასტრების სრულნი უფალნი ივერიელები არიან. არავის ნება არა აქვს გაედავოს და მათ საქმეში ჩაერიოს. ყველა ვალი და ხარჯი გადაწყვეტილია და ბერძნის პატრიარქს მათზე არავითარი უფლება არა აქვს გარდა ძმობისა და ერთობის მეტი“ - გვაუწყებს სიგელი. აქვე აღვნიშნავთ იერუსალიმის განათლებული პატრიარქის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შემწეობას ქართველებისადმი: სასტამბო საქმის მცოდნე დოსითეოსი წიგნბეჭდვის განვითარების ხელშეწყობითაც ცდილობდა მართლმადიდებელთა გაძლიერებას. იგი იყო ქართლის განმგებლის, ვახტანგ ბაგრატიონის შუამდგომელი რუმინეთის მთავარ კონსტანტინე ბასარაბასთან, რათა საჭირო დახმარება მიეღო პირველი ქართული სტამბის ამოქმედებაში. მაშინ სასტამბო საქმე მაღალ დონეზე იყო რუმინეთში დოსითეოსის აღზრდილის, ნარმოშობით ქართველი მოღვაწის, მრავალმხრივ განსწავლული პიროვნების, ცნობილი მესტამბისა და მიტროპოლიტის, ანთიმოზ ივერიელის დამსახურებით. მისი გამორჩეული მოწაფე, მიხაილ იშტვანოვიჩი ჩამოვიდა ქართლში ვახტანგის სტამბის მოსაწყობად და წიგნების გამოსაცემად. პატრიარქ დოსითეოსისა და რუმინეთის მმართველ კონსტანტინეს წვლილი ამ საქმეში აღნიშნულია სტამბის ისტორიის ამსახველ ლექსში. იგი ერთვის პირველნაბეჭდი ქართული სახარების სასაჩუქრო ცალს, საქართველოდან მადლიერების ნიშნად გაგზავნილს. ეს წიგნი, ივერიელის ავტოგრაფით გადასცემია კონსტანტინე ბასარაბას, დაცულია რუმინეთის სამეფო ბიბლიოთეკაში. გამორიცხული არაა, რომ პატრიარქ დოსითეოსის კიდევ სცოდნოდა ჩოლოყაშვილის როლი პირველი ქართული შრიფტის შექმნასა და პირველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემის საქმეში, მაგრამ ცხადია, მართლმადიდებლურ ქვეყანაში კათოლიციზმის გავრცელების მიზნით დაბეჭდილი წიგნების გამოცემაში მონაწილეობას დამსახურებად რომ არ მიუთვლიდა მას.

ისიც გასაგებია, რომ ცნობილი კათოლიკე განმანათლებელი, იტალიელი მოგზაური და აღმოსავლეთმცოდნე პიეტრო დელა ვალე. დოსითეოსისაგან სრულიად განსხვავებულად, ყოველმხრივ დადებით და ღირსეულ პიროვნებად ნარმოგვიჩენს ნიკიფორე ირბახს. პიეტრო, ეს დიპლომატიური ნიჭით გამორჩეული ადამიანი გავლენიანი პიროვნება რომ იყო სამშობლოშიც და სპარსეთის შაჰის კარზეც. იგი კარგად იცნობდა და აფასებდა საქართველოსა და ქართველებს. პიეტრო დელა ვალე ერთი მხრივ შემწედ და მრჩეველად ევლინებოდა საქართველოში





მყოფ მისიონერებს, მეორე მხრივ თავის ქართველ მეუღლესთან ერთად ცდილობდა ევროპელთა დაინტერესებისა და კეთილდამოკიდებულების გავლენას საქართველოსადმი. მან ერთხანს თავისთან აცხოვრა, უმასპინძლა რომში მყოფ ნიკოფორე ირბახს და გულწრფელად შეწუხდა, რომ მის არყოფნაში სათანადოდ არ მიიღეს და დააფასეს ქართველი ელჩი. როგორც ჯუანშერ ვათეიშვილი იტალიურენოვანი წყაროების საფუძველზე აცხადებს, პიეტრო თანამშრომლობდა ნიკიფორე ირბახთან ქართული ენის პირველი ელემენტარული ლექსიკონისა და იტალიურიდან ქართულ ენაზე ქრისტიანული მოძღვრების შედგენაში (იგულისხმება გამოცემა ანბანი ლოცვებითურთ. სავარაუდოა, რომ ლოცვა ღვთისმშობლისადმი - ლიტანია ლაურეტანაც მისი შემწეობით თარგმნა ჩოლოყაშვილმა). ვათეიშვილი მხოლოდ პიეტრო დელა ვალეს თავმდაბლობას მიაწერს იმას, რომ იგი, როგორც თანაავტორი არ ჩანს. ლექსიკონის შემდგენელად მესტამბე პაოლინის ასახელებს გამოცემის თავფურცელი: „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველი ნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით, სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“. ნიკიფორე ირბახის როლს პოლიგლოტას სტამბაში პირველი ქართული შრიფტის დამზადებისა და პირველნაბეჭდი ქართული წიგნის გამოცემაში უფრო მეტად წარმოაჩენს სტამბის მმართველი, აქვილე ვენერიო, პაპ ურბან მერვესადმი გამოცემის მიძღვნის ტექსტით;

“

**„მამა ნიკიფორემ დახმარება გაგვინია და, სხვა შრიფტებს შორის, ამ ენის ფრიად მოხერხებული და მშვენიერი ასოები ჩამოვასხმევინეთ, მან ჩავვანერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა ამ ენაზე. ლექსიკონი სრული არაა, რადგან დრო ცოტა იყო.“**

”

ამავე ტექსტით ჩანს, რომ ვენერიოს მითითებით, პაოლინის ლექსიკონზე მუშაობისას ევალეობდა ზემოაღნიშნული სიტყვებიდან დასაბეჭდად შეერჩია ყოველდღიურობაში გამოსადეგი, უფრო მეტად გავრცელებული მასალა. იმის მიზეზით, რომ წიგნის ბეჭდვის დროს ქართველი ელჩი რომში აღარ იმყოფებოდა, ხოლო პაოლინის ქართულ ენაში გაუნაფავი იყო, ლექსიკონში ბევრი შეცდომაა დაშვებული სიტყვათა ქართულ დამწერლობაში. გარდა ამისა, წიგნში ქართულის ნაცვლად გვხვდება 47 ბერძნული სიტყვა და ბერძნული ფრაზა. ამან მკვლევარ კარიჭაშვილს აფიქრებინა ქართველი ელჩის

გაიგივება ბერძენ მიტროპოლიტ ნიკოლოზთან, რომელსაც 3 წელი უცხოვრია საქართველოში. ეს მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნია არნოლდ ჩიქობავამ, თვით ფაქტის მნიშვნელობა კი არ უარყო და ჩათვალა, რომ სიტყვანი იყო შედგენილი ბერძნული ლექსიკონის საფუძველზე, რომლიდანაც ზოგი სიტყვა უთარგმნელი დარჩათ. გამოკვლევებმა ცხადყო შეცდომათა ძირითადი მიზეზი. გაირკვა, რომ ირბახის კარნახით ქართული სიტყვები თავდაპირველად ჩაინერეს ლათინური ასოებით ქართული კი დაინერა მისი გამგზავრების შემდეგ. ლექსიკონის შედგენაში ბერძენი თარჯიმანის მონაწილეობასაც ვარაუდობდნენ მკვლევარები გ. ჟორდანიას და ზ. გამეზარდაშვილი. ეს დაადასტურა ზ. სტურუას მიერ წარმოჩენილმა პიეტრო დელა ვალეს წერილმა. იგი 1630 წლის 18 მაისს რომიდან საქართველოში კათოლიკური მისიის ხელმძღვანელის, პიეტრო ავიტაბილესადმია გაგზავნილი. წერილში, რომელშიც საუბარია ნიკიფორე ირბახზე, მის ელჩობასა და ლექსიკონის შექმნის ისტორიაზე, გამოცემაში დაშვებული შეცდომების მიზეზად დასახელებულია ქართველ, იტალიელ და ბერძენ მუშაკებს შორის ერთმანეთის ენის ნაკლებად გასაგებობა. თავისი მოცულობითი სიმცირისა და დაშვებული შეცდომების გამოც, დღეს ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რომში დაბეჭდილ ლექსიკონს. ამის მიუხედავად, შეუცვლელია მისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, როგორც პირველნაბეჭდი ქართული წიგნის, ქართულ-იტალიური პირველნაბეჭდი ლექსიკონის და საერთოდ, პირველი ლექსიკონისა იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში.

რომში, პოლიგლოტას სტამბაში შექმნილი ქართული შრიფტი და პირველნაბეჭდი ქართული წიგნები ერთგვარ გამართლებად ექცა ნიკიფორე ირბახად გარდაცვლილ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს, მის პოლიტიკურად წარუმატებელ ელჩობას, მამულის ბედის თანაზიარ, რთულ ცხოვრებასა, მისი კეთილდღეობისთვის გამუდმებულსა და ვინძლო, გამრუდებულ მოღვაწეობას...

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ფეიქრიშვილი, ჟ., ვაშაკიძე, ი. მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის წ.
2. ჩიქობავა, ა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. II გამოცემა. თბ. 2008.
3. ვათეიშვილი, ჯ. საქართველო და ევროპის ქვეყნები XIII-XIX. თბ. 2014.
4. თამარაშვილი, მ. ისტორია კათოლიკობისა საქართველოში 1902.
5. კარიჭაშვილი, დ. წიგნის ბეჭდვის ისტორია. 1929.
6. თაყაიშვილი ექვ. საისტორიო მასალანი. 1913.
7. ზარიძე, ნ. ტრანსლიტერაციის წესები და პაოლინ-ირბახის ქართული და იტალიური ლექსიკონი (რომი 1629 წელი). დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ 1999.
8. სტურუა ზ. საქართველო მუდამ ჩემს გულთანაა. ვაზი ჯვარისა 1988 N1 გვ.44-47



# პანდემია და ბიბლიოთეკა ONLINE სამყაროში

პანდემიამ, რომელიც ჩვენთვის კორონა ვირუსის (COVID-19) სახელით არის ცნობილი, მსოფლიოს შეუცვალა ცხოვრების სტილი და ტემპი. არ დარჩენილა სფერო, რომელსაც აღნიშნული ვირუსი არ შეხებია. სამყარო აღმოჩნდა ახალი რეალობის წინაშე. პანდემიას არც საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის აუვლია გვერდი და მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა ბიბლიოთეკა რთული არჩევანის და ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მარტივი არ იყო გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტა იმისა, რომელი სერვისი შენარჩუნებულიყო ან როგორ მოხერხდებოდა უჩვეულო სამუშაო რეჟიმსა და გარემოში ძველებურად აქტიურად მუშაობა.

“

**ალბათ, თავდაპირველად, ცოტა დაბნეულობა იყო, თუმცა დღევანდელ რეალობას თუ შევხედავთ სიამაყით შეიძლება ვთქვათ, რომ ბიბლიოთეკამ პანდემიას გაუძლო.**

”

პანდემიამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვეობისთვის ფეხის აწყობა: ბიბლიოთეკების ტექნოლოგიებით აღჭურვა და მათი კარგად ფლობა. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის ინფორმაციის მოძიება და გაცემა. არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო ცოცხალი კონტაქტი ბიბლიოთეკარსა და ვიზიტორს შორის შეჩერებულია, თუმცა იგივე მომსახურეობის მიღება მკითხველებს ონლაინ რეჟიმში შეუძლია: ბიბლიოთეკარები ინტერნეტის საშუალებით მკითხველებს ეხმარებიან სასურველი ლიტერატურისა და ინფორმაციის მოძიებაში, შემდეგ კი მოძიებული მასალის ციფრულ ვერსიებს ლინკების სახით უგზავნიან ინტერნეტის საშუალებით.

“

**კიდევ უფრო მოთხოვნადი და აქტიური გახდა ელექტრონული ბიბლიოთეკები. ბევრმა მათგანმა საჩუქარი გაუკეთა მკითხველს და მომსახურეობა უფასო გახადა. ეს ნამდვილი სამოთხე იყო წიგნის მოყვარულებისთვის.**

”



ნინო შუბითიძე

ბიბლიოთეკებში არ შეჩერებულა არც ერთი აქტივობა, რომელიც პანდემიამდე ხორციელდებოდა, თუნდაც კლუბური მუშაობები. ამ საქმიანობამაც ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა, წევრთა ოდენობამ კი საგრძნობლად მოიმატა.

ბიბლიოთეკები ონლაინ რეჟიმში იწვევენ, მკითხველთა სურვილებიდან გამომდინარე, საინტერესო და კომპეტენტურ ადამიანებს აქტუალურ თემებზე სასაუბროდ. გამოხმაურებებიდან და ნახვებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმატებული წამოწყებაა, რომლის შენარჩუნებაც პანდემიის შემდეგაც ნაყოფიერი და პროდუქტიული იქნება.

ასევე გააქტიურდა ბიბლიოთეკების სოციალური გვერდები. მაგალითად, ფეისბუქ გვერდებზე ხშირად ცხადდება სხვადასხვა სახის კონკურსები: მხატვრული კითხვის, ესსეების, ფოტოკონკურსები, აგრეთვე ვიქტორინები, წიგნების ვიდეო-პრეზენტაციები, მწერლებთან და პოეტებთან ონლაინ შეხვედრები და სხვა.

ზოგიერთი ბიბლიოთეკის ფეისბუქ გვერდის სტუმრობისას აუცილებლად გახდებით „დამსწრე“, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი მინი სპექტაკლებისა, რომლებსაც აქტიურად ამზადებენ ბიბლიოთეკის თეატრალური წრეების წევრები და მათი ხელმძღვანელები.

საამაყო, რომ თავს მოულოდნელად დატეხილი პანდემიის მიუხედავად საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემამ სწრაფად აუწყეს ფეხი ახალ რეალობას, მაღალი პროფესიონალიზმის და საქმისადმი სიყვარულით შეუფერხებლად ფუნქციონირება შეძლო.







ლოლა სანანია

# საზღვარგარეთის ბიბლიოთეკები ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა



ესტონეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე (ა. წ. 12 მარტი) ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა დაიხურა. საგანგებო ვითარება დასრულდა 17 მაისს, ხოლო ამ სიტუაციიდან გამოსვლა ეტაპობრივად მოხდა. თავისთავად გარკვეული შეზღუდვები უკვე შემსუბუქებულია, მაგრამ არის რიგი შეზღუდვები, რომელიც ძალაში კვლავ რჩება.

ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკამ მომხმარებლებს მაისის თვეში გაუხსნა კარი. გახსნის საათები იმთავითვე განისაზღვრა (ორშაბათი-პარასკევი 12-18 სთ., შაბათ-კვირა დასვენება). მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ძირითადი სამკითხველო დარბაზებით, გარდა მცირე ზომის სივრცეებისა (შეხვედრების ოთახი, ბავშვთა ოთახი და მსგავსი სხვა სივრცე).

ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა გვესაუბრა.

**ha უსაფხოხოების ზომებს იყენებს ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო მომსახურების ეგაპობიივი გახსნისას?**

სამკითხველო დარბაზებში მომხმარებლის ადგილების რაოდენობა შემცირდა, რათა საჭირო დისტანცია იყოს დაცული. ჩვენი ფართო სამკითხველო სივრცე საშუალებას გვაძლევს მკითხველებს შორის საჭირო მანძილი შევინარჩუნოთ. გარკვეული შეზღუდვებია კომპიუტერების მოხმარების სივრცესა და აუდიო-ვიზუალურ გამოცემათა მოხმარების სივრცეში. ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში ყოფნისას, ნიღბების ტარება სავალდებულოა. მოწყობილობების დეზინფექცია ხდება ყოველი გამოყენების შემდეგ, სადეზინფექციო საშუალებები აგრეთვე ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვისაც კომპიუტერთან მუშაობის დროს.

**გაიხსნა თუ ახა გამოფენები, გახდება თუ ახა კონფერენციები?**

ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული კონფერენციები და ღონისძიებები შეიძლება განახლდეს 1 ივლისს, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. სრულად შემოდგომაზე განახლდება.

**უსაფხოხოების ha ზომები მიიღეთ და ხოგოი იცავთ მათ?**

ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა თითოეულ თანამშრომელს უზრუნველყოფს პერსონალური დამცავი საშუალებით. იმ ზედაპირებს, რომელთაც ხშირად ვეხებით, დეზინფექცია უტარდებათ ყოველ 2-4 საათში, მაქსიმალურად ყველა სამკითხველო კარი ღიაა, ვინაიდან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კარის სახელურებზე შეხება. ბიბლიოთეკის მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია სადეზინფექციო საშუალებები.

პოსტ პანდემიის შემდეგ, მომხმარებლებს რეკომენდაციას ვუწევთ, ბიბლიოთეკაში გადასაადგილებლად გამოიყენონ კიბეები ლიფტების ნაცვლად. საჭიროების შემთხვევაში, ლიფტით შეიძლება ისარგებლოს ორმა ადამიანმა ერთდროულად, ისიც თუ ისინი ერთად შეიკრიბნენ. შენობის სავენტილაციო სისტემა მუშაობს უფრო მძლავრ რეჟიმში.

ამ ეტაპზე, ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკა მიჰყვება და იცავს ყველა იმ რეკომენდაციას, რაც სახელმწიფოს მიერაა შემუშავებული და რეკომენდირებული, ხოლო საჭიროების შემ-

თხვევაში შეცვლის მუშაობის პრინციპს და/ან ჰიგიენის წესებს.

მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს წიგნი ინტერნეტით ან შეარჩიოს ისინი უფასოდ - წიგნის დისპენსერის საშუალებით, რომელიც მთავარ შესასვლელთან დგას, ან შენობის პირველ სართულზე განთავსებული თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით. წიგნების დაბრუნება შესაძლებელია ასევე ზემოთ ხსენებული წიგნის დისპენსერის და ბიბლიოთეკის ფოიეში განთავსებული ყუთის მეშვეობით. დაბრუნებული წიგნები იზოლირებულია მინიმუმ 72 საათი.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 2020 წლის აპრილის თვეში ესტონეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 82% -ით მეტი ახალი მომხმარებელი შეიძინა, ვიდრე 2019 წლის აპრილში.

**და ბოლოს,**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ვუსურვებ წარმატებას და წინსვლას.





# განწირული სულისკვეთება

“

სამსახურში მყოფს, რუტინულ საბიბლიოთეკო საქმიანობაში თავჩარგულს განყოფილების უფროსის ხმა ჩამესმა, მეძახდა, ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ხელნაწერთა ფონდში დაცულ მოგონებაზე მიმითითა. მოგონება არჩილ კორინთელს ეკუთვნის, ჟურნალ „კრონოსის სარკის“ დაბადება-გამოშვებას ეხება. ვიგრძენი ჟურნალის სახელმა ჩემი ყურადღება მიიპყრო, შემდეგ მოგონებებსაც გადავხედე, ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სიტყვები გამახსენდა – განწირული სულისკვეთება და რადგანაც მთლად ფუჭად მაინც არ ჩაუვლია ახალგაზრდა სიმბოლისტთა წამოწყებას, მეც ამ ჟურნალზე მინდა მოგიხსროთ.

”

ჟურნალის სახელი ძალიან უცნაურია, თუმცაღა ნიშანდობლივი სიმბოლისტური მიმართულებით გატაცებული ახალგაზრდებისთვის.


ჟურნალის სახელი ძალიან უცნაურია, თუმცაღა ნიშანდობლივი სიმბოლისტური მიმართულებით გატაცებული ახალგაზრდებისთვის. ვისგან მოდიოდა იდეა ჟურნალის ასეთი დასათაურებისა და ვის ეკუთვნის ეს მიზეზებიდან წამოსული დასახელება უცნობია. კრონოსი ძველბერძნულ მითოლოგიაში ცის მეუფე ურანისა და მიწის ქალღმერთ გეას ნაბოლარა შვილია, ღმერთი დროისა და მიწათმოქმედების. მან დედასთან ერთად შეთქმულება მოაწყო მამის წინააღმდეგ, რომელიც დამხობის შიშით თავის შვილებს ქვესკნელში, ტარტარის სამეფოში ამწყვდევდა. მამა დაასაჭურისა, დაამარცხა და იქცა ქვეყნიერების მეუფედ. გამეფებული კრონოსი თავადვე იქცა ტირანად, გათავისუფლებული ძმები ისევ დაამწყვდია, ძალაუფლებაში შეცილების შიშით კი შვილების ქამა დაიწყო. კრონოსის დამ და ცოლმა (რეამ) მალულად შობილი შვილის ნაცვლად კრონოსს გადასაყლაპად მისცა ლოდი და პატარა ზევსი გადაურჩა მამის რისხვას. შემდეგ ყველაფერი განმეორდა, ზევსი გაიზარდა, გაათავისუფლა თავისი ბიძები, აიძულა კრონოსი გადასანსლული შვილები უკან დაებრუნებია. ზევსმა და მისმა მოკავშირეებმა კრონოსი სწორედ იმ ტარტარის ქვაბულში ჩაიყვანეს, სადაც ადრე თავად მალავდა ძმებს. აი ასეთი მითოლოგიური პერსონაჟის, ბოროტებასთან მეტროპოლი და თავად საკუთარი ბოროტებით ძლეული ღმერთის ანარეკლი დაერქვა ჟურნალს.

ფრიად საინტერესოა ისტორიაც ჟურნალის „დაბადება“-გამოცემისა, რაღაც ბარათაშვი-



ანა ჰაჰანიძე

ლისეული „განწირული სულისკვეთებით“ ნასაზრდოები. საუკუნეთა ცვლილებას ყოველთვის მოაქვს რაღაც ახალი, რაც თავისთავად ძველის ნგრევას, მის წინააღმდეგ გალაშქრებასა და ახლის დანერგვას, აღმოცენებას გულისხმობს და მე-20 საუკუნემაც მისცა მსოფლიოს ის კულტურული მიმდინარეობა რაც შეიძლება გაერთიანდეს ფართო ტერმინით „მოდერნიზმი“. ამ მიმდინარეობით გულანთებულმა, შაბლონური პოეზიისგან გადაღლილმა და როგორც თავად ამბობდნენ – ახალი ფერებით წერის მსურველმა ახალგაზრდა სიმბოლისტ პოეტთა ჯგუფმა 1919 წლის გაზაფხულზე გამოსცეს ყოველკვირეულ სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთ „იას“ პირველი ნომერი. გაზეთის მეორე ნომრისთვის საუკეთესო მასალა შეაგროვეს, უკვე სახელმწიფო პოეტები – გალაქტიონ ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილიც შეიპირეს ახალი ლექსების მიწოდებაზე, მაგრამ უსახსრობისა და ქალაქის უქონლობის გამო მისი გამოცემა ვეღარ მოახერხეს. გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებს (ტერენტი კვიციანი (იგივე წალენჯიხელი, გრანელი), არჩილ კორინთელი, ივანე მიქელაძე (ქილდელი), ირაკლი ყანჩელი) იმედი მაინც არ დაუკარგავთ და 1919 წლის ზაფხულის მიწურულს გაუჩნდათ იდეა გამოეშვათ



ახალი ვრცელი დასურათებული მხატვრულ-სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი. იდეის განხორციელებისთვის მხოლოდ სურვილი არ კმაროდა და დაიწყო ფიქრი, როგორ და რა გზით მოეპოვებინათ სახსრები ჟურნალის გამოსაცემად. გადაწყვიტეს მოეწყოთ ლიტერატურული საღამო-კონცერტი, დაიქირავეს მიხაილოვის (შემდეგ პლუხანოვისა და ამჟამად აღმაშენებლის) პროსპექტზე მდებარე ხელოსანთა კლუბის საკონცერტო დარბაზი, შეადგინეს წითელი ფერებით მორთული აფიშა სახელმძოხვეჭილ და დამწყებ პოეტთა და მწერალთა ჩამონათვალით. სამწუხაროდ, ბილეთები არ გაიყიდა და წარმოდგენაც არ შედგა. შემდგომ არჩილ კორინთელი იხსენებს: „ის ღამე, როგორც მე და ივანე ქილდეღმა, ისე ტერენტი წალენჯიხელმა და სხვებმა წვიმის ხმაურში შავბნელ ფიქრებში თეთრად გავათენეთ“. როგორც ჩანს სიახლის ძიებით გულანთებულ ახალგაზრდათა წამოწყებას ასეთი დასასრული არ ელოდა და აი ზაფხულის ერთმა წვიამიანმა დღემ ერთად შეჰყარა ტერენტი გრანელი, არჩილ კორინთელი, ივანე ქილდეღი, გალაქტიონ ტაბიძე, ალექსანდრე მაისურაძე (ქართული ხალხური სიმღერა-გალობის გუნდის ლოტბარი), გიორგი ჩხეიძე (ქუჩიშვილი). ისიდოროვის ქუჩის პატარა ეზოს სვით შემოფარგულმა ხეივანმა იმ დღის საინტერესო ისტორია შემოინახა. ერთად შეკრებას ქეიფი და ჟურნალ „კრონოსის სარკის“ დაბადება მოჰყვა. სუფრას გალაქტიონი ხელმძღვანელობდა, უმღერია კი-

დეც, ამ სუფრაზე მომხდარა ტერენტის გრანელად „ნათლობაც“. ქეიფობდნენ, მღეროდნენ, ექსპრომტად შეთხზულ ლექსებს კითხულობდნენ და ჟურნალის გამოცემასაც საძირკველი ეყრებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში, გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის და ალექსანდრე მაისურაძის დახმარებით ახალგაზრდებმა ზუბალაშვილის თეატრის (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის ადგილზე მდებარე სახალხო თეატრი) შენობა დაიქირავეს, დიდი აფიშა შეადგინეს და საღამო-კონცერტი ჩაატარეს სამ განყოფილებადა. პირველ განყოფილებაში გამოვიდნენ გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ტერენტი გრანელი, ერეკლე ყანჩელი, სხვა დამწყები პოეტები. მეორე განყოფილებაში ივანე ქილდეღის კომედიამ დარბაზი მეტად გაამხიარულა. მესამე განყოფილებაში ალექსანდრე მაისურაძის ლოტბარობით მომღერალთა დიდმა გუნდმა საზოგადოება ძლიერ მოხიბლა. ახალგაზრდა პოეტთა და მწერალთა ჯგუფის (ჟურნალის სარედაქციო კოლეგია) ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და 1919 წლის ოქტომბრის თვეში მოხერხდა სამხატვრო-სალიტერატურო პატარა ჟურნალის „კრონოსის“ პირველი ნომრის გამოცემა.

“

**ხელში ამ პატარა, 8 გვერდიან ჟურნალს ვიღებ – გაცრეცილი ყვითელი ფურცლები, ორიგინალურად გაფორმებული თხელი ქაღალდის ყდა, ღამაში შრიფტი, სადა ბოლოსამკი – ვრცელი დასურათებული ჟურნალის გამოცემა გადავწყვიტეთო მახსენდება.**

”

ნომერში დაბეჭდილია ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გაჩეჩილაძის (კონნე სპერელლი), არჩილ კორინთელის, ირაკლი ყანჩელის ლექსები. შესავალში, რომლის სათაურია – ახალ სამყაროში, ვკითხულობთ: „სიმბოლიზმის ჯადოს-







ნური ცეცხლის ალი მოედო ძველ შაბლონურ პოეზიას. დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები, და წითელ რაშების თეთრი ზმანება... ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჯირითი იქ სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები, ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი... ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელ ალმურით... სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი. გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში". და ეს ახალგაზრდებიც ასაკის შესაფერისი მაქსიმალიზმით გადაეშვენენ უსაზღვრო სივრცეში – პოეზიაში, მიზნად მარადისობის შექმნა დაისახეს, შეუკავებელი სული ახალი სამყაროსკენ მიაქანებდათ. ირგვილ არსებული რეალობა კი უკან არ იხევდა, ქალაქის სიმცირის გამო ჟურნალი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა – სულ 200 ეგზემპლარი. მეორე ნომრის გამოცემასაც ბევრი ჯაფა დასჭირდა, დიდი ძალისხმევის შემდეგ მაინც დაბეჭდეს 250 ცალი. კვლავ იგივე ავტორთა ლექსები, აკაკი ბერიკაშვილის და დემნა შენგელაიას მინიატურები, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებისა“ და ქუთაისში გამოცემულ ჟურნალ „ხელოვნების“ (1919) განხილვა. ერთმანეთსაც უძღვნიდნენ ლექსებს. მაგალითად, კონნე სპერელლმა ლექსში – შენ სარკვეში: ტერენტუს გრანელს, თითქოს უწინასწარმეტყველა:

ჟამთა სრბოლაში არ იმსხვრევა შენი ტყუილი!  
მიხვალ? გიცნობენ შორეულნი დანმენდილ ხმაზე.  
დემნა შენგელაიას მინიატურის წაკითხვისას კი სიყვარულის და სიკეთის რწმენა გიბრუნდება:  
„ჩემს სატრფოს კუნაპეტივით, გიშრის სიზმარივით შავი თვალები აქვს.

მის თეთრ-ყირმიზ ღანვთა კან ქვეშ ალისფერი სისხლი ისე თქრიალობს, როგორც გახლეჩილ ბროწეულში ძონისფერი წვენი.

ასეთია ჩემი სატრფო, ასე მღერს იგი ჩემს სულში!...“.

ჟურნალში დაბეჭდილ ტერენტი გრანელის რეცენზიას, სადაც ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“ არის შეფასებული აშკარად ატყვია სიმბოლისტური ესთეტიკის კვალი. აძლევს რა უმაღლეს შეფასებას ვალ. გაფრინდაშვილის პოეზიას, გრანელი წერს: „დიდი გაუგებრობა და ყალბი წარმოდგენაა ჩვენში სიმბოლიზმზე. ორიგინალობა მხოლოდ სიცილს იწვევს საქართველოში, მაგრამ ამას მომავალი გაამართლებს და ეჭვი არ არის კერძოდ გაფრინდაშვილის და საერთოდ სიმბოლისტების სახელი წარუშლელი დარჩება ხელოვნების ისტორიაში“.

“**ჟურნალის „კრონოსის სარკის“ ორივე ნომრის გამოსვლამ კრიტიკოსთა დიდი ყურადღება მიიქცია. კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ ჟურნალს რუსულ გაზეთში ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვნა, ივანე გომართელმა კი 1920 წელს გაზეთ „ერთობაში“ სასტიკად გააკრიტიკა სიმბოლისტი პოეტები და მწერლები, მათ შორის ჟურნალი „კრონოსის სარკეც“.**”

ჟურნალის მესამე ნომრის მასალების მოპოვებისთვის ყველაზე მეტად ტერენტი გრანელი ზრუნავდა, დაულაღავად დარბოდა, სახელმწიფო თუ დამწყებ პოეტებსა და მწერლებს შორის აგროვებდა თურმე რჩეულ ნაწარმოებებს და მოწინებთ ინახავდა უბეში. „ცისფერ-ყანწელთა“ სამებაზე (ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ მინიშვილი) ძალიან განაწყენებულა, თქვენი ჟურნალის შესაფერისი არაფერი დაგვიწერიო – უთქვამთ, აი ვალერიან გაფრინდაშვილის კი ძალიან კმაყოფილი იყო.

ჟურნალის პირველი ნომერი ოთხი მანეთი ღირდა, მეორე ხუთი. ჟურნალის მესამე ნომრის გამოსაცემად სახსრების მოპოვება მაინც ჭირდა, 1919 წელი ძალიან დუხჭირი ყოფილა, ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა. ამას ისიც დაემატა, რომ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, არჩილ კორინთელი დუშეთში გადავიდა სამუშაოდ. მისი გადანაცვლებით ირაკლი ყანჩელი, ტერენტი გრანელი, ივანე ქილდეგი მეტად განაწყენდნენ. კორინთელმა „კრონოსის სარკის“ მესამე ნომრისთვის შეგროვილი, წესრიგში მოყვანილი მასალა ტერენტი გრანელს დაუტოვა. ტერენტი გრანელმა და ირაკლი ყანჩელმა ქალაქის შოვნა ვერ შეძლეს და დეკემბრის მესამე ნომრის გამოცემა აღარ მოხერხდა, ამით ჟურნალ „კრონოსის სარკის“ გამოშვება შეწყდა.

ბოლოს, ტერენტი გრანელის სიტყვები მიიწვინა გავიხსენო, სადაც წერს: „ხელოვნების ცხოველმა შექმა უნდა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნჭულები, აამოძრავოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა, უნდა მძლავრად ამეტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გადავარდნილი“. „კრონოსის სარკის“ გამოცემა სწორედ ამ სულისკვეთებით იყო ნასაზრდოები და რარიგ აქტუალურია იგი დღესაც.

# იუმორისტული თანდენციები გურამ ოდიშარიას რომანში



მწერალ გურამ ოდიშარიას ბოლო რომანი „შენთან უშენოდ“ გამოირჩევა იუმორის ხერხებისა და საშუალებების მალალ მხატვრული ღირებულებების გამოყენებით.

განმტკიცებელი აზრის თანახმად, დაცინვის სიმწვავის ხარისხს, შეეფერება ან სატირის და ან იუმორის სახელწოდებაც, რომელთაგან პირველს მწვავე დაცინვა წარმოადგენს, ხოლო მეორე კი მისი შენელებული გამოსახულებით იუმორის სახით გვეძლევა. იგი მოვლენისადმი ერთგვარი სიმპათიური დამოკიდებულებით ხასიათდება.

წიგნის ავტორი, სწორედ, ობიექტისადმი დამოკიდებულების მკაცრი და აბუჩად ამგდები სიმკაცრის ხარისხის მაგიერ ირჩევს გაკიცხვის თანაგრძობის გამომხატველ მეთოდებს, რითაც რომანი იუმორისტულად უნდა მივიჩნიოთ.

“

**შეიძლება თამამად ითქვას, რომ მწერალ გურამ ოდიშარიას რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს ცრემლ-ნარევი, სევდიანი იერის მქონე გულკეთილი სიცილი, რაც ახალი დროის იუმორისტებს ახასიათებს.**

”



**მარიამ მარჯანიშვილი**

აქედან გამომდინარე კი იუმორის გრძობა ინვესს „სიცოცხლის გაადვილებას“, იგი ხელს უწყობს „მძიმე წუთების“ გადატანას, რომლითაც დამუხტულია მთელი წიგნი.

ასევე, არ განვმეორდებით თუ ვიტყვით, რომ იუმორის მეოხებით მწერალი მალდება მოვლენებზე, სადაც აშკარად ჩანს პიროვნების სიძლიერე. როდესაც ადამიანი დასცინის საკუთარ შეცდომას - ამით იგი უკვე ასწორებს მას; როდესაც ადამიანი ამჩნევს თავის განცდების უნიადაგობას, როდესაც იგი ღიმილით სძლევეს და ერევა მათ, როდესაც ადამიანი ახერხებს ერთგვარი დამცინავი ტონით თავის საქციელის შეფასებას - ასეთი ადამიანი უკვე ქმნის საფუძველს თავის თავზე ამალღებისათვის.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მწერალს მთავარ გმირად საგანგებოდ შემოჰყავს ხელოვანი მევიოლინე ზაზა, რომელიც უკვე ხანდაზმულ ასაკში თავის მოგონებებს ააშკარავებს და გამოცდილი, მრავალ ჭირ-ვარამს გადატანილი კაცის პოზიციით აანალიზებს მოვლენებს, რითაც დასტურდება თავისი ბუნებით იუმორის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათი და მისი გაგება, ადამიანის სულიერი განვითარების მომნიჭებას რომ საჭიროებს, რათა უკვე „ამალღებულმა“ გარკვეული მიმართულება დაამყაროს გარე სამყაროს მოვლენებთან.

რომანის დასაწყისშივე, მწერალს მწარედ დაცინვის საგნად სოხუმის ტურბაზის ცხოვრება აქვს წარმოჩენილი, როგორც „სამოთხის მოდელის კაპიტალიზმის თანამონაწილეობის გარეშე რომ ყალიბდებოდა“...

ტურბაზა ყოფილ სასაფლაოს ტერიტორიაზე „უფრო ზუსტად, ქალაქმა სასაფლაოს ტურბაზა დააშენა“ - განლაგდა და მას „მოგვიანებით მკვდრებისა და ცოცხლების გაერთიანებულ სამყოფელს ტურბაზა „კომკავშირელის გზა“ დაერქვა“.

ტურბაზა „თავის ჩაკეტილ, სხვებისთვის აკრძალულ სივრცეში ქალაქისაგან განსხვავებული წესითა და რიგით ცხოვრობდა“.





სწორედ, ამ ტურბაზის ანსამბლ - „მომავლის ხმების“ - ბას-გიტარაზე უკრავდა რომანის მთავარი გმირი ზაზა, რომლის თვალწინ „მხიარული“, ლაღი და უსაზღვროდ ბედნიერი ცხოვრება“ ზეიმობდა, სადაც „ყოველდღიურ კოცნათა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ქალაქის ბაღებისა და სკვერების ყვავილების საერთო რაოდენობას“.

ტურბაზის ტყუილზე ანუ საბჭოთ იდეოლოგიაზე დამყარებულ საქმიანობას, როგორც კულტურისა და დასვენების ახალ „მოდელს“, სასტიკად დასცინის მწერალი: „ტურბაზის ბურჯი დირექტორი იყო, არკადი ბესარიონოვიჩი. მას სტალინთან საერთო არა მარტო მამის სახელი და უღვაში ჰქონდა, არამედ - იდეოლოგიაც, ორგანიზაციისა და დისციპლინის უნარი და ნიჭი...“

არკადი ბესარიონოვიჩი კაბინეტში სტალინის პორტრეტის ჩამოკიდებით ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა, რომ ის სტალინივით უშიშარი იყო. მის მცდელობას შთამბეჭდავი ეფექტი ჰქონდა - ბესარიონოვიჩის ერთნაირად ეშინოდათ და ერიდებოდათ, როგორც ტურბაზის თანამშრომლებს, ასევე ტურისტებსაც“.



**მკითხველს თავისი გულახდილობით იმთავითვე იზიდავს რომანი, სადაც ნაძალადევად არ არის შემოტანილი არც ერთი ხელოვნური და გამოგონილი სიტუაცია.**

მწერალს არ ეტყობა არავითარი საგანგებო ცდა იმისათვის, რომ კომიზმის შთაბეჭდილება შექმნას: „არკადი ბესარიონოვიჩის ტურბაზის უცვლელი დირექტორობის საიდუმლო მაღალი რანგის ჩინოვნიკების მისადმი კეთილგანწყობა იყო. ამ კეთილ განწყობას კი მისი მოხერხებულობა განაპირობებდა - როდესაც მაღალი რანგის ჩინოვნიკებს მაღალი რანგის სტუმრების ძალიან მაღალ დონეზე მიღება სჭირდებოდათ, მათთვის წელიწადის ნებისმიერ დროს „კომკავშირელის გზაში“ დაჯავშნილი იყო განსაკუთრებული ლუქები.“

...ასევე, დროდადრო, მაღალი რანგის ჩინოვნიკებს ლამაზ, ლაღ და უსაზღვროდ თავისუფალ ქალებთან სურდათ განმარტობა.

ეს საქმეც „კომკავშირული გზის“ შიდა, არაოფიციალური განაწესის შესაბამისად, ზედმინევით უზადოდ სრულდებოდა.

ისეც ხდებოდა, რომ მაღალი რანგის ჩინოვნიკი დირექტორს დაურეკავდა და აუწყებდა, დღეს ქალთან ყოფნის ხასიათზე ვარ, მაგრამ ქალი არ მყავსო. მოვავარებთ ამ საკითხს, დაგირეკავთ და მობრძანდითო, ამშვიდებდა ქალთან ურთიერთობის ხასიათზე მოსულ ჩინოვნიკს ტურბაზის დირექტორი.“

მწერალი რომანში ხშირად მიმართავს იუმორისტულ სახეებს, ანუ ამა თუ იმ სიტუაციის კომიკურ გაზრებას. ასე, მაგალიდათ: „ლუქსი გა-

ნსაკუთრებულად პატივსაცემი სტუმრებისთვისაა განკუთვნილი, ახლა იქ კომპარტიის ცეკას პასუხისმგებელი ჩინოვნიკი ცხოვრობს, ერთი კვირის წინ ტურბაზაში დააბინავეს, საოლქო კომიტეტის მუშაობას ამოწმებს.“

...ჩინოვნიკი 70 წლის მკაცრი სახის კაცი აუჩქარებლად გადმოვიდა შავი „ვოლგიდან“ და ნელი ნაბიჯებით შევიდა კორპუსის შესასვლელში. საოლქო კომიტეტის ორი ინსტრუქტორიც, რომლებიც დიდ სტუმარს აეროპორტიდან მოაცილებდნენ, ასევე დინჯად და მოწინებით მოჰყვებოდნენ, ცდილობდნენ, მისთვის აენწყოთ ფეხი. გამოსდიოდათ კიდეც. ერთს მისი პორტფელი მოჰქონდა, მეორეს - ჩემოდანი...

ერთ საღამოს ჩინოვნიკის კარზე ქალის ხმა გაისმა: „თქვენმა მეგობრებმა გამოგიგზავნეს ჩემი თავი... საჩუქარი ვარ...“

- გემოვნებიანი მეგობრები რომ მყავდა კი ვიცოდი, მაგრამ... მოკლედ, რა გადაიხადეს ჩემმა მეგობრებმა ამ ფანტასტიკურ საჩუქარში...“

- ათასი მანეთი?! ასეთი საჩუქარი ნაკლები არ ღირს...“

- მე კონკრეტულად მიყვარს და პირდაპირი საუბარი. ვატყობ, რაღაცით ვგავართ ერთმანეთს, ჩემნაირი ხარ... მოკლედ, ასე - გავიყოთ ის ფული, ხუთასი მანეთი შენ, 500-ც მე...“

... - იქნებ სამასი მაინც... სამასი მანეთი მომეცი და დანარჩენი შენი იყოს...“

- არა, არა - მეტი... აზრზე მოდი, ეს რომ გაიგონ, ჩვენი მეგობრები რას იტყვიან შენზე?..“

- შენც ხარ რა... როგორ გაიგებენ?..“

- სინდისი არ გაქვს?..“

- მე ხომ საჩუქარი ვარ და არა ვაჭარი.“

ამ დიალოგში აშკარად ჩანს მთელი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის სისტემისა და მისი „მაღალ-ზნეობრივი“ იდეოლოგიის დაცინვა.

ამასთან ერთად, ეს დიალოგი ქალთა ძალადობისა და სამსახურეობრივი ზენოლის მაჩვენებელია, რომელიც აშკარად შეიცავს ტრეფიკინგის ნიშნებს. მაშინ, როცა მთელ საბჭოეთში ქალი მოჩვენებით მამაკაცთა თანაბარუფლებიანი და თანასწორი გახლდათ.

ქალთა დიკრიმინაციის „საუკეთესო“ მაგალითებს ვხვდებით რომანის სხვა ადგილებშიც: „დაწესებული გრაფიკის მიხედვით ღამით ტურბაზაში შემოსვლის დრო 23 საათი და 30 წუთით იყო განსაზღვრული. მას, ვინც ამ წესს დაარღვევდა და დააგვიანებდა, საყვედურს უცხადებდნენ, ან კიდეც - მის სამსახურში იგზავნებოდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ „კომკავშირულ გზაში“ ყოფნისას განაწესის დამრღვევი, ვთქვათ, „მავანი N“, უგულვებლყოფდა ქცევის ნორმებს და შემჩნეული იყო ამორალურ საქციელში, რაც არა და არ შეეფერებოდა საბჭოთა მოქალაქეს და სახელს უტეხდა იმ შრომით კოლექტივს, რომელიც ენდო მას და საგზურით დაასაჩუქრა.“

“

**ამ ეპიზოდით ნათლად ჩანს სერიოზულისა და სასაცილო ეპიზოდების შერწყმა, მისი სატირული შეფასება. მწერლისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ იგი ადვილად ახერხებს კომიკურიდან ტრაგიკულზე გადასვლას:**

”

„უქალოდ დარჩენილი ჩინოვნიკისთვის ქალის მოპოვების ოპერაციას სანიჩი ხელმძღვანელობდა. 23:30-ის შემდეგ მის კაბინეტში ტურბაზის წიშკართან მორიგე მილიციელს დაგვიანებული ტურისტები შემოყავდათ. სანიჩი მათ შორის ყველაზე ლამაზ და ახალგაზრდა ქალს შეარჩევდა... მერე უხსნიდა ქალს, რომ ამ დაგვიანებით დანაშაული ჩაიდინა, რომ ტურბაზის ხელმძღვანელობისთვის სანდო წყაროსგან ცნობილია, რომ იგი რომელიღაც ქალაქელ რომეოსთან გვიანობამდე სეირნობდა...“

ახსნა-განმარტების შემდეგ სანიჩი ანუგეშებდა ქალს, რომ არსებობს გამოსავალი - ერთ პატივსაცემ კაცს სურს მასთან შეხვედრა და გასაუბრება, ანუ ახლოს უნდა მისი გაცნობა, ძალიან ახლოს.

თუ ქალი ნათქვამის არსს ჩანვდებოდა და მაინც უარს ეტყოდა სანიჩს შემოთავაზებაზე, მაშინ სანიჩი აამოქმედებდა მეორე გეგმას - კაბინეტში ამ ქალის ხელმძღვანელს დაიბარებდა. და მკაცრად განუმარტავდა: ამ ქალმა ჩაიდინა საბჭოთა მოქალაქისთვის სამარცხვინო საქციელი და უარს აცხადებს ერთ ძალიან პატივსაცემ ადამიანთან შეხვედრასა და საუბარზე, რომ სანიჩი იძულებულია წერილი მისწეროს იმ ორგანიზაციას, სადაც ეს ქალი მუშაობს.

მოკლედ ჯგუფის ხელმძღვანელი, სანიჩის ნათქვამს, როგორც პარტიულ დავალებას ისე ასრულებდა და მალევე ტურბაზაში დაგვიანებით მოსული ლამაზმანი დროულად მოსულ პატივცემულ ჩინოვნიკს გაქათქათებულ ლოგინში ძალიან ძალიან ახლოს ეცნობოდა.“

ავტორი რომანში ერთი ნაწარმოების ფარგლებში მრავალ საკითხს განიხილავს. ეს განიხილვა სხვადასხვა თვალსაზრისით და სხვადასხვაანაირი ტონის ფონზე ერთი და იმავე თხზულების შიგნით მიმდინარეობს.

ტურბაზის სასიყვარულო ეპიზოდებთან ორგანულადაა შერწყმული ისეთი „მრავალ ამბავიანობა“, რომელიც ახალმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოიტანა თავის მანკიერებასთან ერთად: „როგორც კი საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, ქალაქში ახალი ხალხიც გამოჩნდა, „არაფორმალებად“ წოდებულნი. ყოველდღე იქმნებოდა რამდენიმე ახალი პარტია, იურიდიულადაც მყისვე ფორმდებოდა. ახლებმა ძველები ჩაანაცვლეს და მილიციელებისა და საქმოსნების მიერ შეგროვებული ფულით ტურბაზაში ახლა უკვე არაფორმალებისთვის იშლებოდა სუფრები, მათთვის ფართოდ იღებოდა „ლუქ-

სების კარები“, ახლა მათთვის კისკისებდნენ ლალი ლამაზმანები, ანუ ტურბაზაც ახალ დროშიც განაგრძობდა არსებობას. ახალ დროშიც ადამიანი ადამიანი იყო, თავისი უცვლელი არსით, საჭიროებებითა და ემოციებით. ერთ დროს დაფითა და ნალარით მოსული კომუნისტები ჩუმად მიიპარებოდნენ, უკანა კარიდან. ტურბაზის მომღერლები უკვე ეკლესიაში, მგალობელთა გუნდში გალობდნენ ფსალმუნებს, რამდენიმე მათგანი სხვადასხვა პარტიაში გადანაწილდა, ჩქარობდნენ, არავინ დაგვასწროს იქ შესვლაო. ეკლესიაში დაიწყეს სიარული ყოფილმა კომუნისტმა ჩინოვნიკებმაც, რომლებმაც სახალხოდ დახიეს თავიანთი პარტიილეტები. ისინი უკვე პირველად გადაწერას სწავლობდნენ, ცდილობდნენ, მსუბუქად და ადვილად გარდასახულიყვნენ, გადაბარგებულიყვნენ ახალ დროში, მაგრამ რთულად გამოსდიოდათ ეს ყველაფერი.“

“

**ეს იყო ის მკაცრი რეალობა, სადაც მწერალი „ახალი მოვლენებისა“ და მისი მანკიერებისადმი პირდაპირ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას. და, ეს განსაზღვრავს რომანის განსაკუთრებულ დინამიკურობასაც.**

”

ნაწარმოებში, უხვად, მაგრამ მიზანმიმართულადაა წარმოჩენილი იუმორისტული ტენდენციების ობიექტები: ფარისევლობა, მლიქვნელობა, კარიერიზმი, მექრთამეობა, წოდებრივი უთანასწორობა, ბიუროკრატიზმი, ორპირობა, ცრუ ზნეობრიობა და სხვა მანკიერებანი.

„როდესაც საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ დირექტორმა ვიტალი თოფურიძემ თავის კოლეგებს, ანუ სხვა საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს შესჩივლა, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებ, ყველაფერი რიგზე მაქვს, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ყოველთვიურ თათბირზე ასე გამეტებით რატომ მკვრიტიკებსო, ერთ-ერთმა დირექტორმა განზე გაიყვანა და უთხრა:

- ვიტალი, ძმაო, ახალი დირექტორი ხარ და ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იცი. აი, როდესაც, თათბირის შემდეგ, განყოფილების გამგე თავის კაბინეტში გიბარებს და საქმეებზე ერთი-ერთზე გესაუბრება, ხომ გამონევს ხოლმე თავისი მაგიდის მარჯვენა უჯრას?

- კი, საუბრისას გამონევს ხოლმე მაგიდის უჯრასო, დაუდასურა ვიტალი თოფურიძემ, ხანდახან რამდენჯერმეო.

- ხოდა, საქმეც ისაა, რომ შემდეგი ასეთი საუბრისას იმ უჯრაში ფული უნდა ჩაუდო... ფულის დასტა, კონვერტი. გაიგე?

- ვიტალი თოფურიძემ გაიგო და ისეც მოიქცა, როგორც ურჩივს.

შემდეგ თათბირზე ცეკას განყოფილების გა-





მგე აღნიშნავდა:

- ამხანაგებო, „სიხარულმა“ შეისმინა ჩვენი კრიტიკა, მდგომარეობა მკვეთრად გამოასწორა და უკვე ნარმატებულად მუშაობს. ასე თუ განაგრძო, „სიხარული“ ერთ-ერთი მოწინავე გახდება, ოღონდ ამისთვის ბევრად მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე დღემდე აკეთებდა, ჩვენც ყოველნაირად დავეხმარებით. გასაგებია ამხანაგო თოფურიძე?!

ყველაფერი გასაგები და ნათელი იყო, რა თქმა უნდა“.

ასევე მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება რომანში სატირულ-იუმორისტული გაკენვლის თვალსაზრისითაც: „იმ პერიოდში შევარდნაძემ განაცხადა, საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო. ამ ფრაზამ თავდაპირველად კი დააბნია გეოგრაფები, მაგრამ მერე, ხალხთან ერთად, ისინიც ხუმრობის ხასიათზე მოიყვანა. სანიჩი ვერ ბედავდა შევარდნაძის ფრაზის სრულ ციტირებას, მაგრამ იმ დროისათვის უკვე დაშვებული ხუმრობის ფარგლებში ტურისტებს მაინც მიანიშნებდა ჩრდილოეთიდან ამოსულ მზეზე.“

რომანში მწერალი ასევე ოსტატურად იყენებს სამწუხაროდან სასაცილოზე გადანაცვლების უნარს და მკითხველს უტოვებს რიტორიკულ კითხვას: „როდესაც მთებში ოქროს მალაროს ვეძებდით, გამყოლები დავიქირავეთ, ორი მთელი და გზას გაუდევით. ერთი კვირის შემდეგ მათ გვითხრეს, ძალიან სწრაფად მივდივართ და ჩვენი სულები ვერ გვენევიან უნდა დაველოდოთ, თორემ სულები სადმე დაგვეკარგებიანო. ორი დღე მათ მოლოდინში გავატარეთ, მესამე დღეს კი გამყოლებმა თქვეს, სულები უკვე ჩვენთან არიანო და გზაც განვაგრძეთ.“

და მწარედ ჩავფიქრდით - კი მაგრამ, ჩვენი სულები, ჩვენი? სად არიან ჩვენი სულები? დიდი ხანია, გაუსწარით მათ და არც ველოდებით? თუ ჩამოვრჩით?... არ ვიცით. და არც ის ვიცით, საით მივდივართ და რისთვის გვჭირდება ოქროს საბადო.“

ეს აზრი ალექსანდრე მაკედონელის საფლავის ეპიტაფიის ერთგვარი პერიფრაზაცაა: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი სამყარო“.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა რომანში ერთი ასეთი ადგილი: „ან ჩვენ რა დღეში ვართ, შიგნით ქვეყანაში? დამოუკიდებლობის პერიოდში სამი პრეზიდენტი გავაგდეთ ისე, რომ საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე არც ერთს არ მივაყვანიეთ... მეოთხე გაუშვით მშვიდად... მეხუთე? ... მეხუთესთან რა იქნება, არ ვიცი... ერთმანეთთან ბრძოლაში მთელ ჩვენს ენერჯიასა და დროს ვხარჯავთ,... მოკლედ საფიქრალი ბლომად გვაქვს...“

ჩვენი თაობისაგან ასევე პასუხს მოითხოვს ეს რიტორიკული კითხვაც: „კავკასიელები ერთმანეთს დავერიეთ - ქართველები, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ეს

მხოლოდ სამხრეთში. ჩრდილო კავკასიაში რა ხდება?... მაგრამ ამაზე თავი რუსეთმა იტეხოს, მასთან ჩვენი პრეტენზიები გვაქვს...“

ამ ტექსტში მეტაფორულად ერთი აზრი ნათლად იკვეთება, რომ ყველა დროის დამპყრობლებს ყოველთვის აშინებდათ კავკასიელ ხალხთა გაერთიანება და ისინი Divide et impera „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკაზე იყვნენ მუდამ ორიენტირებულნი და მათ შორის უკანასკნელი დამპყრობელი რუსეთის სახითაც.

ეს არის ტრადიციასთან გათავისებული ის ზნეობრივი კრედო, რომლითაც კავკასიელები მუდამ გამოირჩეოდნენ მსოფლიო ხალხებისაგან.



**წიგნში აქვია ჩამოთვლილი თითოეული კავკასიელის ის პიროვნული თვისებები, რომლებიც მათ ოდითგანვე აერთიანებდათ: „თითოეულ კავკასიელს ჭირივით ეზარება ომი, უყვარს მეგობრები, მათთან შეხვედრა, კარგად იცის სუფრის წესები, კარგ სადებარელოებს ამბობს... შემოქმედებითს; ჯენტლმენია და იცის, როგორ მოექცეს ქალს. ქალმა კიდე უნდა იცოდეს, როგორც საკუთარი, ასევე კაცის ფასიც“...**



ამ მოვლენასთან დაკავშირებით, მწერალს რომანში ევროპაში მიმდინარე იდენტური პროცესებიც აქვს დამონებული, რომლისთვისაც იგი გამკენლავ სტრუქტურებსაც არ იშურებს: სერბი და ხორვატი ქალები - „ისინი თავიანთ, ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტზე ლაპარაკობდნენ. ზოგი კითხვა უპასუხო დარჩა, ზოგსაც ჩემთვის გაუგებარი პასუხი გაეცა. ეტყობოდა, ორივე ქალი კარგი ადამიანიც იყო. მიკვირდა, იქ სადაც ასეთი ადამიანები ცხოვრობენ, როგორ შეიძლება, ხოცონ ერთმანეთი და სასტიკი დანაშაულებები ჩაიდინონ-მეთქი. სიძულვილი კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი და მარადიული შემადგენელია და ვერასოდეს შეეღვევა მას“, - სამართლიანად პასუხობს მწერალი.

კომიზმის ნაირგვარი ფორმით გაშლაა მოცემული გურამ ოდიშარას რომანში „შენთანუშენოდ“, რომლის მიღმა დგას დრამატული იდეა დამარცხებული სამშობლოს ბედისწერა, ღალატი, ცრემლი და პიროვნების უმწეობა.

ამ ნაწარმოებში ღიმილს ძალას აძლევს პერსონაჟების სულის სიღრმეში არსებული დელვა, შიში და განგაში: „როდესაც ტანკები შემოვიდნენ, ქალაქი აირია და შეშლილს დაემსგავსა. ქალაქელები ჭგუფებად იკრიბებოდნენ, კამათობდნენ, ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ, რა ხდებოდა, რა ეგონათ... ამ დროს ბესოსთან სლავიკამ მოირბინა, ჭავჭავილეტი მოუტანა, მოვიდა და ძმას უთხრა - ომი იწყება, მე ჩემებთან,

აფხაზეთთან უნდა ვიყო, შენ, ვიცი, შენებთან დადგები... ჰოდა, გამომართვი ეს ჯავშანწილეთი ჩემგან ნასროლმა ტყვიამ რომ არ მოგკლასო, გადაეხვია ბესოს და გაიქცა“.

ეს ეპიზოდი „ჰაკი აძბას“ ქმედების ერთგვარი კონსტატაციაა, როცა ის ამბობს: „მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ“...



**ძმადნაფიცობა, ძიძიშვილობა და მეგობრობა კავკასიელი ხალხის ყველაზე უზენაესი გრძნობა გახლდათ და იგი ადამიანური ღირსების საპირწონე იყო.**

ცნობილია, რომ მწერლებიდან კომიზმი ყველაზე კარგად გამოხატეს მათ, რომელთაც დრამატული ბიოგრაფია ჰქონდათ. მწერალ გურამ ოდიშარიას თვალწინ დატრიალდა აფხაზეთის ტრაგედია, რომელიც მის ნაწარმოებში მძრაფ სიუჟეტბად გაიშალა: „ბესიკი ოთხმოცდაცამეტის ზამთარში გუმის მთასთან მოკლეს. მერე მამამისი წავიდა საომრად, შური რომ ეძია, მაისში ისიც დაიღუპა. საცოდავი გუნდა კი ორი წლის შემდეგ მოკვდა, გულმა ვერ გაუძლო... ბესიკი დედისერთა იყო...“

გულის ცემა გამიხშირდა, როდესაც ბიჭის სურათს დავაკვირდი, მომეჩვენა, სარკეში საკუთარ ანარეკლს ვუყურებდი... ჩემს ახალგაზრდობას ვუყურებდი სარკეში.

სანამ სახლს ჩავუვლიდით, საფლავისკენ შევბრუნდი, ბიჭის სურათს ერთხელ კიდევ დავაკვირდი, გამოვემშვიდობე. ნალოლიავები, ამ ეზოში, აქაური ჰაერითა და წყლით გაზრდილი, საოცრად დამშვიდებული, თავისი უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანების შუაში მყოფი ბიჭი თავისი წილი მარადისობიდან ისე მიმზერდა, თითქოს მიხსენებდა, სადმე ხომ არ მყავს ნანახიო.

შვილივით, ასევე ავტომატის ტყვიებით მოკლული მამაც, ჩემს ნაცვლად დაცხრილული, დაკვირვებით მიყურებდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა იმ სამყაროდან, სადაც ყველაფერი იციან, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ახერხებენ. არ მიყურებდა მხოლოდ ბიჭის დედა, რომლის გულშიც კვილით გაიქროლეს იმ ტყვიებმა, რომლებმაც ქმარი და ერთადერთი შვილი წაართვეს და თავადაც შეინირეს.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურბაზის სასიყვარულო რომანში დირექტორის გარდა, „მამოძრავებელ ღერძს“ სანიჩიც წარმოადგენდა, რომლის მუშაობაც მაღალი რანგის პარტიული



**ავტორს კალმის ერთი მოსმით აქვს გადმოსცემული დიდი პიროვნული ტრაგედია, სევდა, კომპარული სიუჟეტი და ბედისწერის ირონია.**



მუშაკის მიერ დასახული მიზნის აღსასრულებლად განისაზღვრებოდა.

მის შუამავლობას არ საჭიროებდნენ მხოლოდ ტურბაზის ანსამბლ - „მომავლის ხმების“ წევრები და მათ შორის გახლდათ რომანის გმირი მევიოლინე ზაზაც. მწერალი მის სასიყვარულო ურთიერთობების ფონზე შლის მთელ ნაწარმოებს.

ზაზა, ის მთავარი პერსონაჟი გახლდათ, რომელიც ყველა რჯულისა თუ ზნეობის ქალებთან მუდამ რაინდული სულისა და მაღალი მორალის მამაკაცად რჩებოდა. იგი ქალებთან მიმართებაში არასოდეს არ იყენებდა სკაბრებული შინაარსის დიალოგებს.

მწერალი სასიყვარულო რომანის სიუჟეტის განვითარებაში ოსტატურად ახერხებს იუმორისტული პასაჟების ჩანწას. სადაც ავტორი ქალთა ურთიერთობაში პატივისცემის გამოხატვასთან ერთად ღიმილის მომგვრელ სტრიქონებს სიცილის ასპექტში წარმოადგენს: „მოგვიანებით მივხვდი რომ შეუძლებელი იყო მასზე ეჭვიანობა, და იმასაც მივხვდი, რომ დროთა განმავლობაში შეუძლებელი გახდებოდა მისი სიყვარული. მასთან ყოფნისას თავს მარტო არასოდეს ვგრძნობდი, ჩვენს საუბრებს უერთდებოდნენ მისი მკვდარი და ცოცხალი შეყვარებულებიც...“

ნელი თავის წარმოსახვაში მიტინგების ლიდერებისაგან ერთგულად ძერწავდა ზე-კაცებს, რომლებიც, თავისთავად, არა და არ ჰგავდნენ ოქროს აკვნის გმირებს...“



**რომანში შესადარებლად აღებული ობიექტისა, შესადართა სიმკვეთრისა და გადაჭარბების ხარისხის თვალსაზრისით საგანგებო ინტერესს იმსახურებს შემდეგი სატირულ-იუმორისტული პასაჟები: „დაინგრა საბჭოთა კავშირი, დამოუკიდებელი გახდა ქვეყანა, მაგრამ არ მცირდებოდა მიტინგების რაოდენობა. ერთ ომს მოჰყვა მეორე, მერე - მესამე... დრო დადგა ისეთი, როდესაც უსინდისოდ იქცეოდა ისინიც, ვისაც სინდისი ჰქონდა, ხოლო გიჟივით იქცეოდა ის, ვინც ჭკუადამჯდარი ეგონათ...“**



იზრდებოდა ომებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა. მშობლები ასაფლავებდნენ შვილებს... ხალხი ჯერ გააღმერთებდა ყოველ ახალ პრეზიდენტს, მეშვიდე, მეცხრე ცამდე ააფრენდა და მერე მთელი ძალით დაანარცხებდა მინას. ეს პროცესი ტრადიციულად ქვეყნის მთავარ გამზირზე წარიმართებოდა. როგორც კი იქ საოკეანო რყევის მიტინგი შეიკრიბებოდა, ხელისუფლება იცვლებოდა. ყოველი ასეთი ცვლილებების შედეგად მატულობდა ქვეყნიდან გასულთა, ემიგრანტთა რაოდენობა. ყველა და ყველაფერი იცვლებოდა, და მხოლოდ ნელი იყო უცვლელი, მას ყველა და ყველაფერი უყვა-







რდა, ის ადამიანებიც, რომლებიც კალაშნიკო-  
ვებით ხოცავდნენ ერთმანეთს.“

ეს იყო რეალისტური ყოფაცხოვრებითი სფე-  
როები, რომელიც გულბრყვილობისა და გა-  
ბედული, პირდაპირი და მიუკიბავი ხასიათის  
მაჩვენებელი გახლდათ. და, იგი ბევრ პასუხგაუ-  
ცემელ კითხვებს ბადებდა.

ამგვარივე პირდაპირობა ჩანს და მოურიდე-  
ბელი შედარებებია გამოყენებული შემდეგ ეპი-  
ზოდებშიც: „როდესაც ქვეყანა ნამცეცდება, ადა-  
მიანები უფრო მეტად ვერ იტანენ ერთმანეთს,  
მაგრამ ნამდვილები ხდებიან. ერთმანეთს სა-  
მკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულები  
ნებისმიერ ხელისუფლებასთან მოფლირტავე  
ინტელიგენციასთან ერთად იმავე მთავრობებს  
ფართოდ უღებენ სასაფლაოს ჭიშკარს.“

მასობრივი იდეოლოგიით გამონვრთვნილი,  
პარანოიით დატანჯული ადამიანები მარადიულ  
მსხვერპლს ითხოვენ და ვერა და ვერ სწავლო-  
ბენ საჭირო ადამიანების გამორჩევას.“

ასეა, ყველაზე მაღალი იდეალების ქადაგე-  
ბაც კი არაფერს ემსახურება, თუ ვერ ვხედავთ  
სწორ გზას მათ მისაღწევად.

რომანში, ასევე პირდაპირობა და მოური-  
დებლობაა გამოხატული, სპეცსამსახურის თა-  
ნამშრომლის წერილით, რომელშიც ავტორი  
საგულდაგულოდ ცდილობს ინდივიდუალური  
შემოქმედების გზით გააშიშვლოს ჩვენი ყოფიე-  
რების მანკიერება: „ერთ დროს სპეცსამსახურში  
ვმუშაობდი, მერე გამიშვეს, მერე ისევ აღმადგი-  
ნეს და ისევ გამიშვეს. არც ჩემი აზრები მოსწო-  
ნდათ და არც პირდაპირობა...“

სამ ადგილას გაბზარული, წყალდიდობასა და  
ქარიშხალში მოყოლილი მონასტერი ჩვენს ქვე-  
ყანას გვაგონებს... ხალხმა სიხარული დაკარგა,  
ნაკლებად იღიმებიან, მათი ღიმილი ღიმილს  
არ ჰგავს... ჩვენ ჯერ აქ, დედამიწის ამ ნაწილში,  
რომელიც ბედმა გვარგუნა, ვერა და ვერ ავაგეთ  
ახალი სახელმწიფოს მყარი კედლები... რაც და-  
მოუკიდებელი ქვეყანა გავხდით, იმ ენერგიას,  
ქვეყნის მშენებლობისთვის რომ უნდა გამოგვე-  
ყენებია, ერთმანეთთან ბრძოლაში ვხარჯავთ.

ეს რომ არა, უკვე დღეისათვის, ნორმალური  
ქვეყანა გვექნებოდა. რა გვჭირს?... რა გვემა-  
რთება?...

ურთიერთობა კონფორმისტებთან და გაი-  
ძვრებთან უფრო გვიადვილდება, ვიდრე ერთ-  
გულებთან და სიმართლის მთქმელებთან.

დემოკრატიის ნილაბი კი მოვირგეთ, მაგრამ  
ნამდვილი და გააზრებული დემოკრატიისაგან  
ჯერ კიდევ შორს ვართ. ჩვენი სამშობლო ისე-  
თია, როგორებიც ვართ თავად ჩვენ დღეს... ჩვე-  
ნი შვილების სამშობლო კი იქნება ისეთი, რო-  
გორებიც იქნებიან ჩვენი შვილები...“

ქვეყნის ზნეობრივი მთლიანობა ბევრად  
მნიშვნელოვანია მის ტერიტორიულ მთლიანო-  
ბაზე...“

ყოველ წუთს მზად ვართ თავისუფლებისათ-  
ვისაც და მონობისათვისაც, არადა, მხოლოდ  
თავისუფლებისთვის უნდა ვიყოთ მზად, მხო-

ლოდ თავისუფლებისთვის და ერთიანობისთვის  
ერთდროულად.“

სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლის  
წერილში აშკარად იკვეთება ჩვენი დღევანდე-  
ლი ცხოვრების ის ტრაგი-კომედიური მოვლე-  
ნები, რომლებიც სიახლის მოთხოვნილებას  
აყენებს. მწერალი გონივრულად იყენებს ჩვენი  
ყოფითი გარემოდან აღებულ ამ მაგალითებს.  
და, გაზვიადებისა და გადაჭარბების გარეშე ხა-  
ტავს არსებულ მანკიერებებს.

ამასთან ერთად, ავტორი რომანში გამოყე-  
ნებულ გადაკრულ ტონსა და გაბედულ თქმას  
არაჩვეულებრივი პირდაპირობით წარმოაჩენს,  
რომელიც შორსაა სკაბრეზული სატირისაგან.

რომანში „შენთანუშენოდ“ მევიოლინე ზაზას  
სატრფილო თავგადასავლები სამ განზომილე-  
ბაში მიმდინარეობს, რომელსაც „მზე, ზღვა და  
სიყვარული“ განაპირობებდა.

ნაწარმოების მთავარ გმირს ყოველი შეხვე-  
დრა ქალებთან ახალი იმპულსებით ავსებდა  
და ლამაზ მოგონებებს უტოვებდა, მაგრამ სა-  
სიყვარულო თავგადასავლებიდან მის ცხოვრე-  
ბაში ღრმა კვალი მხოლოდ ლანას სიყვარულმა  
დატოვა. და, ეს უგონო სიყვარული მევიოლინე  
ზაზამ მაშინ იგრძნო, როცა იგი დაკარგა. მიუხე-  
დავად ამისა, დაკარგული სიყვარულიც მუდამ  
თან სდევდა ჭირსა თუ ლხინში. ეს იყო ისეთი  
უცნაური გრძნობა, რომელმაც დროის გამოც-  
დას გაუძლო და გმირის ცხოვრებაში ისე ჩაი-  
კირა, რომ მისგან გათავისუფლება ვერაფრით  
შეძლო. მისი ცხოვრება შთანთქა ამ ძლიერმა  
გრძნობამ, რომელსაც სიყვარულის მარადიუ-  
ლობა ჰქვია სახელად.

არის გრძნობები და აზრები, რომლებსაც  
მხოლოდ საყვარელ ქალს გაუზიარებ და სხვას  
არავის ეტყვი. სწორედ, ეს გრძნობა აძლევდა  
ცხოვრების აზრს ზაზა მევიოლინეს, და, როგო-  
რც თავად ამბობდა: „არასოდეს დავეტოვებინე  
ღირსებასა და სინდისს, ვცდილობდი მაინც...“

და, როდესაც უცხო გზებით შენთან ამოვალ,  
გთხოვ, გაიხსენო, რომ იმასაც ვცდილობდი,  
მყვარებოდა ისინიც, ვისაც ვძულდი...“

აი, ეს იყო მართოდ დარჩენილი მთავარი  
გმირის ცხოვრების კრედო: „ნეტავ რა ჰქვია იმ  
დროს, როდესაც ახალგაზრდობა მიდის და სი-  
ბერე არ მოდის? როცა აცილებ წლებს, როგორც  
მთვრალ სტუმრებს და მაინც ახალგაზრდობა  
გაგრძელებული რჩები... გვიან, მაგრამ საბოლოო-  
ოდ დავრწმუნდი, რომ მთელი ცხოვრება შენკენ  
მივდიოდი და ამიტომაც სიბერე გზადაგზა მივი-  
ვინყე. მხოლოდ შენ მიყვარდი, შენ, რადგანაც  
სამივე დროში უშენოდაც შენთან ვიყავი...“

ჭეშმარიტად, სიყვარულს ათასობით ასპექტი  
აქვს, და ყოველ მათგანს - თავისი სინათლე,  
თავისი ნუხილი, თავისი ბედნიერება და თავისი  
კეთილსურნელოვნება ახლავს.

საერთოდ, მწერალმა გურამ ოდიშარიამ თა-  
ვის რომანით „შენთანუშენოდ“ არამართო ცხო-  
ვრების სარკვეში ჩაგვახედა, არამედ თითოეული  
ჩვენთაგანი საკუთარ სულშიც.

ავტორმა ოსტატურად შეძლო იუმორისა და კომიზმის საშუალებით რომანში ჩადებული შინაგანი დაძაბულობის განტვირთვა. ამასთან ერთად დრამატიზმისაგან გათავისუფლება, ნე-ვროზული და კონფლიქტური სიტუაციების გადალახვა. რასაც თან ახლდა ასევე მკითხველის ბიოგრაფიული ტრამვებისა თუ დეპრესიების გადალახვაც.

“

რომანი „შენთანუშენოდ“ ერთი თაობის მიერ მეორე თაობისათვის დატოვებული სულიერი ანდერძია. მკითხველი სრულიად გარდაქმნილი მოსწყდება ამ წიგნს... იმ რწმენით, რომ მსოფლიო მარადიული წარმატების საიდუმლოება მხოლოდ სიმართლეშია.

”

ბუკავა ილიშაიჩი



# ბაროკო ფესტივალის საიუბილეო კონცერტი თბილისში



**დავით გიგინიშვილი**

2019 წელს ბაროკო ფესტივალის თბილისში უკვე მეხუთედ ჩატარდა. ამ საიუბილეო კონცერტს, სამწუხაროდ, მხოლოდ მეორე ნახევარში – დეკემბრის თვეში შევუერთდი როგორც მსმენელი. ამიტომაც ვერაფერს ვიტყვი იმ წარმოდგენებზე, რომელიც ნოემბრის თვეში გაიმართა, იმ კონცერტებზე ქორეოგრაფია იყო შერწყმული მუსიკასთან ('ძველებური ცეკვები' და 'ფოლია'), რაც ნაწილობრივ შარშანდელ ფესტივალზეც იყო ნაჩვენები, ასე რომ მასზე უკვე მკითხველისთვის მიწოდებული მაქვს ინფორმაცია შარშანდელი პუბლიკაციით. ასევე ნოემბერის თვის პროგრამით ჩატარდა ფრანგული და იტალიური ბაროკო მუსიკის საღამო, ჩვენთვის უკვე ნაცნობ ჩელისტის - დავიდუ ამადიოს მონანილეობით და ვოკალური საღამო ჩვენი კონტრატენორის - მიხეილ აბრამიშვილის მონანილეობით ('13 არია').

ფესტივალის დეკემბრის პროგრამაში ძირითადად ჩამოსული სტუმრები მონანილეობდნენ. კერძოდ, ფესტივალის ერთ-ერთი სიახლე იყო ფრანგული ანსამბლი 'Fuoco e Cenere', რომელიც მისმა ხელმძღვანელმა, ვიოლაზე შემსრულებელმა ჯეი ბერნფელდმა (Jay Bernfeld) დააარსა ამ საუკუნის დასაწყისში. ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში სამი ან მეტი წევრი

იყო, არცთუ პატარა გზა გაიარა – შეასრულა რა შუასაუკუნეების მუსიკიდან დაწყებული მე-XX საუკუნის მუსიკამდე. მას მუდმივად ჰქონდა ინსტრუმენტალური მუსიკის სინთეზი თეატრალურობასა და ვოკალთან, და ამ გზაზე სხვადასხვა ვოკალისტები ებმებოდნენ ანსამბლთან. თბილისშიც ინსტრუმენტულ ანსამბლს, რომელიც სულ 5 წევრისაგან (იქედან მხოლოდ 4 იყო მუსიკოსი) შედგებოდა, მეცო-სოპრანო ნატალი პერესი (Natalie Perez) შეუერთდა. მათ 1 დეკემბერს ორიგინალური და ჩვენთვის უცხო 'პულჩინელას' საღამო გვაჩუქეს. ეს იყო მარიონეტების თეატრი მუსიკის ნაზავით, სადაც მთავარი გმირი პულჩინელა გამოხატავდა იმ ეპოქის (და ასევე ახლანდელის!) შვილის ძირითად მისწრაფებებს და ემოციებს თავისივე თავგადასავლების ფონზე. პერგოლუზის, დომენიკო გალოსი და ვილჰელმ ფონ ვასენაერის მუსიკის თანხლებით (კამერული და საოპერო მუსიკის ნაწყვეტები) გაიმართა ეს პანტომიმა, სადაც პულჩინელა ხლართავდა ინტრიგებს, უხსნიდა სიყვარულს, იბრძოდა ნიანგთან, და ა.შ., და ამაში მშვენიერი ახალგაზრდა მომღერალი ქალი – ნატალი პერესიც მონაწილეობდა. მისი სუფთა და ლამაზი კამერული ხმა იმ საღამოს ერთ-ერთი აღმოჩენა იყო.

ანსამბლმა 'Fuoco e Cenere' მეორე საღამოც გამართა. 3 დეკემბერს უკვე ანსამბლმა სამი მუსიკოსით (ვიოლა ბასი, კლავესინი და თეორბა) შეასრულა მარინ მარეს ვიოლასთვის დაწერილი ცნობილი პიესების ნაწყვეტები, მათ შორის ჩაკონა, ვარიაციები ესპანური ფოლიის მოტივებზე (წიგნი II) და ა.შ. პროგრამის ბოლოს კი ჟაკ მორელის ჩაკონა მოვისმინეთ, მაგრამ უკვე 4 ინსტრუმენტისათვის, სადაც ზემოთ ნახსენებ ტრიოს დაემატა ფლეიტისტი პატრიცია ლავაი. ამ საღამოს უკვე ანსამბლის ხელმძღვანელი ჯეი ბერნფელდი მოექცა მსმენელის ფოკუსში, რადგან მუსიკის ძირითადი ხაზი ვიოლასათვის იყო დაწერილი. მისმა ოსტატობამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა მოხიბლა ქართველი მსმენელი. ეს იყო ნამდვილი ფრანგული ბაროკო მუსიკის საღამო.

7 დეკემბერს ფესტივალმა უმასპინძლმა უნგრელ ვიოლონჩელისტ ბალაშ მატეს (Balazs Maté). კონცერტის პირველ ნაწილში იგი ჩრდილში იყო, რადგან სრულდებოდა პიორსელის, კორელისა და ჰენდელის კამერული ნაწარმოებები. საღამოს მეორე ნაწილი უფრო საინტერესო აღმოჩნდა - კარლ ფილიპ ემანუელ ბახის ნაღვლიანი, დინამიური და სწრაფი მუსიკა მოერგო ჩვენი კამერული ორკესტრის ხელწერილს, რომლის შესრულების მანერა უფრო ესადაგება გვიანი ბაროკოსა და კლასიციზმის მუსიკალურ ნიმუშებს. კ.ფ.ე. ბახის ცნობილი ლა მაჟორული

სავიოლონჩელო კონცერტი (Wq.172) დიდი ექსპრესიითა და აქცენტებით შესრულდა. მატეს ინსტრუმენტის დაბალმა ჟღერადობამ და მუქმა პალიტრამ განსაზღვრა ნაწარმოების შესრულების მანერა.

კონცერტის დასასრულს შესრულდა ჰამბურგის სი-მინორული მე-5 სინფონია (Wq.182) მატეს დირიჟორობით. დომინირებდა სიმებიანი შფოთიანი აქცენტები და გრიგალისებური ტემპები - რამაც აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო და საღამოს წარმატება განაპირობა.

ფესტივალის ნამდვილი „გემრიელი შაქარლამა“ ბოლო - 13 დეკემბერს გამართული კონცერტი აღმოჩნდა. ვენეციური ბაროკო მუსიკა - ვივალდი და პლატი შესრულდა ორი ვირტუოზის - სერჯიო აზოლინისა (Sergio Azzolini) და ბალაშ მატეს მიერ. პროგრამაში იყო კონცერტები ერთი ინსტრუმენტისათვის: სავიოლონჩელო (ვივალდი RV 417, 412) და ფაგოტი (პლატი, ვივალდი RV476), ასევე ორივე ინსტრუმენტისათვის (ვივალდი RV409). როგორც მუსიკალური სტილით, ასევე ტონალობით პროგრამაში ჩართული ნაწარმოებები კარგად ასახავდა ვივალდის გენიას. მეტიც - დო-მაჟორული კონცერტი RV476 შესრულდა რეკონსტრუირებულად ორი ფაგოტისათვის (მეორე ინსტრუმენტზე ჩამოსული სტუმარი - აი იკედა (Ai Ikeda) იყო. ასე რომ, ამ ორმა ინსტრუმენტმა სასწაული ვირტუოზული დუეტი გამართა ჯაზური ინტერპრეტაციების სტილში. ასევე აღნიშვნის ღირსია ჩვენი ორკესტრის პირველი ვიოლინოს - გიორგი კერელაშვილის ვიოლინოს ნამყვანი პარტიის ჩინებული შესრულება ვივალდის კონცერტში, ვიოლინოსა და ორი ჩელოსათვის RV561. მშვენიერი საღამო შედგა - ამას არა მხოლოდ შერჩეულმა პროგრამამ, არამედ სერჯიო აზოლინის განწყობამაც შეუწყო ხელი. ეს დიდებული ვირტუოზი უკვე საქართველოს მეგობარია და იგი ხშირად გვსტუმრობს ჩვენ და გვანებივრებს თავისი შესრულებით. ახლაც, კონცერტის ბოლოს აზოლინიმ ბისზე კიდევ ორი ვივალდის ახალი ნაწყვეტი შეასრულა.


“

ფესტივალი დასრულდა, მაგრამ ქუშმარიტი მუსიკის მოყვარულნი უკვე ახალ ფესტივალის მოლოდინში არიან, რომელიც მათ უდავოდ ახალ, აქამდე თბილისში შეუსრულებელ მუსიკალური ნაწარმოებებს აჩუქებს.

”







**ქართული საზოგადოებრივი აზრი და  
კათოლიკეები მე-19 საუკუნის  
ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში**





### გიორგი ჩხბინიძე

საქართველოს ახალი ისტორიის საწყისი ეტაპი 1801 წელია, როცა ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ გაუქმდა რუსეთის იმპერიის მიერ. ამ პერიოდში საქართველოში არაერთი კათოლიკე ცხოვრობდა და მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ. სტატია მიზნად ისახავს განვიხილოთ მე-19 საუკუნეში და შემდგომ კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების ურთიერთობების ფრაგმენტები. XIX საუკუნეში წარმოიქმნა საზოგადოებრივი აზრი იმგვარად, რომ რელიგიური განსხვავებულობა საერთო ქართულ საქმეში იყო მეორეხარისხოვანი და ძირითადად საღვთისმსახურო რიტუალებში თუ იგრძნობოდა. ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებანი კათოლიკეების მიმართ იყო სავსებით ლოგიკური, პროგრესული. სხვაგვარი დამოკიდებულება წარმოუდგენელიც კია, რომ არა მოვლენათა იმგვარად განვითარება, რომ 1921 წელს დაიხშო კავშირ-ურთიერთობათა ყოველგვარი საშუალება და აგრესიული ათეიზმის პირობებში მოხდა გაუცხოება ორ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ კულტურას შორის.

“

**ქართული საზოგადოებრივი აზრი, ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება კათოლიკეებისადმი კარგად ჩანს მე-19 საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში. იმდროინდელი საზოგადოებისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ღვანლი საქართველოს ისტორიისა და კულტურის წინაშე.**


”

ისინი შორიდან, მაგრამ ძალზედ აქტიურად ედგნენ გვერდით ქართულ აზრს, ცნობიერებას, ეროვნული იდენტობის გაღვივებას და განვრცობას. იქაური ქართველი კათოლიკეები

მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობებით იცავდნენ ყოველგვარ ქართულს. გაზეთ „დროების“ 1885 წლის 24 აგვისტოს ნომერში ვეცნობით კორესპონდენციას, სადაც ავტორი სიხარულით იუწყება, რომ სტამბოლის ქართველმა კათოლიკეებმა გამოსცეს წიგნი, რომელიც მანამდე სომხური გამოცემა „მშაკის“ მიერ გამოქვეყნებული ბრალდების პასუხს წარმოადგენს. გამოცემას დაუკნინებია ქართული კულტურა, თითქოს ქართველებს ისტორიული წარსული არ ქონიათ. რაც შეეხება კათოლიკეთა წიგნს, აქ წარმოდგენილი ყოფილა დასაბუთებული პასუხი, რომ ქართული კულტურა სულაც არ ჩამოუვარდება სომხურს და გარკვეულ შემთხვევებშიც აღმატებულიც ყოფილა (დროება 1885: 1).

საქართველოს ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო გამოირჩეოდა თავისი მსოფლმხედველობით, ტოლერანტობითა და ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლის თავდაუზოგავი ჟინით. ეს კი ქართველმა კათოლიკეებმაც შესაბამისად დაუფასეს და როცა იგი 1907 წელს მოკლეს იგლოვეს და შესაბამისი პატივიც მიაგეს. ახალციხელმა კათოლიკეებმა ილიას გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშები გამოაგზავნეს. იმხანად რომში მყოფმა მიხელ თამარაშვილმაც გამოაგზავნა სამგლოვიარო დეპეშა და მწუხარება გამოთქვა ილიას გარდაცვალების გამო (ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება 1907: 266; 268)

ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომელსაც სტამბოლის ქართულ-კათოლიკურმა მონასტერმა დიდი პატივი მიაგო, ესაა აკაკი წერეთელი. აქ 1908 წლის 26 აპრილს მოუწყიათ პოეტ აკაკი წერეთლის საღამო (ფუტკარაძე 2012: 27).



მღვდელი ივანე ბარაბაძე





მამა მიხეილ თაბარაშვილი

ზემოთ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ სტამბოლის ქართული კათოლიკური საგანის დამსახურებანი საქართველოს ისტორიაში, რომელიც არც იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციას გამორჩენია. სტამბოლის ქართულ საგანს ხშირად სტუმრობდნენ ქართველი მოღვაწეები და მათ ჩანაწერებშიც არაერთხელ ჰპოვა ასახვა შესაბამისმა შთაბეჭდილებებმა. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის წიგნში „სტამბოლის ქართული საგანე“ თავმოყრილია ახლადგამოვლენილი მასალები მონასტრის არქივებიდან. აქაა თავმოყრილი ალექსანდრე ცაგარელის, ივანე ჯავახიშვილის, მართლმადიდებელი მღვდელ-მონაზონ ილიას, რომელზეც ჩვენ ზემოთაც გვქონდა მიმოხილვა, გელათელი ნიკოლოზ არქიმანდრიტის, ევგენი გეგეჭკორის, ვიქტორ ნოზაძის, მიხაკო წერეთლის, გრიგოლ დიასამიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ყაუხჩიშვილის, გიორგი ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის და სხვათა ჩანაწერები, შთაბეჭდილებები და ა.შ. (ფუტკარაძე 2012: 54).

აი რას წერს ივანე ჯავახიშვილი და იოსებ გოგოლაშვილი 1919 წლის 16 თებერვალს:

„გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველთა ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ

(ფუტკარაძე 2012: 55).

მიხეილ ფალავა 1919 წლის 28 მაისს აღნიშნავს:

„...გავხდით ბედნიერი და ვინახულე ქართველთა კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინეპოლში, სადაც მოვიპოვე სულის სიმშვიდე და დამტკბარი აქაური სანახაობით და მიღებით აქაური ჩვენი ღვიძლი ძმების მიერ; ვბრუნდები საქართველოში იმ ნეტარი გრძნობით, რომ გადავცე მათ მოძმე-მონათესავთ მათი ეგეთი სიყვარული სამშობლოსადმი, გარჯილობა ჩვენი წმინდა სარწმუნოების, ზნე-ჩვეულებისა და ადათის პატრონობა შენახვაში და, ამასთანავე თავის პატარა ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობის მსახურებაში

(ფუტკარაძე 2012: 56).

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გიორგი მაჩაბელი წერს: „თქვენი თავდადებული და დაულალავი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინებაში უკვდავი იქნება ჩვენს ისტორიაში“ (ფუტკარაძე 2012: 56).

ცალკე განხილვას იმსახურებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედარებით უცნობი ფურცლებიდან კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ურთიერთობა XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე სასულიერო პირებთან.

ქართველი სამღვდელოების ძველი თაობა, თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში კვლავ აგრძელებდა მეგობრულ ურთიერთობას სხვა კონფესიებთან და საჭიროდ ვთვლით კვლავ დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის წერილი განვიხილოთ, რომელიც მან ზაქარია ფალიაშვილს 30 წლის მოღვაწეობის იუბილესთან დაკავშირებით 1925 წლის აპრილში საკათალიკოსო საბჭოს სახელით, მისი და ივანე რატიშვილის ხელმოწერით მიერთვა. წერილი შემდეგი სახითაა დასათაურებული: „ქართული წირვა-ლოცვის დამამშვენებლო და ქართული ოპერის მამათ-მთავარო“ (თბილისის მუნიციპალური მუზეუმები 2016: 36-38). თავად ამ სათაურიდანაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ამ პერიოდში ზაქარია ფალიაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული მართლმადიდებლური საღმრთო ლიტურგიის გაფორმების კუთხით. აქვე მოგვყავს წერილის სრული ტექსტიც:

„იმ შეგნებულ ქართველთა შორის, რომელნიც დღეს ზეიმობენ შენის მოღვაწეობის ოცდაათწლის თავს და მასთან ერთად ქართული სამუსიკო ხელოვნების უსათუო გამარჯვებას, სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი დანესებულებაც იღებს მონაწილეობას: ჩვენი პირით საკათოლიკოზო საბჭო გიცხადებს შენ უღრმეს პატივისცემას და გიძღვნის გულ-



კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე

წრფელ სალამს! დღეს ქართული ეკლესია ხარობს და იშვებს მისთვის, რომ შემოქმედისგან ბოძებული ტალანტი შენ კი არ დაჰვალ ქვეყანასა, არამედ აქმნიე მას ზედა და გამრავლებული ჩააბარე მშობელ ერს: შენ მიმოვლე საქართველოს მთა და ბარი, სვანეთიც კი, და განსაცვიფრებელი გულმოდგინებით შეჰკრიბე ქართველ ხალხში გაბნეული შეუდარებელი კილო-თქმები და კილო-ნაკვთები. შენ პირველმა დაამუშავე ეს ობოლო მარგალიტი და ოთხძმაზედ გამართული თამამად წარმოადგინე განათლებულ კაცობრიობას, „წმიდა იოანე ოქროპირის წირვის“ სახით. ამ წირვამ მოხიბლა საქართველოს კათოლიკე ეკლესიის არა მარტო აღმოსავლეთის აღსარების მორწმუნენი, არამედ - დასავლეთისაც, რომის მიმდევარნიც...

დასასრულ, ბედნიერად ვთვლით ჩვენს თავს, რომ საკათალიკოზო საბჭომ ჩვენ გვარგუნა პატივი დღევანდელ ზეიმში მონაწილეობისა, ჩვენ, რომელთაც მრავალი წელი გვიშრომის შენთან ერთად ცნობილ ქართულ გიმნაზიაში და მოწმენი ვართ შენი ყოველდღიური თავდადებული მუშაობის. იცოცხლე მრავალ წელს, ძვირფასო მეგობარო, ჯანის სიმრთელით და სულის სიმშვიდით, სადიდებლად ქართველი ერისა და სასარგებლოდ ადამიანის განმაფაქიზებელ-განმასპეტაკებელ ხელოვნებისა!

12 აპრილს 1925 წლის ქალაქი თბილისი.



საკათალიკოზო საბჭოს რწმუნებულნი - დეკანოზი კ. ცინცაძე, ივ. რატიშვილი (თბილისის მუნიციპალური მუზეუმები 2016: 36-38).

1925 წლის აპრილი ეს ის პერიოდი, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) დაპატრიმრებულია საბჭოთა რეჟიმის მიერ და საქართველოს ეკლესიის შიგნით რამდენიმე დაპირისპირებული ბანაკია წარმოქმნილი, მათ შორის კი ერთ-ერთი მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (ციციქვილი) მეთაურობით. ამ ბანაკს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა საქართველოს ეკლესიაში დოგმატურ თუ სხვა საკითხებზე და ერთგვარ რეფორმატორულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, თუმცა ეს ფაქტორი არ უნდა განაპირობებდეს წერილის ასეთი შინაარსით გადმოცემას, ვინაიდან ჩვენს მიერ უკვე იქნა განხილული წინამდებარე მაგალითები, რაც მოვლენათა მსვლელობას სავსებით ლოგიკურსა და გასაგებს ხდის. კალისტრატე ცინცაძის ამ წერილში განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე პასაჟი, მათ შორის ირკვევა რომ ამ დროს ზაქარია ფალიაშვილმა უკვე გააფორმა წმიდა იოანე ოქროპირის წირვა და იგი უკვე მოქმედია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ჩანს ისიც, რომ ზაქარია ფალიაშვილი ამ დროს შემოქმედებითად დგას, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე რომის კათოლიკური ეკლესიის სამსახურში, აქ როგორც შემოქმედი და როგორც ამ რელიგიის აღმსარებელი. სწორედ ამაზე მსჯელობის საფუძველს იძლევა შემდეგი სიტყვები: „ამ წირვამ მოხიბლა საქართველოს კათოლიკე ეკლესიის არა მარტო აღმოსავლეთის აღსარების მორწმუნენი, არამედ - დასავლეთისაც, რომის მიმდევარნიც...“.

სასულიერო პირთა ამ თაობის შემდეგ, რომლებიც იყვნენ ძველი, ტრადიციული კავშირ-ურთიერთობების ერთგულნი, ცხადია, შეიცვალა ყოველგვარი დამოკიდებულება, გაითიშა და დანაწევრდა ქართული საზოგადოებრივი აზრი და ეს არ მომხდარა მხოლოდ სასულიერო მიმართულებით, არამედ ყველა სხვა მიმართულებით. მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგ არსებული მდგომარეობა, რეპრესიები, ზენოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა უკვე ცალკეული განხილვის საგანია და ჩვენს სტატი-აში ამ პერიოდზე ვერ შევჩერდებით. თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი ერთგვარი უბსკრული ამოივსოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, თავისი მსოფლმხედველობით და განვლილი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებითა და ტრადიციებით კვლავ დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს სხვა კონფესიებს. ამისათვის თანამედროვე პერიოდში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა და ეს აუცილებლად საჭიროებს აღნიშვნას.

(გაგზილება შემდეგ ნომერში)



# კანდიდატური ცხოვრების დღიურები

კალიგრაფიის აღმოჩენა ქოიხაყო  
ზიზლიოთეკაში

## გიორგი ჩუბინიძე

2020 წელი მსოფლიო ცივილიზაციის ახალი ეტაპია და საინტერესოა, თუ რამდენად დაფიქრდება სამყარო დედამიწის მომავალზე და იმაზე, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება რთული გამოწვევების პარალელურად. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მკითხველისთვის 2020 წლის მარტში დაიკეტა. ერთგვარად სიმბოლური აღმოჩნდა რომ დაკეტვამდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება ქართველი კალიგრაფების ნამუშევრების გამოფენა იყო. კალიგრაფია, როგორც ხელოვნება, კალიგრაფია, როგორც აღქმის, გააზრების, შემეცნების, ესთეტიკის საშუალება. ციფრულ სამყაროში კალიგრაფიის როლი, მისი ვიზუალური მრავალფეროვნება ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არასდროს. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, 29 თებერვალსა და 1-2 მარტს, რუსთაველი კალიგრაფების ნამუშევრების წარდგენა ერთგვარად სიმბოლურ გამოფენად შეგვიძია მივიჩნიოთ.

გასულ წელს, ეროვნული ბიბლიოთეკა, სკოლა ლაზარეს მიერ ორგანიზებული კალიგრაფიის კონკურსის პარტნიორი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ეროვნული ბიბლიოთეკა უკვე კონკურსის მონაწილეებისა და მისი ხელმძღვანელების ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. რუსთაველი კალიგრაფების სკოლას დავით მაისურაძე ხელმძღვანელობს. იგი ქართული დამწერლობითა და კალიგრაფიით ბავშვობიდანაა დაინტერესებული. 2010 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული კალიგრაფიის კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. ამავე წლიდან ქალაქ რუსთაველში დააარსა ქართული კალიგრაფიის სტუდია, რომელიც სკოლა „მთანმიდელში“ ფუნქციონირებს. 2011 წლიდან ოჯახთან ერთად ყოველწლიურად ატარებს „ქვემო ქართლის კალიგრაფიის კონკურსს“. ორგანიზებას უწევს რუსთაველსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდა კალიგრაფების გამოფენებსა და სხვადასხვა აქტივობებს, სადაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, ჩვენი მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართული. მას და მის მოსწავლეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო კალიგრაფიულ გამოფენებშიც, მათ შორის, ეგვიპტეში, გერმანიაში, სერბეთში.

ღონისძიებას რუსთაველი კალიგრაფების გარდა დაესწრნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, ქვემო ქართლის გუბერნიის ადმინისტრაციისა და რუსთავის მერიის თანამშრომლები, საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები.

რუსთაველი კალიგრაფების საქმიანობა შეაფასო ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ, რომელმაც კალიგრაფებს ამ საქმიანობის გაგრძელებისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ სხვადასხვა პროფესიის მიუხედავად ქართული დამწერლობის პოპულარიზაციაზე და მის გახელოვნებაზე მუშაობა უმნიშვნელოვანესი საქმეა.







„ერეკლე II და მისი გამოცემები“

## ვირტუალური გამოფენები

ლოლა სანაია

კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღსაკვეთად, ჯანდაცვის ორგანიზაციების მკაცრი რეკომენდაციების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკამ დროებით შეწყვიტა მკითხველთა ადგილზე მომსახურება და დაგეგმილი ყველა ღონისძიება. თუმცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა დისტანციურად აგრძელებს მუშაობს მკითხველთა მოთხოვნების საჭირო მასალებით უზრუნველსაყოფად.

მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გამოეხმაურა მას არაერთი მნიშვნელოვანი ვირტუალური გამოფენით.

უპირველესად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე შესვლისას, მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო მასალას COVID19 შესახებ.

ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული გასული საუკუნის აგიტაციური პლაკატები კვლავ აქტუალური და საინტერესო მასალა გახდებოდა.

კერძოდ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შექმნა თემატური ვირტუალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია XX საუკუნის აგიტაციური პლაკატები პირადი ჰიგიენისა და სანიტარული კულტურის შესახებ (1941-1978 წწ). გამოფენის მიზანია, ხელი შევუწყოს საზოგადოებას პირადი ჰიგიენის დაცვის ცნობიერების ამაღლებას.

საზოგადოებისთვის საინტერესო და რეზო-

ნანსული იყო ვირტუალური ფოტო კოლექციები ეპიდემიის წინა ხაზზე მდგარი ქართველი სამედიცინო პერსონალის - ჩვენი ექიმების, ექთნების შესახებ.

ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ეროვნული ბიბლიოთეკა თავის ვირტუალურ დამთვალიერებელს სთავაზობს გამოფენას სახელწოდებით მსოფლიო „სამედიცინო პერსონალი COVID19-ის ეპიდემიის წინა ხაზზე, რომელიც კვლავ შეგიძლიათ დაათვალიეროთ ჩვენს ვებ გვერდზე. გამოფენების მიზანია, პანდემიად ქცეული ვირუსის წინააღმდეგ მებრძოლი სამედიცინო პერსონალისადმი მადლიერების გამოხატვა. ჩვენ წარმოგიდგენთ:

საგანმანათლებლო მასალა COVID-19-ზე ქართველი სამედიცინო პერსონალი ეპიდემიის წინა ხაზზე

ქართველი ექთნები ეპიდემიის წინა ხაზზე

სამედიცინო პერსონალი COVID-19-ის ეპიდემიის წინა ხაზზე

უცხოელი სამედიცინო პერსონალი ეპიდემიის წინა ხაზზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა ერთობლივი ვირტუალური გამოფენა „ქართველი დიპლომატები პანდემიის პირისპირ“. გამოფენა ეძღვნება სა-

ქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების საგანგებო რეჟიმში განუღო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც ქართველი დიპლომატები პანდემიის კვალდაკვალ მომსახურებას უწევდნენ და ზრუნავდნენ COVID-19-ით დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეებზე საზღვარგარეთ.

გლობალური პანდემიის ფონზე, საქართველოს დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან კოორდინაციით, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფდნენ პროდუქტით, თავშესაფრით, ტრანსპორტითა თუ მედიკამენტებით. კრიზისის დასაწყისშივე გაიხსნა შესაბამისი ცხელი ხაზები საელჩოებსა და საკონსულოებში.

მსოფლიო მოწოდება #დარჩისახლში, რომ გამხდარიყო უფრო საინტერესო და არა მოსაწყენი, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საზოგადოებას შესთავაზა ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმი ვირტუალური სახით. გამოფენაში წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ძვირფასი წიგნების მუდმივმოქმედი გამოფენა.

„დედაენის“ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საზოგადოებას წარუდგინა ვირტუალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა დროს გამოცემული დედა ენა. ეს გამოფენა განსაკუთრებით საინტერესოა სკოლის მოსწავლეებისთვის.

წიგნის საერთაშორისო დღე წელს უჩვეულოდ აღინიშნა. ბიბლიოთეკამ საგამოფენო დარბაზში ქართველოლოგიის ფონდში დაცული ავტოგრაფიანი წიგნები გამოფინა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ქვეყნის თავდაცვის ძალებს პროფესიული დღე, 30 აპრილი, მიულოცა ვირტუალური გამოფენით „ჯარისკაცი უხილავი მტრის წინააღმდეგ“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოფენით ასახა პანდემიის წინააღმდეგ მებრძოლი თავდაცვის ძალების წარმომადგენლების საქმიანობა ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მომზადებულ ვირტუალურ გამოფენაში „ერეკლე II და მისი გამოცემები“ საზოგადოებისთვის წარმოდგენილია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ერეკლე II-ის მიერ თბილისში აღდგენილი ქართული სტამბის მნიშვნელოვანი გამოცემები, ერეკლე II-სთან დაკავშირებული ორი უნიკალური გამოცემა. კერძოდ, მის სტამბაში მომზადებული და პეტერბურგში 1783 წელს დაბეჭდილი გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი მოთხოვნით აკრძალული პეტერბურგში დაბეჭდილი ამილახვრის გეორგიანული ისტორია. ეს წიგნი წარმოადგენს პირველ აკრძალულ წიგნს, რომელსაც ავტორი ჰყავდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების“ ისტორიის ვირტუალური გამოფენით გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო. გამოფენაში წარმოდგენილია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მასალები: სახელმწიფო სიმბოლოების ესკიზები, კანონები, ისტორიული საზღვაო რუკები და ატლასები, პარლამენტის დადგენილებები, ყველაფერი, რაც სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის და ჰერალდიკური მემკვიდრეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უყურადღებოდ არ დატოვა ქართული პოლიციის დღე და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, წარმოადგინა ვირტუალური გამოფენა სახელწოდებით „ქართული პოლიციელები ხალხის სამსახურში“. გამოფენაში წარმოდგენილია ფოტო მასალა, რომელიც ასახავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დანაყოფი კორონავირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებში მყისიერად ჩაერთო და მთელი საქართველოს მასშტაბით კომპლექსური ღონისძიებები განახორციელა. საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული შეზღუდვების, საკარანტინო ზონების დაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების კონტროლის პარალელურად პოლიცია მოსახლეობას მუდმივად ედგა მხარში და ეხმარებოდა.

“**ყველა აღნიშნული ფოტო თუ ვირტუალური გამოფენა შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)**”









# YILDIZLI KÜTÜPHANE







UNIVERSITATI  
EQUILIBRIUM

## კანდეიამდე და კანდეიის შემდეგ



ეკვილიბრიუმი ნიშნავს თბილისსა და რეგიონებში მოეწეოს სივრცე-ოთახი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ადგილობრივებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი ცოდნის, განათლების და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მოძრაობა ეკვილიბრიუმი უკვე წლებია სოფლის ბიბლიოთეკებს ეხმარება წიგნებით, აფუძნებს ახალ ბიბლიოთეკებს, ატარებს საგანმანათლებლო შეხვედრებს და ამით ხელს უწყობს წიგნიერების პოპულარიზაციას საქართველოში.

2 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმმა საქართველოს პარლამენტის სტაჟიორებთან ერთად ერთობლივი პროექტი „ინკუნაბულა“ განახორციელა. პროექტის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფლებს შავშვებსა და არბოს ახალი წიგნები, კომპიუტერები და პრინტერები გადასცეს.

„დიდი ამბები გრძელდება: გორის მუნიციპალიტეტი - სოფლები - შავშვები და არბო. ასობით ახალი წიგნი, კომპიუტერები და პრინტერები. და ეს ყველაფერი ჩვენი ახალი პარტნიორების დახმარებით - პარლამენტის სტაჟიორებმა შეიმუშავეს სოციალური პროექტი „ინკუნაბულა“ - სწორედ მათი დახმარებით და მათთან ერთად ვესტუმრეთ ამ შესანიშნავ ბავშვებს“- განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

3 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმი დუშეთში, სოფელ საშაბუროს ეწვია და ამ სოფლის სკოლას ახალი ბიბლიოთეკა მოუწყო.

„სოფლებში დიდი ეკვილიბრიუმობა გრძელდება! დუშეთში, სოფელ საშაბუროს სკოლის ბიბლიოთეკა, კატარა ახალი ბიბლიოთეკა მოუწყვეთ. ჩვენ და სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის პროექტი “მეტი ევროპა მთაში” დაგმეგობრდით და მათი ინიციატივით საშაბუროელ შესანიშნავ მოსწავლეებს ლექცია



ჩავუტარე” - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

9 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმი ახალქალაქის სოფლებს ეწვია და ბურნაშეთისა და ბარალეთის სკოლებში ბიბლიოთეკები მოაწყო.

„დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა გრძელდება - ისევ ახალქალაქის მიმართულება, რომელმაც წამდვილ ჯავახურ ამინდზე დაგვიწვია - მინუს 20 გრადუსი, თოვლით და ქარით შეკმაზული. სულ 12 სოფელი მოვიარეთ, ამჯერად კი სამ სკოლაში, ბურნაშეთის და ბარალეთის (ქართული და სომხური) სოფლის სკოლებში მოვანყვეთ მცირე ბიბლიოთეკები” - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

14 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმმა ყარაჯალარის აზერბაიჯანულ სკოლას ქართული ბიბლიოთეკა მოუწყო. თელავში კი თელავის ისტორიულ მუზეუმსა და სამუზეუმო და საარქივო კვლევისა და მოდერნიზაციის ცენტრთან მემორანდუმი გაფორმდა.

„სამი ამბავი მაქვს. სამივე კარგი. ჯერ გარდაბანს, სოფელ ყარაჯალარის სკოლას ვესტუმრეთ, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჩვენი პატარა მოქალაქეები სწავლობენ და ახალი ქართულენოვანი წიგნების ბიბლიოთეკა მოვუწყვეთ. მეორე კარგი ამბავი ის არის, რომ ჩვენს მოძრაობას ახალი პარტნიორი ჰყავს, ტაქსების კომპანია „ბოლტი” - ყარაჯალარის სკოლას სწორედ მათი მეშვეობით დავეხმარეთ. ამის შემდეგ თელავისკენ გავეშურეთ და ეს არის მესამე კარგი ამბავი: ეროვნულ ბიბლიოთეკას, თელავის ისტორიულ მუზეუმსა და სამუზეუმო და საარქივო კვლევისა და მოდერნიზაციის ცენტრს შორის (რომელსაც ჩვენი მეგობარი ლუარსაბ ტოგონიძე ხელმძღვანელობს) მემორანდუმი გაფორმდა - ციფრული ფოტომატიანესთვის გავაციფრებთ ათასობით ისტორიულ ფოტონეგატივს” - აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

17 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმის საზღვრები ფართოვდება. მოძრაობა ახალ მიმართულებას იწყებს - უერთდება პროექტს მთის ამბები, რომლის ერთ-ერთი რუბრიკა მთაში სოფლად მარტო მცხოვრები ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. ეკვილიბრიუმი ამ ადამიანებს, მათი ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ახალი წიგნებით, პერიოდიკით და სხვა საჭირო ნივთებით მოამარაგებს.

„მორიგი ძალიან დიდი ამბავი: ალბათ ბევრმა იცის „მთის ამბების” ფანტასტიკური პროექტის შესახებ, რომელიც მთაში სოფლად მარტო მცხოვრები ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. დამებადა იდეა და ახლა მოვი-

ლაპარაკე გელა მთივლიშვილთან - ჩვენი საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყებს ახალ მიმართულებას - „ბიბლიოთეკა მარტოკაცებისთვის” (ცხადია, გენდერულად მხოლოდ მამაკაცები არ იგულისხმებიან) - ახალი ჟურნალები, წიგნები და ყველაფერი, რაც მათ წინასწარ შეთანხმების შედეგად დააინტერესებთ” - აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მოძრაობა ეკვილიბრიუმის დამფუძნებელი გიორგი კეკელიძე.

20 თებერვალი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ აძვს ეწვია. აძვის სკოლის მოსწავლეს ლია ვარდანაშვილს გურული დღიურების ფონდმა სტიპენდია დაუნიშნა. მას ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი დააფინანსებს. ეკვილიბრიუმმა ლია ვარდანაშვილს პირადი ბიბლიოთეკაც მოუწყო.

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა სოფელ აძვიდან, რომელიც ბევრ, ძალიან ბევრ წიგნს კითხულობდა. დადგა დრო, როცა სოფელში წაუკითხავი წიგნი აღარ დარჩა და ამ დროს, ჩვენ ჩავედით. ჩავედით ისე, რომ არაფერი იცოდა. სასკოლო ოთახის კარი შევადეთ, პირადი ბიბლიოთეკა მოვუწყვეთ და გურული დღიურების ფონდის სტიპენდიაც დავუნიშნეთ. ამბავის არაზღაპრული მხარეც რაღაც აზრით ზღაპრულია - შესანიშნავი ჟურნალისტი გოგა აფციაური გვეხმარებოდა ოკუპაციის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან სტიპენდიატის შერჩევაში. მან სოფელი აძვი შეარჩია. გორის რესურსცენტრის და სკოლის დირექციის დახმარებით კი მოსწავლევ გამოვარჩიეთ - მეცხრეკლასელი ლია ვარდანაშვილი. ლიას სტიპენდიის დაფინანსება კი ჩვენი ცნობილი ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახმა გადაწყვიტა - დღეს სოფელ აძვში ირინა გაფრინდაშვილი გვახლდა. ეკვილიბრიუმმა ლიას პირადი ბიბლიოთეკა მოუწყო.

ცხოვრება სხვისი სიხარულის განცდისთვისაც ღირს” - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

6 ივნისი - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმი პანდემიის შემდეგ უბრუნდება თავის საქმიანობას. ამჯერად ახალქალაქის სამ სოფელში მოეწყო მცირე ქართული ბიბლიოთეკები.

„და აი, ეკვილიბრიუმი დაბრუნდა! ამჯერად ახალქალაქის სამი სოფელი - მარტუნი, ორჯა და ხანდო - მოვიარეთ. სამივეგან, უახლესი წიგნებით, მცირე ქართული ბიბლიოთეკები მოვანყვეთ. მომავალი კვირიდან უკვე დაავადების კონტროლის ცენტრიც შემოგვიერთდება და შესაბამის სამედიცინო საინფორმაციო ცენტრებსაც მოვანყობთ” - აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ეკვილიბრიუმის დამფუძნებელი გიორგი კეკელიძე.

15 ივნისი - ეროვნული ბიბლიოთეკა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან ერთად ახალქალაქს ესტუმრა.

„ახალქალაქი. მორიგი სამი სოფელი, მორიგი სამი ქართულენოვანი ბიბლიოთეკა - კორხი, ოკამი, ქარცეფი. შემოგვიერთდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. მათთან ერთად სამედიცინო საინფორმაციო კუთხეები მოვანყვეთ და მასწავლებლებმა სპეციალისტებისგან შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს“, - აცხადებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

# ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის მხარდამჭერია #გალფი  
წიგნები შემოგვწირა ჯგუფმა „წიგნის ქიები“.




# ქრონიკა





# ქრონიკა







ბიბლიოთეკის ცხოვრება  
პანდემიის პირობებში ფორუმში მონაწილეობის  
მიღება შეუძლია  
საქართველოში  
რეგისტრირებულ წევრთა  
ტიპის ბიბლიოთეკას

გაგვიბარეთ  
თქვენი  
გამოცდილება

ონლაინ ფორუმი  
15.05.2020



# ქრონიკა

## 3 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ივანე ჯავახიშვილის ცენტრთან ერთად წარმოადგინა საინტერესო გამოცემა - ალმანახი „საქართველოს საზღვრების პრობლემა XX საუკუნის I ნახევარში და ივანე ჯავახიშვილი“ - ნაწილი 2.

## 9 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კატარის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რასაც ხელი მოაწერეს ბიბლიოთეკის დირექტორებმა გიორგი კეკელიძემ და სოჰაირ ვასტავიმ. უდიდესი წვლილი ამ საქართველოს საელჩოს კატარში და ელჩს, ნიკოლოზ რევაზიშვილს”

## 15 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციულ კორპუსში კინობიბლიოთეკა გაიხსნა. მკითხველს დარბაზში ელის ძალიან საინტერესო გამოცემები და მყუდრო სამუშაო სივრცე.

## 20 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში ფოლკლორის დარბაზი გაიხსნა, სადაც თავს მოიყრის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოძიებული ფოლკლორული ჩანაწერები. აგრეთვე განთავსდება ფონოჩანაწერები, დოკუმენტები, ფოტომასალა, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში ინახება, რასაც დაემატება ახალი მასალებიც. დარბაზში განთავსდება მუდმივი ექსპოზიცია. დაინტერესებულ პირებისთვის კი მათთვის სასურველი დოკუმენტების და ჩანაწერების ციფრული ვერსიებიც იქნება ხელმისაწვდომი.

## 23 იანვარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ღონისძიებათა კვირეული „გაიცანი ხევსურეთი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხევსურული ნაქარგები, ფოტოგრაფიული ნამუშევრები, აგრეთვე ჩატარდა ქარგვის მასტერკლასი, პოეზიისა და ფოლკლორის საღამო. კვირეულის ფარგლებში გაიმართა ალექსი ოჩიაურის წიგნის „მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში“ პრეზენტაცია. საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საჯარო ლექცია „ხევსურეთი ქართულ ლიტერატურაში“, რომლის შემდეგ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ჯვარიონი“.

## 29 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმსა და წიგნის მუზეუმს ასობით უნიკალური გამოცემა გადასცა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა, ბერნარ უტიემ. დიდი წვლილი მიუძღვით ისტორიკოს ლაშა ოთხმეზურს, ყოფილ ელჩს ეკა სირაძე-დელონეს და „თიბის ბანკს“ ემიგრაციის მუზეუმის მხარდაჭერისათვის“.

## 29 იანვარი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის მაზარინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამავე ბიბლიოთეკის დირექტორის, იან სორდერის ხელშეწყობით, ეროვნულ ბიბლიოთეკას 1709 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ (ვახტანგ მეექვსის სტამბა) ციფრული ვერსია გადაეცა. საქართველოში ამ გამოცემის მხოლოდ დეფექტური ცალი ინახება. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოსდესპანი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი.

## 5 თებერვალი, 2020

ნორვეგიელმა ქართველოლოგმა, სვენ ვოგემ და ქართული სიმღერების ნორვეგიული ანსამბლის წევრებმა ეროვნულ ბიბლიოთეკას ცნობილ ნორვეგიელ მწერალთა წიგნები აჩუქეს, რომელთა გაცნობაც დღეიდან, მარტორი და ოლივერ უოდროპების სახელობის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზში შეგიძლიათ. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, საქართველოს საელჩოსა და ეროვნული ბიბლიოთეკის ხელშეწყობით, ნორვეგიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხე გაიხსნა, ხოლო 2018 წელს ქართული კულტურისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენაც მოეწყო.

## 10 თებერვალი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საფრანგეთის ახალი ელჩი საქართველოში დიეგო კოლასი ესტუმრა. სტუმარს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე შეხვდა. ოფიციალურმა პირებმა ერთობლივი სამომავლო გეგმები დასახეს.

## 12 თებერვალი, 2020

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჭადრაკის ფედერაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დიდი საჭადრაკო ტურნირები ჩატარდება, აგრეთვე ჩვენთან დაცული ყველა საჭადრაკო გამოცემების ციფრულ ვარიანტში გადატანა მოხდება.

## 13 თებერვალი, 2020

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში კორნავირუსის ეპიდემიის გამო საქართველოში ჩინეთის საელჩოსა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი სოლიდარობის აქცია გაიმართა. აქციაზე შეგროვდა პირბადეები, რომელიც ჩინეთის მოსახლეობას გადაეცა.

## 13 თებერვალი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლექცია-დისკუსიების სერია დაიწყო. ღონისძიებათა სერია ბიბლიოთეკის თანამშრომლის - გიორგი ჩუბინიძის ინიციატივით წარიმართა. პირველ ლექცია-დისკუსიას გაუძღვა გიორგი მელაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ევროპულ-ქართული ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, სადისკუსიო თემა იყო: „არასამთავრობო სექტორის როლი და ფუნქცია თანამედროვე საქართველოში“.

## 20 თებერვალი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლექცია-დისკუსიების მორიგ შეხვედრას, რომელიც ბიბლიოთეკის თანამშრომლის - გიორგი ჩუბინიძის ინიციატივით წარიმართა, გაუძღვა თორნიკე ზურაბაშვილი, ევრაზიის დემოკრატიის და უსაფრთხოების ქსელის (Eurasia Democratic Security Network) მკვლევარი, სადისკუსიო თემა იყო: „თანამედროვე საეკლესიო-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში“.

## 26 თებერვალი, 2020

ეროვნული ბიბლიოთეკა აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების საელჩოებთან. გიორგი კეკელიძემ იტალიის ელჩს საქართველოში ენრიკო ვალვოს და თურქეთის ელჩს საქართველოში ფატმა სერენ იაზგანს უმასპინძლა. შეხვედრისას დაისახა სამომავლო გეგმები, მნიშვნელოვანი პროექტები.



## 26 თებერვალი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში გაიმართა მსოფლიოში ცნობილი უკრაინელი ქალი პოეტის ლუდმილა სკირდას საქართველოსადმი მიძღვნილი პოეზიის კრებულის „საქართველოს ხმები“ პრეზენტაცია. წიგნის თარგმანი ქართულ ენაზე შეასრულა ცნობილმა პოეტმა, მთარგმნელმა და წარმოშობით ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ, უკრაინის დამსახურებულმა მოღვაწემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა და დიპლომატმა რაულ ჩილაჩავამ.

## 27 თებერვალი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლექცია-დისკუსიების მორიგ შეხვედრას, რომელიც ბიბლიოთეკის თანამშრომლის - გიორგი ჩუბინიძის ინიციატივით წარმართა, გაუძღვა გიორგი კეკელიძე, ახალგაზრდული პოლიტიკის სპეციალისტი, სადისკუსიო თემა იყო: „ფორმალური განათლების პრობლემები და გამომწვევები 21-ე საუკუნეში“. აღნიშნული ლექცია-დისკუსიების გარდა დაგეგმილი იყო კიდევ რამდენიმე შეხვედრა, რომელიც საქართველოსა და მსოფლიოში პანდემიურმა ვითარებამ დროებით შეაჩერა. ღონისძიებები მომავალში განახლდება.

## 3 მარტი, 2020

კორონავირუსთან დაკავშირებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მსოფლიო საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და სხვა ორგანიზაციებთან კოორდინირებული მოქმედებით, დაიწყო სადებინფექციო სამუშაოები, რის შემდეგაც ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელებსა და მომსახურების ადგილებში განთავსდა სპეციალური სადებინფექციო დისპენსერები.

## 21 მარტი, 2020

კორონა ვირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში 21 აპრილამდე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესაბამისად, ეროვნული ბიბლიოთეკა საგანგებო რეჟიმში მუშაობაზე გადავიდა. საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო, გიორგი კეკელიძე და ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის რამდენიმე ხელმძღვანელმა შეიტავსა თანამშრომლების ფუნქცია, მათ გადაინაცვლეს თანამშრომელთა სამუშაო ოთახებში, სადაც ასრულებდნენ კონკრეტულ სამუშაოს. კერძოდ, მათ გააციფრეს ყველაზე მეტად მოთხოვნადი წიგნები, რათა ხელი არ შეშლოდათ სტუდენტებს, ლექტორებს ონლაინ სწავლების პერიოდში.

## 29 მარტი, 2020

ერთი წლით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებს საერთაშორისო ციფრული ბიბლიოთეკებით სარგებლობა სახლიდან შეუძლიათ. მონაცემთა ბაზების მასალებზე წვდომის მსურველები დაგვიკავშირდით მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე [maiasimonishvils@gmail.com](mailto:maiasimonishvils@gmail.com) ან ბიბლიოთეკის ფეისბუქის გვერდზე.

## 1 აპრილი, 2020

საერთაშორისო საგანმანათლებლო მედია ჯგუფის Infobase Learning ბიბლიოთეკა სახლიდან წვდომისთვის იყო ჩართული ერთი თვის ვადით. ხელმისაწვდომი იყო შემდეგი რესურსები:

### მსოფლიო ალმანახი ბავშვებისთვის

### მსოფლიო ალმანახი საოლაშდელი ბავშვებისთვის

მსოფლიოს გეოგრაფია და კულტურა ონლაინ Infobase Learning ცნობილი ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც 1940 წელს დაარსდა და, მას შემდეგ, სკოლებსა და ბიბლიოთეკებს დამატებითი საგანმანათლებლო რესურ-

სებით ამარაგებს. მრავალი წლის განმავლობაში, ორგანიზაცია არაერთი ჯილდოს მფლობელია, როგორც ყველაზე სანდო და ხარისხიანი კოლექციების მიმწოდებელი.

## 7 აპრილი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე ღია წვდომისთვის გახსნა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ის ბაზები, რომელიც დღემდე მხოლოდ ინტრანეტული ფორმით იყო ხელმისაწვდომი. ეროვნული ბიბლიოთეკა, შექმნილი ვითარების მიუხედავად, პატივს სცემს ავტორ-გამომცემელთა უფლებებს და მათი გამოცემების ციფრულ ვერსიებს არ დებს ელექტრონული ბაზის გახსნის ნაწილში. თუ გამომცემელს ან ავტორს სურს საკუთარი გამოცემის ღია წვდომისთვის გახსნა, მან ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას წერილობით უნდა მიმართოს.

## 8 აპრილი, 2020

2 აპრილიდან, ერთი თვის ვადით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საერთაშორისო საბიბლიოთეკო კომპანიის ProQuest თანამშრომლობით, ონლაინ სარგებლობისთვის იყო გახსნილი ორი მნიშვნელოვანი და ძვირადღირებულ კოლექცია: აკადემიური ვიდეოები ონლაინ და ფსიქოლოგიის მონაცემთა ბაზა.

## 21 აპრილი, 2020

ერთი წლის წინ 23 აპრილი, წიგნის საერთაშორისო დღე, წიგნის ჩუქების დღედ გამოცხადდა. იდეის ინიციატორები არიან: გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკა, მალაზიათა ქსელი „ბიბლუსი“ და „ანგარამა“. წელს, კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო, ეს დღე განსხვავებულად აღინიშნა. აქციაში ჩართვის თითოეულ მსურველს თავის ფეისბუქ გვერდზე შეეძლო მოენიშნა მეგობარი, დაედო სასაჩუქრედ გამზადებული წიგნის ფოტო სლოგანით #ჩუქენიწი. წიგნი კი პანდემიის დასრულების შემდეგ გადაეცემა ადრესატს.

## 23 აპრილი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაასახელა საქართველოს კანდიდატები ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზე. ესენია:

1. ირმა მალაციძე - მწერალი, მასწავლებელი, ჟურნალი „შოკოლიტის“ რედაქტორი, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი;

2. ნიქოზის წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ხელოვნების სკოლა.

საბავშვო მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჯილდო მსოფლიოში ყველაზე დიდი პრემიაა ბავშვთა ლიტერატურის სფეროში, რის გამოც მას მეტსახელად „საბავშვო ნობელს“ უწოდებენ.

## 24 აპრილი, 2020

საბიბლიოთეკო გაერთიანებების საერთაშორისო ფედერაციამ (IFLA) წარმოადგინა ანგარიში, სადაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებისთვის სამაგალითოსა და წარმატებულს უწოდებს. ორგანიზაციის ანგარიშის ამ ნაწილში საქართველო პირველად მოხვდა.

## 8 მაისი, 2020

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებისა და მედია პროფესიონალებისთვის, სახლიდან სარგებლობის მიზნით, ჩართული იყო ორი ახალი, საერთაშორისო ციფრული ბიბლიოთეკა: კომუნიკაციები და მასმედია და გარემოს სრული ბიბლიოთეკა ერთი თვის ვადით.

# ქრონიკა

## 15 მაისს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ფორუმში „ბიბლიოთეკის ცხოვრება პანდემიის პირობებში“. ფორუმში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკას.

ონლაინფორუმში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ბიბლიოთეკარმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. მონაწილეებმა ისაუბრეს ინფორმაციული საქმიანობის იურიდიულ ასპექტებზე, ელექტრონული წიგნის მომავალზე, საკონმდებლო პრობლემებსა და ინიციატივებზე, ელექტრონულ და ბეჭდურ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის საკითხებზე, პანდემიის პირობებში ბიბლიოთეკების დისტანციური მუშაობაზე.

როგორც ფორუმის მოდერატორმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა განაცხადა: „ეს ჩვენი პირველი მცდელობა იყო და მიხარია, რომ გარდა წარმოდგენილი მოხსენებებისა, გამოიკვეთა ინტერესთა ჯგუფები რამდენიმე მიმართულებით. დამსწრეთა რეკორდულმა რაოდენობამ კი გვიჩვენა, რომ ასეთი ტიპის ფორუმების ჩატარება დღეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

დაისახა შემდეგი ფორუმის ჩატარების გეგმა საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდიდან გარიცხვისა და ჩამოწმების თემაზე, რომელიც ყველა ბიბლიოთეკისთვის აქტუალურია.

## 20 მაისს

20 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფნო დარბაზში ეროვნულ ბიბლიოთეკასა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

## 26 მაისს

26 მაისს 12:00 საათზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნული დროშის დარბაზი გაიხსნა. ეროვნული დროშის დარბაზი დაერქვა ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში (გუდიაშვილის 7) მდებარე საკონფერენციო სივრცეს, რომელიც მთლიანად განახლდა.

დარბაზში გამოფენილია შუა საუკუნეების ევროპული საზღვაო რუკების ბეჭდური ვერსიები. ევროპელი კარტოგრაფები თავიანთ რუკებზე საქართველოს ტერიტორიის აღსანიშნავად ხუთჯვრიან დროშას იყენებდნენ. მასალა ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ გადასცა. ასევე წარმოდგენილია იმ ხუთჯვრიანი დროშის ორიგინალი (დროშა ეროვნულ ბიბლიოთეკას ყოფილმა დეპუტატმა კობა ამირხანაშვილმა გადასცა), რომელიც 2004 წელს დაამტკიცა პარლამენტმა. ექსპოზიცია მუდმივმოქმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზისთვის ეროვნული დროშის სახელის მინიჭებას თავისი წინაპირობა აქვს. 2003 წელს პირველად ამ დარბაზში გაიმართა სხდომა, სადაც ახალი დროშის და სახელმწიფო სიმბოლიკის მიღებაზე იმსჯელეს. 2004 წელს პარლამენტმა სწორედ ამ სხდომის საფუძველზე დაამტკიცა ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად.

განახლებული დარბაზი, რომელიც სულ მალე თანამედროვე ტექნოლოგიებითაც აღიჭურვება, სიმბოლურად დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, გაიხსნება. ღონისძიების თანაორგანიზატორია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო.

იხ. ეროვნული დროშის დარბაზის ფოტოგალერეა

## 3 ივნისს

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმდიდრესი ფოტოარქივი კიდევ ერთი უნიკალური კოლექციით გაამდიდრა. 2800 უნიკალური ფოტო, რომელიც აქამდე ბაადურ ქობლიანიძის ოჯახის საკუთრება იყო, ახლა უკვე ეროვნული მემკვიდრეობა გახდა.

## „გილოცავთ და მოგვილოცეთ!“

დასრულდა ორწლიანი მოლაპარაკება და თანმდევი პროცესიც: საქართველოში უდიდესი კერძო ფოტოკოლექცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პროლოგის ჩათვლით ათასობით ძალიან ცნობილი თუ სრულიად უცნობი ფოტოსურათის ორიგინალი მომავალ წელს ჩვენს ფოტომუზეუმში წარმოგიდგებათ თემატურ გამოფენებად. საქართველოს ვიზუალური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის გადარჩენა - ამ ამბავს ასეც შეიძლება დავარქვათ. აქვე გთავაზობთ რამდენიმე სურათს გასული საუკუნის დასაწყისისას - მცირედს მცირედებიდან - დიდი და საოცარი მოგზაურობა კი წინ გელით - უკვე დაზუსტებულ პირთა საძიებლით, ქრონოლოგიითა თუ კონტექსტებით” - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

„დიდი ამბავი უნდა გახაროთ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უძვირფასესი ფოტოკოლექცია შეიძინა. 2800 უნიკალური ფოტო. ეს არაა ის ფოტოები, რომლებიც შეიძლება ნახოთ ინტერნეტში. უმეტესი მათგანი დღემდე არცერთ მუზეუმში არ იყო დაცული, ისინი საუკეთესოდამა შემონახული და ბევრი მათგანი საქართველოს კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მეგობრებმა კორონავირუსის პანდემიის დროს დიდი მხარდაჭერა გვაგრძნობინეს ამ კოლექციის აღწერის და შეძენის საქმეში“ - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თავთაქიშვილმა.

## 11 ივნისს

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაპანაძემ მცხეთის ცენტრში სვერის ბიბლიოთეკა გახსნეს.

წიგნის ბუდე, რომელიც სვერში დაიდგა, ეროვნული ბიბლიოთეკა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მოამარაგებს წიგნებით. აქ განთავსებული გამოცემები ნებისმიერ მსურველს შეუძლია აიღოს და პანდემიის პირობებში, როცა ჩვენს მოქალაქეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, წიგნის წასაკითხად მეტი დრო გამოუთავისუფლდათ, განათლებაზე იზრუნონ.

„დიდი ამბები გრძელდება. ამჯერად მცხეთა. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სვერის სამკითხველო გახსნა“ - აცხადებს გიორგი კეკელიძე.

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ეროვნულ ბიბლიოთეკას ამ საჩუქრისთვის. ქალაქს კიდევ ერთი ლამაზი სამკითხველო შევმატეთ. წიგნის ბუდის კარი ყოველთვის ღია იქნება მსურველებისთვის. მათ შეუძლიათ წიგნები აიღონ და შემდეგ ისევ დააბრუნონ უკან. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი გამოთქვამს მზაობას, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად პერიოდულად შეავსოს წიგნის ბუდე წიგნებით“, - განაცხადა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის თანამემხმემ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაკა პეტრენკომ.





მანანა ზარიძე

## რეაბილიტირებული ბიბლიოთეკები მცხეთის მუნიციპალიტეტში

კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, თუ ადამიანი თავისი დროის ინტელექტისა და კულტურის დონესთან არ არის გათანაბრებული, იგი თანადროულ ეპოქას ვეღარ დაამშვენებსო. ამ სიტყვების არსი თავისთავად ნათელია, კულტურა და ინტელექტი განათლებიდან მოდის, განათლება კი წიგნ-მა უნდა შეიტანოს ყველა დროის ყველა საზოგადოებაში.

2019 წლიდან, მცხეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი, რომლის დირექტორიც ქალბატონი შორენა არჯევანიძეა. შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა მდიდარი ტრადიციების ერთგული გამგრძელებელია. ქალბატონი შორენა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერთან, ქალბატონ ნინო თათარაშვილთან ერთად იბრძვის და ცდილობს, რომ საბიბლიოთეკო ქსელი იყოს ერთ-ერთი წარმატებული. ისინი მუდმივად ზრუნავენ ბიბლიოთეკა-ფილიალების იმიჯზე და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მკითხველებმა კომფორტულად იგრძნონ თავი ბიბლიოთეკაში, რადგან იმაზე მეტი ფასეული და ღირებული ვიდრე სიტყვა წიგნი, ბიბლიოთეკა და წიგნიერ ადამიანებთან საუბარია, არაფერია ქვეყნად.

“

**თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების დროშიც კი ყველა ერთხმად აღიარებს, რომ წიგნი განათლების გავრცელების საუკეთესო და შეუცვლელი საშუალებაა და სულ უფრო მეტ ღირებულებებს იძენს.**

”

ჩვენი გაერთიანების, მცხეთის ადგილობრივი თვითმმართველობის (მერია, საკრებულო) ინიციატივით, ასევე მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატის უშუალო ჩართულობით დაინიშნა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია. განახლდა კულტურის სახლები, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკებიც. შევიძინეთ ახალი ინვენტარი, ახალი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. აღნიშნული პროექტები ჯერჯერობით განხორციელდა ნატახტრის ვაჟა-ფშაველას სახელობისა და მუხრანის ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის ბიბლიოთეკებში. ამჟამად მიმდინარეობს ერედის კულტურის სახლისა და ბიბლიოთეკის აღდგენა-განახლება. იმედია არსებულ ტრადიციას მცხეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა კვლავ გააგრძელებს და ეს სიახლე ყველა სოფელს შეეხება. მადლობას ვუხდით ამ კეთილი საქმის ორგანიზატორებსა და ინიციატორებს.







ვაკა ლაპიაშვილი

## საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების კოორდინაცია

1989 წლის ნოემბერში გაერომ მიიღო კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. რომლის პირველ მუხლში განსაზღვრულია ბავშვთა უფლებები დაბადებიდან 18 წლამდე, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში.

ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად სხვა საშუალებების დახმარებით. (მუხლი 13)

ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობა სრულად გამოავლინოს უფლება.

1990 წელს სექტემბრისათვის კონვენციას 20 სახელმწიფომ მოაწრა ხელი. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. „ბავშვთა უფლებების კონვენცია“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მსოფლიოს მიერ აღიარებულ ქვეყნებს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარებისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის უმოკლესი გზაა.

ბავშვთა ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლებებში აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო სტრუქტურები, საჯარო, და სასკოლო ბიბლიოთეკები რომელთა კოორდინირებულ მუშაობას არეგულირებს „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. „ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები ან მასობრივ ბიბლიოთეკებში სპეციალური საბავშვო განყოფილებისა და ფონდების შექმნის გზით“. (მუხლი 2).

საჯარო ბიბლიოთეკა როგორც ცოდნის შექმნის ადგილობრივი კერა, უზრუნველყოფს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების კულტურის დონის ამაღლებას, ცოდნის მუდმივი განახლებისა დამოუკიდებლად გადამწყვეტილების მიღების ძირითად პირობას.

IFLA/UNESCO-ს საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი გამოხატავს რწმენას, რომ საჯარო ბიბლიოთეკა წარმოადგენს განათლების, კულტურისა და ინფორმაციის სასიცოცხლო ძალას და ადამიანთა გონების მეშვეობით მშვიდობისა და სულიერი კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელ ფაქტორს.

დღეს 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების მომძლავრებული ბუმის მიუხედავად ბიბლიოთეკები აქტიურად არიან ჩართულები მოზარდისათვის სულიერი საზრდოს მიწოდებაში. ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ





მომსახურებას ყველასათვის განურჩევლად ასაკისა, რასისა, სქესისა, ეროვნებისა, ენისა და სოციალური მდგომარეობისა. ფონდები და მომსახურება მოიცავს როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებსა და შესაძლო სახის მასალებს, ასევე ტრადიუციულ ბეჭდვით პროდუქციებს. ბიბლიოთეკებში დაცული მასალები ასახავენ როგორც საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ტენდენციებს, ასევე კაცობრიობის წარსულის მონაპოვარს.

საერთაშორისო კონვენციებისა და ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს სრულად იცავს და მოზარდის განვითარებას სრულად უწყობს ხელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების 10-ე ფილიალის საბავშვო განყოფილება, რომელიც აქტიურად არის ჩართული მის მიკრორაიონში მდებარე სკოლების ბიბლიოთეკებთან და საბავშვო ბალების აქტივობებში. საჯარო ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს დაწესებულებებთან, იქ სადაც ფორმალური განათლება საკმარისადაა უზრუნველყოფილი ტექნიკური საშუალებებით, საჯარო ბიბლიოთეკა ავსებს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ მომსახურებას და არ ახდენს მის დუბლირებას. ინფორმაციის მოცულობის სწრაფი ზრდა და ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა რადიკალურად შეცვალა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალებები. მიუხედავად ასეთი ბუმისა ტექნოლოგიები ხელმიუწვდომელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის.

წიგნის ზეპირი პროპაგანდის თავისებურ ფორმას წარმოადგენს ხმამარალი კითხვა, რასაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ფორმა აქტიურადაა დაწინაურებული 10-ე ბიბლიოთეკაში სადაც ხშირად ეწყობა მსგავსი ტიპის ღონისძიებები. ბიბლიოთეკას სტუმრობენ 129-ე, 190-ე, წმ. მეფე თამარის სახ სკოლა პანსიონის საჯარო სკოლების დაწყებითი სკოლის მოსწავლეები და 43, 49, 60 საჯარო ბალების დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელები, რომლებიც აგერ უკვე მერამდენე წელია ჩვენთან ერთად აღნიშნავენ „წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს“. ტექსტის კითხვას წინ უძღვის საუბარი, რომლის მიზანია დააინტერესოს მსმენელი და მოახდინოს ამ წიგნის ან ავტორის პოპულარიზაცია. შემდეგ პატარები ჩანახატებით გვიზიარებენ წაკითხულის შინაარსს. რაც საინტერესოს და სახალისოს ხდის წიგნთან ურთიერთობას. ასეთი პროექტები იზიდავს და „ტოვებს“ ბავშვებს ბიბლიოთეკის კედლებში. ერთ-ერთი ასეთი მკითხველია 129-ე საჯ. სკოლის უკვე ყოფილი მოსწავლე სოფო გოგრიჭიანი, რომელმაც ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „საქართველოს ბიბლიოთეკარი“-ს 2017 წლის პირველ ნომერში. სოფო წერილში აღწერს მის პირველ ემოციას ხატვის კონკურსში მონაწილეობისას: „მე-4 კლასის მოსწავლე ვიყავი როდესაც ხატვის კონკურსში მივიღე მონაწილეობა, ამ სახალისო და შემოქმედებითმა კონკურსმა აქტიურ მკითხველად მაქცია. კარგად მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული შევცქეროდი თაროებზე ლამაზად



დანყობილ წიგნებს. მინდოდა ამ უსაზღვრო ლაბირინთში გავრკვეულიყავი, თითოეული წიგნი გადამეფურცლა და მათ გმირებთან ერთად მემოგზაურა.“ სოფო დღეს უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტია და ისევ აქტიურად სარგებლობს ბიბლიოთეკით რომელსაც „ჩემი ბიბლიოთეკით“ მოიხსენიებს.

მთავარი ბიბლიოთეკის პროექტში „კითხვის საათი ბავშვებისათვის“ ჩაერთო მე-10 ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება. ამ პროექტის ფარგლებში ვუმასპინძლეთ სკოლის დანყოფითი კლასების მოსწავლეებს და 60-ე საჯარო ბაღის აღსაზრდელებს რომლებიც ზღაპარში ამოგზაურა მომღერალმა და ჟურნალისტმა ნეკა სებისკვერაძემ. ბავშვის ფაქიზი გონება ხომ ხარბად ენაფება სიახლეს. მას იზიდავს ლამაზად გაფორმებული ილუსტრირებული გამოცემა.

სკოლის პედაგოგები და სკოლის ბიბლიოთეკარები ძალისხმევას არ იშურებენ დაგვეხმარონ მოსწავლეთა შორის გამოავლინონ გამორჩეული ნიჭის მქონე ბავშვები, რომელთაც ხშირად მასპინძლობს 10 ბიბლიოთეკა და აწყობს მათი ნამუშევრების გამოფენას.

გამოფენები მრავალფეროვანია და მკითხველს შეუძლია წარმოაჩინოს თავისი ნიჭინების მიერი მიმართულებით: ფერწერით, ლიტერატურით, მუსიკით, ქორეოგრაფიით, ძერწვით, გამოფენებზე წარმოდგენილია მკითხველთა ხეზე და ქვაზე ნაკვეთი ნამუშევრები, მსუბუქი რენვისა და ხელით ქარგვის ნიმუშები და სხა....

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS-ის 2011 წლის მონაცემებით კვლევაში მონაწილე 58 ქვეყანას შორის საქართველო 34-ე ადგილზეა, რაც წიგნიერების დონის ქვედა ზღვარს წარმოადგენს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვები იშვიათად ან ცოტას კითხულობენ. ამიტომ ბიბლიოთეკების თანამონაწილობით შემუშავდა პროექტი „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 129-ე და 190-ე საჯარო კოლების მე-6 და მე-7 კლასია მოსწავლეებმა. პროექტის ფარგლებში მოზარდები გაეცნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკას, შეისწავლეს საკატალოგე მეურნეობის გამოყენებით სასურველი წიგნის მოძიება. გარდა ამისა მოეწყო ახლი წიგნების პრეზენტაცია და დამწერლობის წარმოშობის შესახებ ისტორიის გაცნობა, რაც გულისხმობს წიგნის ისტორიის მიმოსილვას შუმერული თიხის ფირფიტებიდან XXI საუკუნის ელექტრონულ წიგნამდე. ამავე სკოლების უფროსკლასელთათვის პერიოდულად ტარდება ლიტერატურული ვიქტორინები, ვიქტორინის შემდეგ მოზარდებს ეძლევათ შესაძლებლობა გაგვაცნონ საკუთარი შემოქმედება.

ლონისძიებათა მრავალფეროვნებისათვისი მოზარდთა წიგნთან მეგობრობისათვის ბიბლიოთეკამ მოინწვია ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ეთნო-ლინგვისტი პროფესორი გრეტა ჩანტლადე, მან მკითხველებისთვის წაიკითხა ლექცია რომელიც ბასკებისადა კავკასიის ხალხთა უთიერთობას განიხილავდა ეთნო-ლინგვისტურ ასპექტში. ლექცია



ერთფეროვანი და მოსაწყენი, რომ არ ყოფილიყო ბავშვებისათვის ქალბატონმა გრეტამ მოგვიტანა თვალსაჩინო მასალა: სამფეროვანი ბასკური დროშა და ბასკურ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი თოჯინები. ვფიქრობ PIRLS-ის 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების უმნიშვნელოდ გაუმჯობესება ამ და სხვა მრავალი გატარებულ ღონისძიების დამსახურებაა.

ბიბლიოთეკაში ეწყობა არა ერთი პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებითი საღამო, რომლისგანაც გამოყოფილი დეტუ მეგრელის პოეტის, მწერლის, პუბლიცისტის და მთარგმნელის 150 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიება „წრფელი და ალალი მამულიშვილი“. მისი შემოქმედება დრესაც ისევე აქტუალურია როგორც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მწერლის შემოქმედების უკეთ გასაცნობად მოეწყო პერსონალური გამოფენა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული მასალები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო - ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიერ მოწოდებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სია. ღონისძიება მთლიანად ბიბლიოთეკის მოსწავლე მკითხველების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა და მონაწილეობა მიიღეს 129-ე, 190-ე საჯ.სკოლისა და წმ. მეფე თამარის სახ. სკოლა-პანსიონის მოსწავლეებმა, მათთვის ამ საღამოს აღმოჩენა იყო დუტუს უკვდავი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“-ს სრული ვერსია.

გარდა ბიბლიოთეკის კედლებში გამართული ღონისძიებებისა ბიბლიოთეკარები ვსტუმრობთ ჩვენი მკითხველებს მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებს სკოლებში: წმ. მეფე თამარის სახ. სკოლა პანსიონი ყოველ წლიურად მართავს შემოდგომის ზეიმს, სკოლის მოსწავლეები აცოცხლებენ სხვადასხვა კუთხის ტრადიციებს, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილები წარმოაჩენენ თითოეული კუთხის ქორეოგრაფიას, სიმღერას და გვაცნობენ ამ კუთხეების სამზარეულოს.

ასევე აღნიშვნას იმსახურებს 129-ე საჯარო სკოლის მიერ ჩატარებული ბავშვთა უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება ქართული ხალხური ზრახვის „მუჭანახევარა“ მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი „ჭკვა უხმარ არის ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“ რომელიც წარმოადგინა 4 კლასმა და მიზნად ისახავდა დევნილ მოსწავლეთათვის წიგნებისა და ტანსაცმლის შეძენას.

ბიბლიოთეკას აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდა თაობას მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მათი შემდგომი განვითარებისათვის. გარდა ბეჭდური ინფორმაციისა ჩვენი მკითხველები ბიბლიოთეკაში ესწრებიან მათთვის საინტერე-

სო და აქტუალურ თემაზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმებს რომელიც წარმოადგინა დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა CinemaDOC -Tbilisi -მა პროექტის ფარგლებში- „ფილმები ბიბლიოთეკაში“, აღნიშნული პროექტი ფესტივალის ერთერთი სექციის CinemaDOC Young-ის ფარგლებში განხორციელდა.

მოზარდები გაეცნენ ნამდვილ ამბებს თანატოლების შესახებ, კერძოდ გამოიკვეთა პრიორიტეტები: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, გენდერი, ეკოლოგია სხვა აქტუალური საკითხები. ფილმები გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე 8-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით. ჩვენების შემდეგ გაიმართა დიკუსია ახალგაზრდებთან ერთად და მოხდა ფილმების გარჩევა ბავშვთა ფსიქოლოგებთან, მასწავლებლებთან, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წარმომადგენლებთან და იმ პირებთან რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მოზარდთა განვითარების საკითხებში.

10 ბიბლიოთეკაში წარმოებს უარების აღრიცხვა, რაც ხელს უწყობს წიგნობრივ ფონდში ხარვეზების აღმოჩენას და შევსებას საჭირო ლიტერატურით, ასევე ხდება მკითხველთა ინტერესის შესწავლა. გარდა უარების ჟურნალისა მკითხველთა ინტერესის შესასწავლად ტარდება სოციოლოგიური კვლევა, რომელსაც მხოლოდ 10 ბიბლიოთეკის თანამშრომლები ატარებენ და სადაც ინტერვიუერთა 70 % მოსწავლეებზე მოდის. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 60 % -ისათვის ინფორმაციის მირების ძირითადი საშუალება არის წიგნი, 35% -ისათვის კომპიუტერი. მოსწავლეთა უმრავლესობა თითქმის 70% წიგნის შეძენას ვერ ახერხებს. კითხვაზე რა სახის ლიტერატურით სარგებლობთ ბიბლიოთეკაში, გაირკვა, რომ ეს იყო: მხატვრული ლიტერატურა, საცნობარო ლიტერატურა (ენციკლოპედია, ცნობარი, გზამკვლევი), ხელოვნება, ისტორია. ასევე მოხდა ახალგაზრდა მკითხველთა მიერ არსებული ფონდის შეფასება სადაც 12% -მა აღნიშნა, რომ ისურვებდა რელიგიური თემატიკის, სპორტის და ხელოვნების განყოფილებების შევსებას და თანამედროვე ლიტერატურით გადახალისებას.

სოციოლოგიური კვლევის დადებითი მხარედ მიგვაჩნია, რომ მონაცემების შეჯამება ხდება ბიბლიოთეკის მიერ მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესენი არან: სკოლის ბიბლიოთეკარები და რაიონში არსებული ბიბლიოთეკების თანამშრომლები ასევე ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორი პროფ. ალექსანდრე ლორია, ან. გარდაცვლილი დოც. გურამ თაყნიაშვილი, მთავარი ბიბლიოთეკის წარმომადგენლები და მერიის კულტურისა და სოციოლოგიური სამსახურის თანამშრომლები. კვლევების შესახებ მასალები პერიოდულად შექმნა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“.



მიუხედავად მკითხველთათვის შეთავაზებული მრავალფეროვანი ღონისძიებებისა ბიბლიოთეკა საჭიროებს შშმ პირთათვის კომფორტული გარემოს შექმნის აუცილებლობას. მითუმეტეს, რომ ჩვენს მიკრორაიონში მდებარე 129-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ინკლუზიური სწავლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ახლგაზრდები ვითარდებიან და ხდებიან საზოგადოების სრულფასოვანი წევრები-საკუთარი კულტურით.

“

„საჯარო ბიბლიოთეკები თანდათან ხდება შუამავალი, ელექტრონული სარკმელი, რომელიც საზოგადოებას გზას უხსნის ციფრული ინფორმაციის სამყაროში; ინსტრუმენტი, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება, დაძლიონ „საინფორმაციო გარღვევა“ და შექმნან უკეთესი მომავალი. ბიბლიოთეკარი სულ უფრო მეტად ასრულებს „საინფორმაციო შტურმანის“ როლს, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ ზუსტ და საიმედო ინფორმაციის მიღებას.

”



## წყალტუბოს ახალგაზრდული საკრებულო



XXI საუკუნე ტექნოლოგიების ერაა, ყოველდღე ათასობით ახალი საინტერესო და ზოგჯერ უცანური მოწყობილობა იქმნება. დღეს ბევრად მარტივია საჭირო ინფორმაცია “Google”-ში მოძებნო, ხოლო წიგნის ელექტრონული ვერსია ტელეფონში გადმოწერო და ისე წაიკითხო. მართალია ინტერნეტში უამრავი რამ მოიპოვება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ არის ნაწილი ინფორმაციისა რომელსაც მასში ვერ ვიპოვით. ბიბლიოთეკა და წიგნი ადამიანის სულიერი საზრდოა და როგორც ჩერნიშევსკი ამბობს

„ადამიანის განათლება მტკიცდება და სრულქმნილი ხდება წიგნების კითხვით.“

გლობალიზაციის გამო ცხოვრების ტემპი აჩქარებულია და სწორედ ამიტომ ადამიანები ცდილობენ უფრო სწრაფად მიიღონ ინფორმაცია. მიმაჩნია რომ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება ბიბლიოთეკასთან და განათლებასთან დაკავშირებით შეიცვალა. წიგნი და განათლება მეორე ხარისხოვანი გახდა, რთულია იპოვო ადამიანი ვისაც წიგნის კითხვა უყვარს. ამ მოცემულობას საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემასთან-უცოდინრობასთან ან ზედაპირულ ცოდნასთან მივყავართ. რაც თავის მხრივ აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

ბოლოს მინდა ვთქვა რომ ბიბლიოთეკა, წიგნი და განათლება ვერასდროს დაკარგავს ფასს, მიუხედავად იმისა თუ რამდენად განვითარდება მსოფლიო.







საქართველოს რესპუბლიკის  
 ტერიტორიული ერთეულები,  
 შრომის, ჯანსაღი ცხოვრებისა და  
 სოციალური დაცვის სამინისტრო

დანართი №36

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი  
 ერთად შევექმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

### ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ბიბლიოთეკებისთვის

#### ზოგადი რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ, როგორც პერსონალის, ასევე, ვიზიტორების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;
- პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში უზრუნველყავით შესაბამისი საიზოლაციო ოთახის მოწყობა და დაუკავშირდით 112-ის ცხელ ხაზს;
- საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - შესაძლებელია ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
  - აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
  - ყოველი გამოყენების შემდეგ ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში;
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების დაშვება შენობაში;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყავით საპნის და სადეზინფექციო ხსნარების დისპენსერების, ხელის საშრობების, ერთჯერადი ხელსახოცების დისპენსერების და მსგავსი მოწყობილობების გამართული მუშაობის მუდმივი რეჟიმი;
- შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- უზრუნველყავით პერსონალისა და ვიზიტორების შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ნიღბებით;
- უზრუნველყავით დაწესებულებაში ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები) სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა, ხელების დასამუშავებლად გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები;
- წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი აღჭურვით ხელთათმანებით;
- სათანადო ადგილებში (საპირფარეშო, ონკანის სიახლოვეს) განათავსეთ ხელის ჰიგიენის წესები;
- გამოყავით ჰიგიენის კუთხეები, ხელის ჰიგიენის საშუალებების განთავსებისთვის და მიაწოდეთ პერსონალს/ვიზიტორებს (შესაბამისი თვალსაჩინოების საშუალებით) ინფორმაცია ჰიგიენის საშუალებების სწორად გამოყენების შესახებ;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;



- დახურული სივრცეები უზრუნველყავით ბუნებრივი ვენტილაციით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაცია, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- განახორციელეთ მონიტორინგი ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებაზე.

### სამკითხველო დარბაზი:

- უზრუნველყავით ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ). შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილების მარკირება;
- აკრძალეთ ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
- უზრუნველყავით ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელოები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკების და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;
- უზრუნველყავით კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
- დარბაზის შესასვლელში უზრუნველყავით ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);
- გამოყავით პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკითხველო დარბაზში.

### საცავი და სპეციალური ფონდები:

*საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“.*

*დოკუმენტები, რომლებიც მომხმარებლისგან/მკითხველისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“.*

- გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები განთავსეთ კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში;
- საკარანტინე დოკუმენტების განსათავსებლად გამოყავით სპეციალური მაგიდები ან თაროები.

### სანიტარული კვანძების დასუფთავება:

- სანიტარულ კვანძში დაცული უნდა იყოს სისუფთავე, რისთვისაც წინასწარ უნდა განისაზღვროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
- სანიტარული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები (<https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d>);
- უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
- დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: ხელთათმანები, ნიღაბი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ,



- აუცილებელია ხელების დაბანა;
- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით. სივრცე უნდა იყოს კარგად ვენტილირებადი.

### პერსონალისა და მომხმარებელთა ვალდებულებები:

#### *ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.*

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- სამუშაო პროცესი განახორციელებთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვის (არანაკლებ 2 მ) შესახებ;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

# საქართველოს კარლამუნდის ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორობით ახალი ორგანიზაცია დაფუძნდა



MULTIFUNCTIONAL  
CENTRE FOR EDUCATION  
AND CULTURE

არასამუნარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

## განათლებისა და კულტურის მულტიფუნქციური ცენტრი

Multifunctional Centre for Education and Culture

ორგანიზაცია აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს ყველა რეგიონის ბიბლიოთეკასთან და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებასთან



ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები:

1. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა;

2. საგამომცემლო საქმიანობა;

- ა) ცენტრმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბ) ცენტრმა იმუშაოს ფართო კულტურული, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სამოქალაქო მიზნების მისაღწევად;
- გ) ცენტრი ძირითადად მოიცავს საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებს, უმაღლეს სასწავლებლებს, პროფესიულ სასწავლებლებს, საინფორმაციო, მულტიფუნქციურ ცენტრებს, ამ სფეროთი დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებს ან კერძო პირებს;
- დ) ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში ფართო საგანმანათლებლო და კულტურული საქმიანობის განხორციელებას, პირადი თუ დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროექტების საშუალებით.



[www.fb.com/MCECGEORGIA](http://www.fb.com/MCECGEORGIA)

მის. გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი 0107

[mcecgeorgia@gmail.com](mailto:mcecgeorgia@gmail.com)



